


24 საათი

"24 საათის" ფიქციანი ნომერი

*2424

ამერიკული ჯარები ერაყის ქალაქებს ტოვებენ

A7



ნიგნები ჩქარა!

A9



ასათიანი, მწვრთნელისგან ფარულად, დამდამობით ვარჯიშობდა

A13



წინადადებები და

ულტიმატუმები ქანავაში

საქართველოდან ეუთო-სა და გაერო-ს მისიების გაძევების შემდეგ კრემლი შენევის მოლაპარაკებებსაც უტევს და აცხადებს, რომ "ახალი რეალიზმის" გათვალისწინებით, მათი ფორმატიც უნდა შეიცვალოს. შენევის კონსულტაციები დღეს განახლდება. ამჯერადაც შეხვედრაზე მხარეები სხვადასხვა წინადადებებით და განსხვავებული დღის წესრიგით წარსდგებიან - ქართული მხარე საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციის საკითხს აყენებს, რუსეთი და მარიონეტული რეჟიმები - ძალის არგამოყენების დოკუმენტის ხელმოწერას თბილისს, სოხუმსა და ცხინვალს შორის. ამ მოთხოვნის შესრულებაზე თბილისი კატეგორიულად აცხადებს უარს.

დიმიტრი ავალიანი

ქართული დელეგაცია შენევის კონსულტაციების მორიგ რაუნდზე დასასწრებად 29 ივნისს, გვიან ღამით გაემგზავრა.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან საგარეო უწყების წარმომადგენლები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ახალი თავმჯდომარე გია ბარამია, რომელიც პირველად ესწრება კონსულტაციებს და სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოვეი. გუშინ საღამოს შენევაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერია ჩავიდა.

ბაზრძილაბა A3 გვირდვა

რუსეთი მოწვევების ბარეში

გიორგი ასანიოვილი

რუსეთი ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავი სრულ ბატონ-პატრონად იგრძნოს. მოსკოვის მცდელობებმა ნაწილობრივ უკვე გამოიღო შედეგი: გაერო-ს სადამკვირვებლო მისია აფხაზეთის ტერიტორიაზე დახურვის რეჟიმშია, ეუთო-ს მისიამ კი ცხინვალის რეგიონი გუშინ საბოლოოდ დატოვა, რასაც წინ უძღოდა 25 ივნისს, ქარელის რაიონის სოფელ კარალეთში განლაგებული მისიის ძირითადი ბაზის დახურვა.

საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელი ტერი შაკალა, რომელიც რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა, სინანულს გამოთქვამს.

"ეუთო-ს მისიის საქართველოში ყოფნა მხოლოდ რუსეთმა დაბლოკა. ეს არის ქვეყანა, რომელიც მხარს უჭერს სეპარატისტულ რეჟიმებს და მათ დამოუკიდებლობას აღიარებს. ჩვენი მისიის დახურვის შემდეგ, ვეროკავშირის დამკვირვებლებისთვის საკუთარი ფუნქციების შესრულება რთული იქნება, რაც შეიძლება ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებაზე ნეგატიურად აისახოს," - ვარაუდობს შაკალა.

ბაზრძილაბა A2 გვირდვა



გაერო-ს გენერალური მდივნის თანაშემწის სამშვიდობო ოპერაციებში ედმუნდ მულეტის თქმით, გაერო-ს მისია მანდატს როდესაც პირობებში ასრულებდა.

ჭორები ომზე

დევიდ ჯ. სმიტი

ორშაბათს რუსეთმა დაიწყო "კავკასია 2009"-ის ჩრდილოეთ კავკასიაში დღემდე ყველაზე მასშტაბური სამხედრო წვრთნები და ეს შესაძლოა საქართველოზე მორიგი თავდასხმის პრელუდია იყოს. მოსალილოდნელ ომზე ჭორები ცხელი ზაფხულის მშვიდი ღამის ცაზე ჭექა-ქუხილს ჰგავს. "რუსეთის მთელი საინფორმაციო მანქანა აქტიურად ახდენს ამ შესაძლებლობის პროპაგანდას," - განუცხადებდა რუსეთის ექსპრეზი-

დენტ ვლადიმირ პუტინის ყოფილმა ეკონომიკურმა მრჩეველმა ანდრეი ილარიონოვმა "რადიო თავისუფლებას". ჩვენ ამ ჭორების გამო არც გადაჭარბებული და არც მეტისმეტად უმნიშვნელო მოლოდინი უნდა გვქონდეს. უბრალოდ, მზად უნდა ვიყოთ მოულოდნელობებისთვისაც.

"კავკასია 2009" 29 ივნისიდან 6 ივლისამდე გაგრძელდება. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა და წვრთნების უშუალო ხელმძღვანელი გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ნიკოლაი მაკაროვია. წვრთნებში ჩართუ-

ლია "ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის, შავი ზღვის ფლოტისა და კასპიის ზღვის ფლოტილის ყველა ბრიგადა," - განაცხადა მაკაროვმა ჟურნალისტებთან საუბარში. წვრთნებში მონაწილეობს 8 500 ჯარისკაცი, 200 ტანკი, 250 საარტილერიო დანადგარი და 450 ჯავშანტექნიკა.

"საქართველოსთან ახალი სრულმასშტაბიანი ომისთვის ყველაზე სახიფათო პერიოდი შეიძლება მაშინ მოახლოვდეს, როცა საოკუპაციო ძალები უკვე განთავსებულია და მოქმედებისთვის "კავკასია 2009" ეგი-

დით იწყებს მზადებას," - წერს "ნოვია გაზეტას" მესვეტე პაველ ფელგენგაუერი. სვეტის ავტორმა 2008 წლის აგვისტოშიც, "კავკასია 2008" წვრთნების დამთავრების დროს, რუსეთის თავდასხმა იწინასწარმეტყველა.

ილარიონოვი სვანტე კორნელისა და ფრედერიკ სტარის მიერ რედაქტირებულ ქვეთავში - "2008 წლის აგვისტოს იარაღები" - დეტალურად ჰყვება იმის შესახებ, თუ როგორ გადაიზარდა "კავკასია 2008" ომში.

ბაზრძილაბა A3 გვირდვა

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე **www.24saati.ge**

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჰი ჰი ჰი
შენი სადაზღვეო ჯგუფი

აფხაზეთსა და ქართველებს შორის პირდაპირი დიალოგის დანყება "ძალიანაც რეალურია"

აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას აზრით, აფხაზეთსა და ქართველებს შორის პირდაპირი დიალოგის დანყება "ძალიანაც რეალურია".

შამბამ ეს განაცხადა აფხაზეთის "ალიანსთან" ინტერვიუში გააკეთა და მეტიც, დასძინა, რომ პირდაპირი დიალოგის დანყება აუცილებელიც კია. "ეს აუცილებელია. მაგრამ ეს მოხდება მაშინ, როცა მანდ ვილაც-ვილაცებს თავი ვაუგებოდათ", - აცხადებს დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელსაც არ დაუმაღავს, რომ "ვილაც-ვილაცებში" საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იგულისხმება. "მე შევიცარიაში სააკაშვილის უმოკლეს გარემოცვას შევხვდი და პირდაპირ ვუთხარი, რევრანსების გარეშე, რომ თუკი თქვენ და თქვენი "ნაჩალიკი" ასე გააგრძელებთ ურთიერთობებს, თქვენც და მთელი საქართველოც ძალიან ბევრ უბედურებას გადაეყრებით-მეთქი. ხომ გადაეყარეთ უკვე? კიდევ გადაეყრებით, იმიტომ, რომ თავში არაფერი უღვევთ," - განმარტავს სერგეი შამბა.

შამბას მტკიცებით, საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნები დეკემბერში გაიმართება.

"სოხუმში გეპატიჟები დეკემბერში, საპრეზიდენტო არჩევნების წინ. ისე, შემოდია, ისიც გითხრათ, თქვენთან როდის იქნება არჩევნები. მინიშნებას მოგცემ, ორივეგან ვერ მოასწრებ ყოფნას," - განაცხადა შამბამ. **პირველი**

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია "კავკასია 2009"-ს ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რუსეთის მიერ 29 ივნისს დანყებულ სამხედრო სწავლებას "კავკასია 2009"-ს ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს, - განაცხადა "ედპ"-ს ლიდერმა ბაჩუკი ქარდავამ.

"სწორედ ამ ტიპის სწავლებები უძლოდა წინ რუსეთის მიერ განხორციელებულ სამხედრო შემოჭრას, რადგან რუსეთის მიზანია, დასრულდეს საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა და ჩვენი ქვეყნის დასავლური მიმართულება ჩრდილოეთისკენ შეცვალოს," - აცხადებს ედპ-ს ლიდერი. **ჯი-ეიჩ-ენი**

"ლეიბორისტები" მოითხოვენ გიგი უგულავას კანონის ფარგლებში დასჯას

"ლეიბორისტები" გიგი უგულავას მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრასა და კანონის ფარგლებში დასჯას მოითხოვენ, ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კახა ძაგანია განაცხადა. "გიგი უგულავა არის ერთ-ერთი უსაშინლესი ფიგურა ქართულ პოლიტიკაში, რომელიც ხალხის ტერორსა და ყველანაირ შეზღუდვას ახორციელებს," - აცხადებს ძაგანია. მისივე თქმით, უგულავა თბილისის მასშტაბით სამშენებლო კომპანიების 90 პროცენტს აკონტროლებს და ისინი საკუთარი ოჯახის წევრებზე აქვს გაფორმებული. კახა ძაგანია მოუწოდებს უგულავას, კრიმინალური ქმედებების ნაცვლად, დაეხმაროს მოსახლეობას, რომლებსაც ბინებს უყიდიან და ქუჩაში ტოვებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

თურქეთი კავკასიის მოსაზღვრე ტერიტორიებზე სამხედრო წვრთნის ჩატარებას აპირებს

თურქეთი ყურადღებით ადევნებს თვალს კავკასიაში რუსეთის სამხედრო წვრთნებს "კავკასია 2009"-ს. თურქეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბში აცხადებენ, რომ თურქეთიც აპირებს თავისი შეიარაღებული ძალების სამხედრო წვრთნის ჩატარებას კავკასიის მოსაზღვრე ტერიტორიებზე. აღნიშნულ ინფორმაციას თურქეთის გენშტაბის წარმომადგენელზე დაყრდნობით "Hurriyet" ავრცელებს. "Hurriyet"-ის ინფორმაციით, თურქი სამხედროები ამ წვრთნების დროს ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლის სცენარს გაივლიან. "ეს გეგმიური სწავლებებია და მეზობლად მდებარე ქვეყნებში მიმდინარე სამხედრო წვრთნებთან არავითარი კავშირი არ აქვთ," - აცხადებენ თურქეთის გენშტაბში. **ჯი-ეიჩ-ენი**

რუსეთი მოწვევას

პირველი ხარისხიანი

ეუთო-ს მისიის 17-წლიანი მუშაობის შედეგად გამოშვებული ბუღალტრული ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც ასევე მიიჩნევა, რომ კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო დამკვირვებლების ყოფნა მათი უსაფრთხოების საიმედო გარანტი იქნებოდა.

თავის მხრივ, ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე დორა ბაკიანიანი აცხადებს, რომ რუსეთის მიერ ბლოკირებული მისიის ფუნქციონირების განახლების მცდელობას განაგრძობს.

"მაშინ, როდესაც ეუთო-ს სათავეში ჩაუდგებით, ჩვენი მიზანი იყო მისიის ახალი მანდატის შესახებ შეთანხმების მიღება. სამწუხაროდ, ეს ვერ შევძელით და სწორედ ამიტომაც, მისია დღეს უკვე შეწყვეტილია. ჩვენ ნამოვაცხენით ახალი წინადადებები იმის შესახებ, რომ შეთანხმებების გაფორმება შეგვიძლია და ასევე შესაძლებელია მოლაპარაკებათა განახლება. ჩვენ არ დავნებდებით," - განაცხადა გუშინ ვილნიუსში მყოფმა ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ.

ამ ფონზე, თითქოს გასაკვირ

რიც კი უნდა იყოს, რომ ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი კონფლიქტის ზონიდან ეუთო-ს მისიის გასვლას სწორ ნაბიჯად აფასებს. თუმცა, დეპუტატი იქვე აზუსტებს, თუ რას ეფუძნება მისი მოსაზრება.

"როგორ პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს, ნაბიჯი სწორი მიმართულებითაა გადადგმული, რადგან ეს, პრაქტიკულად, რუსეთის იზოლაციას გამოიწვევს," - განმარტავს პარლამენტარი. მისივე თქმით, საქართველოდან მისიის გასვლა რუსეთის ვეტოს შედეგია და მსოფლიო საზოგადოებამ ეს დაინახა.

"სწორედ ეს არის ნაბიჯი რუსეთის იზოლაციისკენ, ამის გარეშე კი პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია," - დასძენს დარჩიაშვილი.

გუშინ დაიწყო და 15 ივლისს დასრულდება აფხაზეთიდან ევრო-ს მისიის გასვლის პროცესიც.

15 ივლისისთვის ყველა დამკვირვებელი და მისიის სამოცილო კომპონენტის ყველა თანამშრომელი გავა აფხაზეთიდან, ადმინისტრაციული და ტექნიკური სამსახურების თანამშ-

მოხილვა მოსასმენი

მოწყობილობის აღმოსაჩენად

დათო ბაჩინია

გუშინ, კონსერვატიული პარტიის ოფისში, პრესკონფერენციის მიმდინარეობის პარალელურად, შინაგან საქმეთა სამინისტრო საგამოძიებო მოქმედებებს ატარებდა. ოპოზიციური პარტიების საქართველოს გზისა და კონსერვატიული პარტიის ოფისებში მოსასმენი მოწყობილობის აღმოჩენის შემდეგ, არსაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა აპარატურის დამონტაჟებაში შინაგან საქმეთა სამინისტრო დაადანაშაულეს და კიდევ ერთხელ მოითხოვეს მინისტრ ვანო მერაბიშვილის თანამდებობიდან გადადგომა. თავის მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტრო მზად არის, გამოძიების პროცესში აღმოჩენილი დეტალები საერთაშორისო ორგანიზაციებს გააცნოს.

კონსერვატიული პარტიის წევრთა მტკიცებით, მოსასმენი მოწყობილობა მათი ოფისის საკონფერენციო დარბაზში იყო დამონტაჟებული. პარტიის ლიდერების თქმით, ისინი ოპოზიციის სხვა ლიდერებთან შეხვედრებს, რომლებზეც მიმდინარე პოლიტიკური საკითხები განიხილებოდა, სწორედ აქ მართავდნენ.

როგორც ცნობილია, გუშინწინ მოსასმენი მოწყობილობა საქართველოს გზის ოფისშიც იპოვეს. არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები, ერთი მხრივ, იმ პირთა დაკავებას ითხოვენ, ვინც აპარატურა დაამონტაჟა, გარდა ამისა, მიიჩნევენ, რომ ოპოზიციური პარტიების ფარული მოსმენის გამო ხელისუფლებამ პასუხი უნდა აგოს.

სულ მცირე, შინაგან საქმეთა მინისტრი უნდა გადადგეს, რადგან მისი უწყების თანამშრომლებმა დაამონტაჟეს მოსასმენი

მოწყობილობა. ეს იმდენად ცხადია, რომ არ გამოვირცხავ, პირდაპირ განაცხადონ, რომ ეს მათი გაკეთებულია, - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კონსერვატიორების ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა.

ორი პოლიტიკური პარტიის ოფისში ელექტროენერჯის ჩამრთვებებში მოსასმენი აპარატურის აღმოჩენის შემდეგ, ოპოზიციამ, ფაქტობრივად, ყველა რაიონული თუ ცენტრალური ოფისი შეამოწმა. შედეგად კი, გუშინ, ალიანსი საქართველოსთვის ისინი რაიონული ორგანიზაციის ოფისში კიდევ ერთ მოსასმენ დანადგარს მიაგნეს და საპატრულო პოლიციაც გამოიძახეს.

სერიოზულად ვფიქრობ, შევამოწმო ჩემი სახლი, ვინაიდან ეჭვი არ მეპარება, რომ ხელისუფლებას ნამსვლელობა იმაზეც, რომ სახლებშიც დაგვიმონტაჟოს მოსასმენი აპარატები. ვფიქრობ, რომ ეს არის ხელისუფლების დემოკრატიულობის კარგი მაჩვენებელი. ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული და ჩვენ აღნიშნული ფაქტის გამოძიებას მოვითხოვთ, - განაცხადა გუშინ ალიანსის წევრმა, მემარჯვენე მამუკა კაციტაძემ.

ოპოზიციური პარტიის ლიდერების აზრით, სააკაშვილის ხელისუფლება პოლიტიკურ ოპონენტებს ასეთი მეთოდებით მუდმივად ებრძვის. კერძოდ, კონსერვატიორების ერთ-ერთი ლიდერი კახა კუკავა მიიჩნევს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში პოლიტიკური მოსმენის და თვალთვალის ფაქტი უკვე ოცდამეათედ დაფიქსირდა. პარტიების ოფისებში ნაპოვნი მოსასმენი აპარატურის გარდა, კუკავას მხედველობაში ჰქონდა ფარული მოსმენის ის ფაქტები, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ საკუთარი ინციტივით გახადა საჯარო. არც ერთი ამ ფაქტის გამო არავის წარმოუდ-

რომლები კი, კიდევ 2-3 თვეს დარჩებიან, - განაცხადა გაეროს გენერალური მდივნის თანამშემემ სამშვიდობო ოპერაციებში ედმუნდ მულეტმა გუშინ, სოხუმში აფხაზეთის ე.წ. პრემიერთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე (მულეტი აფხაზეთში მისიის დახურვის პროცესში საერთაშორისო და ადგილობრივი პერსონალის დასახმარებლად ჩავიდა). მისივე მტკიცებით, კონფლიქტის ზონაში ყოფნისას, გაერო-ს მისია მანდატს რთულ პირობებში ასრულებდა და 16 წლის განმავლობაში მისი 16 თანამშრომელი გაძარცვეს.

კონფლიქტის ზონებიდან საერთაშორისო მისიების გაძევების პარალელურად, რუსეთი ცდილობს, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საერთაშორისო აღიარების პროცესი თუნდაც ერთი ნაბიჯით წასწიოს წინ. ამ მიზნით კრემლი აქტიურად მუშაობს დეტალურ რეჟიმებთან, კერძოდ კი, კუბასა და ვენესუელასთან.

რუსულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, მოსკოვისთვის იმედისმიმცემია აღნიშნული ქვეყნების ელჩების განაცხადებები

ბარეში

იმის თაობაზე, რომ კუბა და ვენესუელა მხარს უჭერენ რუსეთის გადანყვეტილებას აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების შესახებ. თუმცა, ალანინიშავია ისიც, რომ ამავე ელჩების განმარტებით, კუბა და ვენესუელა ამ ეტაპზე სეპარატისტული რეგიონების აღიარებისგან თავს იკავებენ იმ მოტივით, რომ ამას გარკვეული პროცედურები სჭირდება.

საქართველოს ხელისუფლებაში დარწმუნებული არიან, რომ ოფიციალური ჰავანა და კარაკასი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს.

"რუსეთს ეგონა, ბელორუსიც აღიარებდა მათ, თუმცა, როგორც პრეზიდენტმა ლუკაშენკომ განაცხადა, ბელორუსი "არ იყიდება". დარწმუნებული ვარ, არც კუბა და არც ვენესუელა ჩვენს კონფლიქტურ რეგიონებს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ აღიარებენ", - დაბეჯითებით აცხადებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშვილი.

გარკვევა, როდის და ვისგან შეიწყდეს ისინი, - განმარტა სუბარმა.

პარტიების ოფისებში მოსასმენი აპარატურის აღმოჩენის საქმეში არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების ლიდერები საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვას მოითხოვენ.

იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ორგანიზაციები მოსასმენი აპარატურის აღმოჩენის საქმის გამოძიების სხვადასხვა დეტალებით დაინტერესდებიან, შინაგან საქმეთა სამინისტრო მზად არის, მათ საქმის მიმდინარეობა გააცნოს. როგორც შსს-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა შოთა ხიზანიშვილმა 24 საათთან საუბარში აღნიშნა, პოლიტიკური პარტიების საქართველოს გზისა და კონსერვატიული პარტიის ოფისებში აღმოჩენილი მოსასმენი აპარატურის აღმოჩენის ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

ნაპოვნი მოწყობილობის შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამგვარ ტექნიკურ აპარატურას სპეცსამსახურები უკვე დაახლოებით, 6 წლის განმავლობაში აღარ იყენებენ. უნდა ითქვას, რომ მის შექმნას არ სჭირდება რაიმე სპეციალური ლიცენზია, ამგვარი ტექნიკა თავისუფლად შეიძლება ნებისმიერმა ადამიანმა იყიდოს, როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოში. ეს გარემოება, ბუნებრივია, გამოიძიებას ართულებს. თუმცა, სამართალდამცავები მუშაობენ სხვა დეტალების დასადგენად. როგორც კი საქმის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მივიღებთ, საზოგადოებას აუცილებლად ვაცნობებთ, - განუმარტა 24 საათს ხიზანიშვილმა.

გაზეთი "24 საათის" გამოცემა იწყებს "გვკ". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარქაშვილი, პაბატა მუხამაძე.
რედაქცია: სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ლორიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: შალვა ჭავჭავაძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილაშვილი (რევიუ), კახა ფარქაშვილი (სპორტი). **რედაქცია და მარკეტინგის განყოფილება:** ირაკლი ლეივა ტელ: 899 22 09 49. **მმართველი (მენეჯერი):** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირაკლი ჯიბუკაძე (მენეჯერი), დიმიტრი მუსხელიშვილი, თენგიზ ქორია, ნინო ყავთაშვილი. **რედაქციის მისამართი:** თბილისი, 01-86. **ირაკლი გამრეკელი ქ.51. ტელ:** 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). **ფაქსი:** 31-93-86. **ელ-ფოსტა:** public@24hours.ge

წინადადებაები და ულტიმატუმები ქინეზში

პირველი გვერდიდან

თბილისი რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის დაყენებას გეგმავს, მათ შორის არის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვა, ამ ტერიტორიებზე საერთაშორისო და საპოლიციო ძალების მექანიზმების განხილვა და ინციდენტების პრევენციის მექანიზმის სრული ამოქმედება.

როგორც გუშინ ეუთო-ში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა პაატა გაფრინდამიძემ განაცხადა, საქართველო გააგრძელებს შენევაში მთავარი საკითხის დაყენებას, რომელიც კონფლიქტის ზონებში უსაფრთხოებასა და სტაბილურობას და მათი მიღწევის საშუალებებს ეხება. კერძოდ, საერთაშორისო თანამეგობრობის მეტად ჩართვას კონფლიქტის მოგვარების პროცესში და საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციის განხორციელებას.

მოსკოვი მოლაპარაკებათა ახალი რაუნდისთვის თავისებურად მოემზადა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შენევის დისკუსიების ფორმატის შეცვლა მოითხოვა. ამ გადაწყვეტილებამდე, როგორც საგარეო უწყება აცხადებს, რუსული მხარე სოხუმთან, ცხინვალთან, ასევე ევროკავშირთან კონსულტაციების შედეგად მივიდა.

"ნათელია, რომ კავკასიაში შექმნილი ახალი სიტუაცია სერიოზულ გადაფასებას მოითხოვს, მათ შორის შენევის დისკუსიების ფორმატისა და პერსპექტივების თვალსაზრისით," - ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. რუსული მედიის ცნობით, რუსი დიპლომატები იმაზეც მიანიშნებენ, რომ, ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შენევის კონსულტაციების დღევანდელი რაუნდი **"უკანასკნელი"** იქნება.

გარდა ამისა, ოფიციალური მოსკოვი გაერო-სა და ეუთო-ს მისიების საქმიანობის შეწყვეტაში, **"რუსეთის კონსტრუქციული პოზიციის მიუხედავად"**, საქართველოსა და დასავლეთს ადანაშაულებს.

მოსკოვი თბილისს ასევე **"აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საზღვრებთან შეიარაღებული ძალებისა და პოლიციის მანევრების ჩატარე-**

ბაში" სდებს ბრალს და იმასაც აღნიშნავს, რომ **"საქართველოში შიდაპოლიტიკური არასტაბილურობა, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების ფონზე, დაძაბულობის ახალი ტალღის საშიშროებას ქმნის."**

მოსკოვის ბრალდებები სიმართლეს არ შეესაბამება - განაცხადა გუშინ შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შოთა უტიამვილმა. მისი თქმით, ოკუპირებული რეგიონების საზღვრებთან არც ერთი ჯარისკაცი არ იმყოფება და იქ მხოლოდ პოლიციაა განლაგებული. მისი თქმით, ამის დადასტურება ევროკავშირის დამკვირვებლებს შეუძლიათ.

როგორც, თავის მხრივ, საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა სერგი კაპანაძემ აღნიშნა, რუსეთის ეს ბრალდება საფუძველს არის მოკლებული და მიზნად ისახავს საერთაშორისო თანამეგობრობის შეცდომაში შეყვანას. მისივე თქმით, ქართული ძალების კონცენტრაცია კონფლიქტის ზონებში ქვეყანაში მოქმედება საერთაშორისო მისიებმა არაერთხელ უარყვეს. ამგვარი ბრალდებები, კაპანაძის აზრით, მოსკოვს ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე წვრთნების გასამართლებლად სჭირდება.

რუსეთის საგარეო უწყებამ თავის განცხადებაში ისიც აღნიშნა, რომ შექმნილ ვითარებაში **"კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება თბილისის მიერ სოხუმთან და ცხინვალთან ძალის გამოყენების შესახებ დოკუმენტის გაფორმება."**

თუმცა, როგორც გუშინ შოთა უტიამვილმა აღნიშნა, სოხუმისა და ცხინვალის რეჟიმებთან საქართველო არანაირ ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერს.

იმავდროულად, სოხუმში უარყოფენ შენევის ფორმატის ცვლილებების შესახებ მოსკოვთან რაიმე კონსულტაციების ჩატარებას. **"ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ ფორმატის წინააღმდეგ ვართ, რადგან ეს საკითხი არ განვიხილავს,"** - განაცხადა აფხაზური დელეგაციის ხელმძღვანელმა მაქსიმ ლვინჯიამ.

მისი თქმით, აფხაზური მხარე მოლაპარაკებებში იმის მიხედვით მიიღებს მონაწილეობას, **"რამდენადაც**

კონსტრუქციული და ჩვენთვის საინტერესო იქნება." მისივე განმარტებით, სოხუმში აპირებს, მხარეებს ხუთმხრივი **"ექსპერიმენტული"** შეხვედრის მოწყობა შესთავაზოს - რუსული, აფხაზური და ქართული მხარეების, ასევე ევროკავშირისა და გაერო-ს წარმომადგენელთა მონაწილეობით.

თავის მხრივ, ცხინვალში, იმდეს გამოთქვამენ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა დათანხმდება წინადადებას თბილისის მიერ ძალის არ გამოყენებაზე შეთანხმების ხელმოწერის შესახებ. **"ჩვენ ვავაგრძელებთ მოლაპარაკებებში მონაწილეობას, რათა საქართველოს ამ ხელშეკრულების ხელმოწერა ვაიძულოთ,"** - განაცხადა მარიონეტული რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრმა მურად ჯიოევმა.

ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი აცხადებს, რომ შენევის შეხვედრიდან სასწაულს არ ელის, რადგან პროგრესის მიღწევა რთული პროცესია.

"ცხადია, რუსეთი არაკომფორტულად გრძნობს თავს და არ არის გამორიცხული, შენევაში ადეკვატურად მოიქცეს, რათა საკუთარი იმიჯი შეცვალოს," - აღნიშნა დარჩიაშვილმა.

მისი თქმით, არ არის გამორიცხული, შეხვედრაზე საუბარი ინციდენტების პრევენციის მექანიზმს შეეხოს, თუმცა, მისი აზრით, რუსეთს ძალის გამოყენების შესახებ არაადეკვატური მოთხოვნები აქვს. დარჩიაშვილის განმარტებით, რუსეთი აცხადებს, რომ არაფერ შუაშია და ცეცხლის განუახლებლობის შესახებ შეთანხმებას "ეთნიკური კონფლიქტის" მხარეებმა უნდა მოაწერონ ხელი. **"თუ ეს მოხდა, საქართველო იმას დაამტკიცებს, რომ სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარებს. ამას კი ქართული მხარე არ დაუშვებს,"** - აცხადებს დარჩიაშვილი.

ჭორები ოფია



პირველი გვერდიდან

"ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოქტის ჯარებმა ფართომასშტაბიანი სამხედრო მანევრები 15 ივლისს დაიწყეს, რომელშიც მონაწილეობდა 8 000 სამხედრო მოსამსახურე არმიიდან, შინაგანი ჯარებიდან და უშიშროების ფედერალური ბიუროდან. გარდა ამისა, წვრთნებში ჩართული იყო მძიმე ტექნიკის 700 ერთეული, სამხედრო-საჰაერო ძალები და შავი ზღვის ფლოტი."

"კავკასია 2009"-ის მსგავსად, გასულ წელსაც წვრთნებს ჩრდილოეთ კავკასიის ჯარების ხელმძღვანელი მაკაროვი მეთაურობდა.

"წვრთნების მონაწილეებს დაურიგდათ მცირე მოცულობის ბროშურები სათაურით - ჯარისკაცი, იცოდე შენი მტერი! მასში მოცემული იყო ქართული ჯარების აღწერილობა, რომელსაც მალევე დაუპირისპირდნენ," - აგრძელებს ილარიონოვი.

რუს სამხედრო და სამოქალაქო ოფიციალურებს თავი მოჰქონდა იმით, რომ ისინი მალე შეიჭრებოდნენ საქართველოში.

რუსეთი თავზედურად შეუძღვა "კავკასია 2008"-ის ნაწილებს ქართულ ტერიტორიაზე. "სამხრეთ ოსურსა და ქართულ მიმართულებებს მე ვხელმძღვანელობდი... ჩვენმა ჯარებმა კარგი პრაქტიკა გაიარეს, რადგან ზუსტად ამ არეალებთან ახლოს, ერთი კვირით ადრე გვექონდა ჩატარებული წვრთნები," - განუცხადა ახლახანს რადიო "ეხო მოსკვის" გენერალ-მაიორმა ვიაჩესლავ ბორისოვმა.

რუსეთი საქართველოში 2008 წლის 7 აგვისტოს შეიჭრა. რუსეთის მიერ ოკუპირებულ ქართულ ტერიტორიებზე ვარჯიშის გათვალისწინებით, "კავკასია 2009" რეპეტიციას ჰგავს. როგორც რუსეთის სახმელეთო ძალების მეთაურმა ვლადიმერ ბოლდირევმა 18 ივნისს, "რია ნოვოსტის" განუცხადა, "მე-4 და მე-7 ბრიგადები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში სრულ საბრძოლო მზადყოფნაში არიან. ისინი იცავენ მშვიდობიან მოქალაქეებს და მზად არიან, ნებისმიერ აგრესიას უპასუხოვნ."

მაგრამ, "თუ საქართველო მართლა ემზადება ომის დასაწყებად, რუსეთი ასე თავგამოდებით რატომ ცდილობს საქართველოდან საერთაშორისო დამკვირვებლების გაძევებას, რომლებიც შეძლებდნენ მსოფლიოსთვის იმის ჩვენებას, თუ როგორ ემზადება საქართველო საომრად?" - იკითხა იულია ლატინინამ 23 მაისს, "მოსკოვ თაიმსში" გამომქვეყნებულ სტატიაში. რატომ დაინდო რუსეთმა ვეტო გაერო-სა და ეუთო-ს დამკვირვებლების მანდატის გაგრძელებას და არც ევროკავშირის დამკვირვებლებს უშვებს ოკუპირებულ ქართულ ტერიტორიებზე?

ლატინინას სტატიის სათაურში მოცემულია დასკვნა, რომ "რუსეთი ემზადება საქართველოსთან ომის მეორე რაუნდისთვის." მზადება მოიცავს კრემლის კონტროლსა და იმაზე, თუ რას ვისმენთ და როდის ვისმენთ.

მოსკოვი დაწყებული ჭორები, უბრალოდ, მიზეზია იმისთვის, რომ გადაჭარბებული რეაქცია არ გვექონდეს. მოსკოვს უნდა მოსწონდეს ოფიციალური თბილისის მხრიდან ვითარებაში გაურკვევლობის ცქერა, როცა რუსეთს შეუძლია ამტკიცოს, რომ ქართული აგრესიის პროგნოზი მართლდება. ამ დროს კი ომზე საუბრები საქართველოში შემფოთებას ზრდის, ამცაფრებს უპრინციპო პოლიტიკურ რიტორიკას და ქვეყანას ინვესტირებისთვის არამიმზიდველს ხდის.

ცხადია, ჩვენ არ უნდა მოვდუნდეთ. რუსეთი საქართველოში გასული წლის აგვისტოში შეიჭრა და 2008 წლის აგრესიის მოდელი თვალსაჩინოდ ჰგავს მოვლენების ამჟამინდელ განვითარებას. ილარიონოვი, ფელგენგაუერიცა და ლატინინაც კარგად იცნობენ მოსკოვს. შესაძლოა, მათ არ იცოდნენ, რა ტიპის პოლიტიკური გადაწყვეტილებებია მიღებული ან მომავალში რას მიიღებენ, მაგრამ მათი ანგარიშები მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოზე რუსეთის მეორე შეტევა კრემლისა და რუსეთის თეთრი სახლის კულუარებში განხილბა.

შესაბამისად, დასავლეთმა ამჯერად მაინც უნდა გაავლოს მკვეთრი დიპლომატიური ნითელი ხაზი. კერძოდ, შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, რომელიც მოსკოვს მომავალ კვირას ეწვევა, პუტინიცა და რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევიც უნდა დაარწმუნოს იმაში, რომ საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ნებისმიერი აგრესია მოკლე ჩართვას გამოიწვევს იმ "გადატვირთვას" ლილაკში, რომელიც ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებში ფიგურირებს.

ამავდროულად, დასავლურმა სახელმწიფოებმა საქართველოს მკაფიო მხარდაჭერა უნდა გამოხატონ. მათ არ უნდა ჰქონდეთ უსიტყვო და ფარული მოლოდინი იმისა, რომ საქართველო შეინარჩუნებს მოუხერხებელ პოზიციას მაშინ, როცა რუსეთის მხრიდან კიდევ ერთი გააფთრებული იერიში ახლოვდება.

სამწუხაროდ, გასული ზაფხულის რეპრიზა შესაძლებელია. ასევე მოსალოდნელია ომის სხვა ფორმები - კიბერეირიში, თანაც კიდევ უფრო ფრთხილად შესრულებული, ვიდრე გასული წლის ზაფხულში; ბათუმისა და ფოთის პორტების ბლოკადა; შეითხნელი დაპატიმრებები საქართველოში უმცირესობით დასახლებულ ტერიტორიებზე; აუხსნელი აფეთქებები აღმოსავლეთ-დასავლეთ ენერგოსადენების ახლოს და ა.შ.

"ვაშინგტონ პოსტში" ახლახანს გამოქვეყნებულ სარედაქციო წერილს რომ დავესესხით, ჩვენ შესაძლოა, "საქართველოში კიდევ ერთ ზაფხულს" ველოდეთ.

დევიდ ჯ. სმიტი, საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის დირექტორი (თბილისი) და პოტომაკის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ვაშინგტონი).

მკვლელობა სოხუმის ცენტრში

სოხუმის ცენტრში გუშინ კიდევ ერთი მკვლელობა მოხდა. მოკლულია სოხუმის სამხედრო დაზვერვის სპეცგანყოფილების უფროსი, გვარად ხიშბა. რუსული საფრთხეობის ინფორმაციით, ხიშბა საკუთარ ავტომანქანაში მაკაროვის სისტემის იარაღით ჩაცხრილეს.

სამხედრო დაზვერვის სპეცგანყოფილების უფროსი, ვინმე ხიშბა პოლიტიკური დაპირისპირების მსხვერპლი გახდა. როგორც ჩანს, აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით, აფხაზეთში ვითარება იძაბება, - ასეთი შინაარსის ინფორმაცია გამოქვეყნდა გუშინ რუსულ პრესაში.

პრესის ინფორმაციით, ხიშბა ერთ-ერთი საპრეზიდენტო კანდიდატის, ბესლან ბუთბას მხარდამჭერი იყო და მისი ლიკვიდაცია სეპარატისტული ხელისუფლების სურვილით მოხდა. როგორც გაირკვა, გუშინ სოხუმის ცენტრში დაგვიძლი ბესლან ბუთბას მხარდამჭერი აქციის ორგანიზატორი სწორედ ხიშბა იყო.

ბესლან ბუთბას მხარდამჭერებმა გუშინვე განაცხადეს, რომ ხიშ-

ბას ლიკვიდაცია ოფიციალური სოხუმის ხელმძღვანელობამ დაგეგმა. მომხდართან დაკავშირებით, სეპარატისტული ხელისუფლების შინაგან საქმეთა მინისტრმა სპეციალური განცხადება გააკეთა. მისი თქმით, სოხუმის მერიას მიტინგის ან სხვა სახის პოლიტიკური აქციის ჩატარების ნებართვა არ გაუცია.

ხიშბას მკვლელობა არ არის პირველი. ხშირია შემთხვევები, როდესაც თავდასხმის ობიექტები აფხაზეთის ძალადგანი სტრუქტურების წარმომადგენლები ხდებიან. ცოტა ხნის წინ ვალში აფხაზეთის კონტრდაზვერვის სპეცსამსახურის უფროსი ედუარდ ემინზადე მოკლეს. შემდეგ კი, სოხუმის ცენტრში, ასევე, სიცოცხლეს გამოასალმეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ზაკან ჯულელია, - განაცხადა სეპარატისტული ხელისუფლების შინაგან საქმეთა მინისტრმა.

პრეზიდენტობის კანდიდატ ბესლან ბუთბას ახლობლები ირწმუნებიან, რომ ბოლო დროს მომხდარი მოვლენების ავტორი სეპარატისტული ხელისუფლებაა და ის ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ პრეზიდენტობის კანდიდა-

ტებს პრობლემები შეუქმნას. ამის მაგალითად ბესლან ბუთბას მხარდამჭერებს მისი ახლო ნათესავის, ვალმერ ბუთბას დაკავების ფაქტი მოჰყავთ.

ვალმერ ბუთბა, რომლის სახელსაც რამდენიმე შეიარაღებული დაჯგუფების შექმნა უკავშირდება, ყოფილმა კოლეგებმა, აფხაზ სეპარატისტთა შსს-ს თანამშრომლებმა ოჩამჩირის მახლობლად მდებარე ოხურის ხიდზე მამინ დააკავეს, როცა ვალის რაიონიდან სოხუმში ბრუნდებოდა. ბუთბას დაკავების ოპერაციას აფხაზ სეპარატისტთა სამძებრო განყოფილების უფროსი ვარი არშბა ხელმძღვანელობდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ბუთბა მის მანქანაში ჩატარებული ჩხრეკისას აღმოჩენილი იარაღის უკანონო ტარებისთვის დააკავეს. ცნობილია ისიც, რომ სოხუმში არსებულმა ოპოზიციურმა პარტიებმა აფხაზ სეპარატისტთა პრეზიდენტს წერილით მიმართეს, ვალმერ ბუთბას დაკავება "ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ რეპრესიების დაწყებად" შეაფასეს და მისი დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვეს.

გაცემული დოკუმენტების აკოსტილით დამონება გამართვდა

უცხო ქვეყანაში წარსადგენად საქართველოში გაცემული ოფიციალური დოკუმენტების აკოსტილით დამონება და ლეგალიზაცია გამართვდა. მიმდინარე წლის 15 ივლისიდან, იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური ოფისის ნაცვლად, ამ ფუნქციას სამოქალაქო რეესტრის სააგენტო შეასრულებს.

შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით განმარტებები იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი ვაშაძემ გააკეთა. მისი თქმით, დოკუმენტების აკოსტილით დამონებისა და ლეგალიზაციის პროცედურის დახვეწა მიზნად ისახავს საქართველოს მოქალაქეების მიერ საზღვარგარეთ წარდგენილი დოკუმენტების სანდოობის გაზრდას. ცვლილებების თანახმად, მოქალაქეთათვის ოფიციალური დოკუმენ-

ტების ლეგალიზებისა და აკოსტილით დამონებისათვის არსებული პროცედურები მნიშვნელოვნად გამარტივდება. კერძოდ, იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ნაცვლად, ლეგალიზებისა და აკოსტილით დამონებისთვის დოკუმენტების ჩაბარება შესაძლებელი იქნება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ოფისებში, თავდაპირველად - თბილისში, მოგვიანებით კი - ქუთაისსა და ბათუმშიც.

დოკუმენტების ლეგალიზებისა და აკოსტილით დამონებისათვის 10-დღიანი ვადა განისაზღვრება. ამასთან, დაინერგება დაჩქარებული მომსახურება და მოქალაქეს შესაძლებლობა ექნება, შესაბამისი საფასურის გადახდის შემდეგ, დამონებული დოკუმენტი იმავე, მეორე ან მე-ხუთე დღეს მიიღოს.

გამარტივებული პროცედურების მიხედვით, სამოქალაქო რეესტრის სააგენტო,

"ერთი ფანჯრის" პრინციპის გათვალისწინებით, მოქალაქეებს ახალ მომსახურებას - აკოსტილით დამონებული დოკუმენტების ადგილზე თარგმნას შესთავაზებს. ამასთან, შესაძლებელი გახდება თარგმნის სისწორის აკოსტილით დამონება. გარდა ამისა, თუ ადრე აკოსტილის შტამში მხოლოდ ქართულ ენაზე ივსებოდა, ამჯერად შტამში შედგენილი იქნება ორ ენაზე: ინგლისურად და ქართულად, შესაბამისად, მოქალაქეს აკოსტილის თარგმნა აღარ მოუწევს. აკოსტილითა და ლეგალიზაციისათვის დოკუმენტების ჩაბარებისას მოქალაქეს განცხადებების ხელით შევსება აღარ მოუწევს, მას სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანამშრომელი ელექტრონული ფორმით შეავსებს. ამასთანავე, ახალი წესის თანახმად, აკოსტილის შტამში სპეციალურ დასაწებებულ ქალაქულად - სტიკერზე ამოიბეჭ-

დება და დასამონებელ დოკუმენტს დაეკრება," - განმარტავს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის თავმჯდომარე.

როგორც გაიკვავა, საქართველოში გაცემული და დამონებული დოკუმენტების სანდოობის ხარისხის ასამაღლებლად ახალი დამცავი მექანიზმი - ელექტრონული უზრუნველყოფის შემოღება. აკოსტილის სტიკერზე მითითებულ ვებგვერდზე უცხო ქვეყნის ორგანოებს, რომელთაც წარედგინება საქართველოში დამონებული დოკუმენტი, შეეძლება, აკოსტილის უნიკალური ნომრის მიხედვით მისი ნამდვილობა გადაამოწმონ.

მოქალაქეებისთვის შემჭიდროვებულ ვადებში მომსახურების განეხილეს მიზნით, დაინერგება სპეციალური პროგრამა, რომელითაც შეიქმნება თანამდებობის პირების ხელმძღვანელებისა და ბეჭდების ბაზა.

საკუთარი ინფორმაცია

საკუთარი გატაცების ინსცენირებაში ექვემდებარებილი დააკავეს

სამართალდამცველებმა საკუთარი გატაცების ინსცენირებაში ბრალდებული ორი პირი დააკავეს. ბიძაშვილები - დანიელ გოგიტიძე და რომან ფუტკარაძე ფულს გოგიტიძის მამას სძალავდნენ.

გამოძიების ინფორმაციით, ბათუმელმა ნათესავეებმა საკუთარი გატაცების ინსცენირება მოაწყვეს და თბილისში იმალეობდნენ.

გოგიტიძე და ფუტკარაძე მშობლებს დაახლოებით 20 ათას დოლარს სძალავდნენ. გამოძიების ინფორმაციით, გატაცების ინსცენირების ორგანიზატორია დანიელ გოგიტიძე, რომელსაც რომან ფუტკარაძე ეხმარებოდა.

სამართალდამცველების ინფორმაციით, გოგიტიძემ საკუთარი და მისი ბიძაშვილის გატაცება დაგეგმა. ისინი რამდენიმე დღის განმავლობაში თბილისში იმალეობდნენ, მშობლებს ტელეფონის საშუალებით უკავშირდებოდნენ და ეუბნებოდნენ, რომ თუ ისინი არ გადაიხდიდნენ მოთხოვნილ თანხას, მათ ფიზიკურად გაუსწორებდნენ. მეტი დამაჯერებლობისთვის მათ სხეულზე დაზიანებები მიიყენეს.

გოგიტიძე და ფუტკარაძე სამართალდამცველებმა თბილისში დააკავეს. მათ დანაშაული აღიარეს. მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მეორე ნაწილით. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, მათ 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

ვი-ეიზ-ენი

რუსი ჭარისკაცების სისასტიკე

მთვრალმა რუსმა ჯარისკაცებმა აფხაზეთში არასრულწლოვანი გოგონა გააუპატიურეს.

გავრცელებული ინფორმაციით, შემთხვევა სოფელ ახალსოფელში მოხდა. ძალადობის თვითმხილველი მეზობელი გახდა. სამხედროებმა ცეცხლი გაუხსნეს ადგილობრივ მოსახლეობას, საპასუხო ცეცხლის შედეგად კი ერთი სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა, რომელიც კრასნოდარის სამხედრო ჰოსპიტალშია გადაყვანილი. გავრცელებული ინფორმაციით, სროლის შედეგად მოკლულია გოგონას ბაბუა.

პირველი

მაგისტრანტები საადვოკატო ბიუროში დასაქმდებიან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმს იურიდიული ფირმის შპს "ერისთავი და კომპანის" დირექტორმა დავით ერისთავმა და უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ მოაწერეს ხელი.

მემორანდუმის თანახმად, იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტი სტუდენტები ერთი აკადემიური სემესტრის მანძილზე საადვოკატო ბიუროში სტაჟირებას გაივლიან. სტაჟირება სამართლის სხვადასხვა დარგს, მათ შორის, სისხლის, კერძო და სამოქალაქო სამართალს მოიცავს.

საუკეთესო მაგისტრანტები კი, სტაჟირების დასრულებისთანავე, საადვოკატო ბიუროში დასაქმდებიან.

ვი-ეიზ-ენი

პირველი ევროპული კონფერენცია მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის

30 ივნისს და 1 ივლისს საფრანგეთის ქალაქ ბორდოში მოსამართლეთა და პროკურორთა პირველი ევროპული კონფერენცია გაიმართება.

კონფერენციაზე, რომელიც საფრანგეთის იურიდიული სამსახურის სწავლების კოლეჯში Ecole nationale de la Magistrature française-ში გაიმართება, ევროსაბჭოს 47 წევრი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს მოსამართლეები და პროკურორები შეიკრიბებიან, სადაც ორგანიზაცია მათი როლის შესახებ მოსაზრებას მოამზადებს. მოსამართლეები და პროკურორები, თავიანთ როლებს და ურთიერთშეხვედრების გზებს განიხილავენ. მათი დისკუსიის შედეგად კი ამ საკითხის შესახებ მოსაზრება ჩამოყალიბდება, რომელიც 2009 წლის ბოლოსთვის დამტკიცდება. კონფერენციის მიზანია, ამ ორი პროფესიის საერთო ღირებულებები გამოაშკარავოს, რომლებიც ერთმანეთს ავსებს. ამასთან, 30 ივნისს ადგილობრივი კოლეჯის ჰოლში პრეზბრიფინგი ჩატარდება, რომელშიც კოლეჯის დირექტორი ჟან-ფრანსუა ტონი და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების და სამართლებრივ საქმეთა გენერალური დირექტორი ფილიპ ბოლა მიიღებენ მონაწილეობას. შეხვედრა ევროსაბჭოს მიერ ევროპულ პროკურორთა და მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოების ინიციატივით ტარდება და საფრანგეთის იურიდიული სამსახურის სწავლების კოლეჯის Ecole nationale de la Magistrature française მიერაა ორგანიზებული.

პირველი

საკანონმდებლო ინიციატივა შრომის კოდექსთან დაკავშირებით

უახლოეს მომავალში, პარლამენტარებს ახალ საკანონმდებლო ინიციატივაზე მსჯელობა მოუწევთ. საუბარია შრომის კოდექსში შესატან ცვლილებებზე. ცვლილებებს საპარლამენტო ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატები" ითხოვს. მათ შესაბამისი კანონპროექტი უკვე მომზადებული აქვთ. "ქრისტიან-დემოკრატები" მოქმედ "შრომის კოდექსს" აკრიტიკებენ და პარლამენტს შრომის კანონმდებლობასთან დაკავშირებით ახალ საკანონმდებლო ინიციატივებს სთავაზობენ.

ტორები ირწმუნებიან, საქართველოს შრომითი კანონმდებლობა არ არის დაბალანსებული, მორგებულია მხოლოდ დამსაქმებელთა ინტერესებს და დასაქმებულთა უფლებებს არ იცავს.

კანონპროექტის ავტორები მიიჩნევენ, რომ შრომითი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად აუცილებელია, კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებს შესაბამისობაში დაყვანა მხარის ინტერესებს თანაბრად გამოხატავდეს. რაც მთავარია, ის ევროპის სოციალურ ქარტიას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

ქრისტიან-დემოკრატები აცხადებენ, რომ სამსახურიდან დასაქმებულის ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გათავისუფ-

ლება დაუშვებელია და, მოქალაქის გათავისუფლების შემთხვევაში, დამსაქმებელმა დასაბუთებული მიზეზი უნდა წარადგინოს.

გარდა ამისა, სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში, დასაქმებულს არანაკლებ ორი თვის შრომის ანაზღაურება უნდა მიეცეს.

კანონპროექტის თანახმად, დასაქმებულთან მოკლევადიანი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს, დასაქმებულს შეიძლება დაიდოს, მესამე კი გრძელვადიანი უნდა იყოს, ანუ სამ თვეზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება.

გარდა ამისა, "ქრისტიან-დემოკრატები" მიიჩნევენ, რომ ორ თვეზე მეტი ვადით შრომითი ხელშეკრულება წერილობითი

ფორმით უნდა დაიდოს, სადაც მხარეების უფლება-მოვალეობები დეტალურად იქნება ჩამოყალიბებული.

კანონპროექტის თანახმად, ზეგანაკეთილი სამუშაოს შესრულება დასაქმებულს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელფასის მიწინააღმდეგეობით უნდა აუნაზღაურდეს.

გარდა ამისა, "ქრისტიან-დემოკრატები" შრომის უსაფრთხოებისა და ინსპექტირების საკითხებზე და ასევე ორსული ქალებისა და დედებისთვის შუღავათიანი და უსაფრთხო შრომითი გარემოს შექმნასთან დაკავშირებით ინიციატივას აშუალებენ.

საკუთარი ინფორმაცია

7 ნოემბერს დაზარალებულთა საქმეები სტრასბურგის სასამართლოში

ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი" პირველი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 2007 წლის 7 ნოემბერს დაზარალებული მოქალაქეების განაცხადი ევროსასამართლოში გაგზავნა. ცოტა ხნის წინ კი ორგანიზაციის წევრებმა "ტელეიმედის" წარმომადგენლებს მიმართეს, რათა სამართალდამცველთა შეჭრით მათი უფლებების დარღვევა სტრასბურგის სასამართლოს განჯის საგნად იქცეს.

ლემბა ჩვენ გავსაჩივრეთ ევროსასამართლოში 2007 წლის 7 ნოემბერს ადამიანის უფლებების მასობრივად დარღვევის ფაქტი. ვსარგებლობ შემთხვევით და ვაცხადებ, რომ ყველას, ვისაც იმ დღეს რაიმე სახის ზიანი მიაღდა, შეუძლია, მოგვმართოს და ჩვენ დავეხმარებით," - აცხადებს ლია მუხაშვილი.

"ტელეიმედის" დარბევის საქმის ევროსასამართლოში შესატანად ადვოკატები დახმარების თხოვნით ქრისტიან-დემოკრატებს" მიმართავენ. სწორედ ამ პარტიის წევრები მუშაობდნენ იმ დროს ტელეკომპანია იმედში

"ჩვენ გვინდა, ეს თემა უფრო აქტუალური გავხადოთ და გამოვიკვლიოთ პირდაპირი კვირ-მინალური ქმედება. იგივე თხოვნით გვინდა მივმართოთ კობა დავითაშვილს, რომელიც 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის დროს დაზარალდა. მიგვაჩინია, რომ ამ ადამიანებმა უნდა მოგვეცინ საშუალება, გავასაჩივროთ ეს ფაქტი, რათა მომავალში ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ გაბედოს მსგავსი ვანდალური ქმედების ჩადენა," - აცხადებს ადვოკატი ლია მუხა-

შვილი. ადამიანთა უფლებათა პრიორიტეტის" ადვოკატების განცხადებით, 7 ნოემბრის შემდეგ უკვე ორი წელია გასული და მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების უმალესმა წარმომადგენლებმა აღიარეს და დაემსხმნენ, ამ ფაქტთან დაკავშირებით, არც ერთი დამნაშავე არ გამოვლენილა და არ დასჯილა.

აღნიშნული საქმის შესწავლისას დადგინდა, რომ დაზარალებულების მიმართ დარღვეულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მეთორმეტე, მეცამეტე, მეათხმეტე მუხლები, რაც იმას ნიშნავს, რომ განმცხადებლის მიმართ საქართველოს მთავრობამ დარღვია სიცოცხლის უფლება, სიტყვის გამოხატვის თავისუფლება, შეკრების და მანიფესტაციის უფლება, ამასთანავე, ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სამართალდამცველმა ორგანოებმა განმცხადებლები არ ცნეს დაზარალებულად და დაიკითხნენ მხოლოდ მოწმის სტატუსით," - აცხადებს ორგანიზაციის იურის-

ტი ლია მუხაშვილი.

ადვოკატ პაატა ხოტენაშვილის განცხადებით, 2007 წლიდან მოყოლებული, მათ მხოლოდ სამმა დაზარალებულმა ადამიანმა მიმართა და სტრასბურგის სასამართლოში სწორედ მათი საქმეები გაიგზავნა.

თუ ყველა დაზარალებული განაცხადებს ხმამაღლა და ხელისუფლების მიერ მათ მიმართ ჩადენილ უკანონოებს გაპროტესტებს, მაშინ შესაძლებელია შემცირდება მსგავსი ფაქტები და დამნაშავე პირების დასჯაც უფრო ადვილად მოხერხდება, - აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის" წარმომადგენლები.

მათივე განმარტებით, თუ სტრასბურგის სასამართლო განმცხადებლებს დაზარალებულების სასარგებლოდ გამოიტანს, საქართველოს მთავრობას დაზარალებულების მიმართ არა მხოლოდ ფულადი კომპენსაცია დაეკისრება, არამედ დაისჯება ყველა ის ადამიანი, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა დარბევაში და დარბევის ბრძანება გასცა.

საკუთარი ინფორმაცია

განცხადება ტენდერის შესახებ

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა.ა.ი.პ "კეთილმოწყობის ცენტრი" (მისამართი: ქ. ზუგდიდი, 2100 რუსთაველის ქ. N90) აცხადებს ტენდერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 26 სოფლის ტერიტორიაზე არსებული **გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვისა და გამართული მუშაობის უზრუნველყოფის მომსახურების შესყიდვაზე** და ინვესტორს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დანტენდერულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

2. გასანევი მომსახურების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. მომსახურების განევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დანტენდერულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად (ორიგინალის და ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით) უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით **2009 წლის 21 ივლისს, 10 სთ-დან 15 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-3 სართული, ოთახი N12.** სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნეს პრეტენდენტი იურიდიული და ფიზიკური პირის ხელმოწერილი მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით.

- b) ამონაწერი სამეწარმეო რეგისტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- g) ცნობა მასზე, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);
- d) ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების განევის გამოცდილების შესახებ;
- e) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

- 6. სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში მათი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს მე-5 მუხლში მითითებულ ცნობებსა და ინფორმაციას.
- 7. დავიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.
- 8. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება **2009 წლის 21 ივლისს, 15 სთ-ზე**, სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებისთანავე, პრეტენდენტების თანდასწრებით, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.
- 9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

- 10. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.
- 11. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეეძლება განცხადების გამოქვეყნებიდან საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების მიღების დასრულებამდე, **შემდეგ მისამართზე ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-4 სართული, ოთახი N3.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. ტენდერში მონაწილეობაზე დანტენდერულ პრეტენდენტებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
- 12. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: **ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 300343174, გადახდის დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.**
- 13. დამატებითი ინფორმაცია დანტენდერულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ფრიდონ ნიფურია - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, მისამართზე: **ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N90, მე-3 სართული, მე-12 ოთახი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საკონტაქტო ტელეფონი: 8(215) 5-01-13.**

სატენდერო კომისია

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

- a) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან, მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- b) ცნობას, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- g) ცნობას, საჯარო საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეგისტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოდან).

5.2 ფიზიკური პირისათვის:

- a) ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- b) ცნობას, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- g) ინდივიდუალური სანარმოს რეგისტრაციის საბუთი;
- d) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასალი.

5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- a) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ყ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს მრავალწლიან ტენდერს ქ. თბილისში, ფეხით მოსიარულეთათვის 20 (ოცი) ცალი მიწისზედა გადასასვლელი ლითონის ხიდის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტორს მონაწილეობის მისაღებად ყველა დანტენდერულ პირს.

1.შესყიდვის ობიექტი - ქ. თბილისში, ფეხით მოსიარულეთათვის 20 (ოცი) ცალი მიწისზედა გადასასვლელი ლითონის ხიდის მოწყობა;
შესრულების სავალდებულო ვადა - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 6 თვე;

2. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 21 ივლისის 11:00 საათიდან 2009 წლის 21 ივლისის 16:30 საათამდე, მისამართზე: **ქ. თბილისი, ყ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ოთახი N8 ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.**

3. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

3.1 იურიდიული პირისათვის:

- a) ამონაწერი სამეწარმეო რეგისტრიდან;
- ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
- გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის (ყადალის) არარსებობის შესახებ.
- ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

3.2. ფიზიკური პირისათვის:

- a) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
- ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

3.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:

- a) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
- ბ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;
- გ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- 4. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

შენიშვნა: მომსახურების გასაწევად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-3 მუხლის მიხედვით;
 შემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები

უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, **ქ. თბილისში, ფეხით მოსიარულეთათვის 20 (ოცი) ცალი მიწისზედა გადასასვლელი ლითონის ხიდის მოწყობის სამუშაოების** სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

7. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 1 ივლისიდან 2009 წლის 21 ივლისის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

8. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

9. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე)

10. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

11. შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

12. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, ცირა მალრაძე, ტელეფონი - (995-32) 37-85-72

სატენდერო კომისია

ამერიკული ჯარები ირაკის ქალაქებს ტოვებენ

მარიკა იაშვილი

ერაყში 30 ივნისი ოფიციალურად არის გამოცხადებული დღესასწაულად - ამერიკული სამხედროებისგან ქალაქების გათავისუფლების პირველ დღეს ქვეყანა ღირსეულად შეხვდა. თუმცა ამავდროულად ბევრს ჯერ კიდევ ემინია ძალადობის განახლების - ჯარების გაყვანამდე ცოტა ხნით ადრე ტერორისტები ამერიკელებს აფეთქებებით აცილებდნენ.


ყველა დასახლებული პუნქტის ერაყელების სრული კონტროლის ქვეშ გადასვლა გათვალისწინებულია ჯარების სტატუსის შესახებ შეთანხმებაში, რომელსაც ვაშინგტონმა და ბაღდადმა 2008 წელს მოაწერეს ხელი. თავისი ტერიტორიების დაცვის მისია ამერიკელებისგან უსაფრთხოების სამსახურის 750 ათას თანამშრომელს, დაახლოებით, 500 ათას პოლიციელსა და 250 ათას სამხედრო მოსამსახურეს დაეკისრება.

თუმცა დიდი ხნის ნანატრი მოვლენის წინ ერაყში საზეიმო განწყობა არ ყოფილა. უსაფრთხოების გაძლიერებული ზომები, ტერაქტების ახალი ტალღის დროს დაღუპული 200-მდე ადამიანის გარდაცვალების გამო გამოცხადებული გლოვა, პრემიერ-მინისტრ ნური ალ მალიქის ნაჩქარევი მტკიცება, რომ უსაფრთხოების ადგილობრივი სამსახურები საკმარისად კომპეტენტური არიან და ბრალდებები, გარკვეული ძალების" მისამართით, რომლებიც ძერაყში ვითარების დესტაბილიზებას ცდილობენ," - ივნისის ბოლო დეკადა ქვეყნისთვის საკმაოდ რთული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელთა წასვლამდე ცოტა ხნით ადრე ძალადობის აფეთქება არავისთვის ყოფილა მოულოდნელი.

ერაყული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე დაყრდნობით თუ ვიშჯვლებზე, ერაყელები ამერიკელების წასვლას გაორებული ემოციებით ელოდნენ. ერთი მხრივ, ეს იყო შიში, თუ რა იქნება მომავალში, მეორე მხრივ კი - მშვიდობიან ცხოვრებასთან დაბრუნებისა და ბოლო ექვსი წლის განმავლობაში გადატანილი ტრაგედიის დავინწყების სურვილი.

უცხოელი სამხედროების მიერ ქვეყნის დატოვებისთვის მზადებამ დედაქალაქში აშკარა ცვლილებები გამოიწვია: მუნიციპალურმა მუშებმა ქუჩებში აშენებული მასობრივი ოთხმეტრიანი ზღუდეების დაშლა დაიწყეს, რომლებიც რამდენიმე წლის წინ ტერორისტებისგან დაცვის მიზნით ქალაქის სხვადასხვა რაიონებში ააგეს.

ამასთანავე არსებობს საფრთხე, რომ ამერიკელების წასვლის შემდეგ ყველაზე სახიფათო და



AFP - 2009

ხელმისაწვდომი სწორედ ისეთი დიდი ქალაქები გახდება, როგორებიცაა ბაღდადი და მოსულია.

ექსტრემისტების მოქმედების შესუსტების მოლოდინი, ექსპერტთა აზრით, უსაფუძვლოა, იმის გათვალისწინებით, რომ 2010 წლის იანვარში ქვეყანას არჩევნები ელოდება. პირიქით, ისინი ეცდებიან, ქვეყანაში არსებული ისედაც სუსტი დემოკრატია გაანადგურონ. მით უფრო, რომ ამერიკული ჯარების მიერ ქვეყნის სრულად დატოვება მხოლოდ 2012 წლისთვის არ დაგეგმილი.

ამასთანავე ბევრ ერაყელს სჯერა ძალადობის ექსპორტის" და მიაჩნია, რომ ამერიკელების წასვლის შემდეგ ქვეყანაში ირანისა და ალ-კაიდას" გავლენა კიდევ უფრო გაძლიერდება.

მიუხედავად ამისა, მოახლოებული მოვლენა მთელ რიგ ქალაქებში უკვე აღნიშნეს სამხედრო აღლუმებით. ყველაზე დიდი მსვლელობა - 20 ათასი პოლიციელისა და სამხედროს მონაწილეობით ქალაქ დიალაში ჩატარდა, რომელიც ოდესღაც უცხოელი სამხედროებისადმი წინააღმდეგობის მთავარ კერად მიიჩნეოდა.

სამხედროების სტატუსის შესახებ შეთანხმების მიხედვით, ამერიკელების 150-ათასიანი ჯარიდან ბოლო ქვედანაყოფებმა ქვეყანა 2011 წლისთვის უნდა დატოვონ.

მიმდინარე წლის განმავლობაში ამერიკული ჯარები მთლიანად ერაყის უსაფრთხოების ძალების დაქვემდებარებაში გადადის.

დოკუმენტი საევე შეიცავს ამერიკელების მიერ ნებისმიერი დამოუკიდებელი სამხედრო ოპერაციის ჩატარების აკრძალვას, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში მათი დახმარების გამოყენების უფლებას უტოვებს ერაყელებს. ამისთვის ერაყული ხელისუფლების ოფიციალური მოთხოვნაა საჭირო. შეთანხმება ძალაში 1 იანვარს შევიდა და სამი წლის განმავლობაში იმოქმედებს.

ერაყის პარლამენტის სუნიტი დეპუტატი ერაყის ნაციონალური დიალოგის ფორუმიდან" სალხე ალ-მუტლაჟი ქვეყნიდან ამერიკული სამხედრო ნაწილების გაყვანას უპასუხისმგებლობას" უწოდებს. ერაყელებს აქვთ შიშის საფუძველი. მათ ძალიან კარგად იციან, რომ ერაყიდან ამერიკული ძალების გაყვანა ქვეყანაში პოლიტიკურ ვაკუუმს შექმნის."

მისი თქმით, ერაყელი სამხედროები და პოლიციელები ჯერ კიდევ არ არიან მზად, რათა ქვეყნის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღონ. ვიცე-პრეზიდენტმა, სუნიტმა ტარიკ ალ-ჰაშიმმა კი მოქალაქეები გააფრთხილა, რომ მას შემდეგ, რაც ამერიკული სამხედრო შენაერთები დასახ-

ლებულ პუნქტებს დატოვებენ, რაც შეიძლება ფრთხილად იყვნენ და მასობრივი შეკრების ადგილებს თავი აარიდონ."

შემფოთებას არა მხოლოდ ერაყელი პოლიტიკოსები, არამედ ძალადობის სტრუქტურების ზოგი წარმომადგენელიც გამოთქვამს - სწორედ ისინი, ვისაც მომავალში ქვეყნის ქალაქებში ვითარების გაკონტროლება და უსაფრთხოების დაცვა მოუხდებათ.

გაზეთ ნიუ-იორკ თაიმსის" ცნობით, ერაყის ეროვნული პოლიციის პირველი დივიზიის მეთაურმა, ბრიგადის გენერალმა მაჰმუდ მუფსენმა განაცხადა, რომ დასახლებული პუნქტებიდან ამერიკელების წასვლის შემდეგ შესაძლოა შიიტებსა და სუნიტებს შორის სისხლიანი შეტაკებები განახლდეს. გარდა ამისა, მან ისიც აღნიშნა, რომ ამერიკელი სამხედროების დახმარების გარეშე საზღვრების დაცვა გართულდება, რომელთა გავლითაც უცხოელი ბოევიკები ერაყში შეღწევის აქამდეც ახერხებდნენ. მათ მთელი მონყობილობები თან მიაქვთ, ხოლო იმის გათვალისწინებით, როგორი ქვეყნები ჰყავს ერაყს მეზობლად, ეს აშკარა გზაა კატასტროფისკენ," - განაცხადა გენერალმა.

ბოლო დროს მომხდარი ტერაქტების გამო სერიოზული ეჭვები გამოითქვა, შეუძლიათ თუ არა ერა-

ყის ძალადობის სტრუქტურებს დასახლებულ პუნქტებში უსაფრთხოება დაუზღვევდნენ უზრუნველყონ. იმედი მაქვს, პრემიერ-მინისტრს ესმის, რომ ჩვენ ჯერჯერობით არ გვყავს კომპეტენტური უსაფრთხოების ძალები," - აღნიშნა პრეზიდენტის ყოფილმა მრჩეველმა უსაფრთხოების საკითხებში კასიმ დაუდმა.

ქალაქებიდან წასვლის შემდეგ ამერიკული ძალები - დაახლოებით, 130 ათასი ჯარისკაცი, დასახლებული პუნქტების სიახლოვეს მსხვილ მონინავე ოპერატიულ ბაზებზე" გადაინაცვლებენ, რომლებსაც ჯარისკაცულ სლენგზე ფობებს" უწოდებენ. ამ ბაზებზე ისინი მომავალი წლის სექტემბრამდე დარჩებიან. ბაზებზე დისლოცირებული ჯარისკაცები ანუ ფობიტები" აუცილებლობის შემთხვევაში ერაყელების დახმარებას შეძლებენ, თუმცა მათი ქმედებები ამერიკული უსაფრთხოების შეთანხმებით მკაცრად რეგლამენტირებული იქნება. ამერიკელები ერაყელებს დაზვერვის მონაცემებსაც გადასცემენ და მათ საპაერო თავდაცვის სფეროში დახმარებას აღმოუჩენენ. გარდა ამისა, დაახლოებით 10 ათასი ამერიკელი სამხედრო ისევ დარჩება ქალაქებში, თუმცა ამჯერად ერაყულ ნაწილებსა და ქვედანაყოფებში მხოლოდ მრჩეველის" სტატუსით იმსახურებენ.

ამ ფონზე დასავლელი ექსპერტები სულ უფრო ხშირად იხსენებენ 30 წლის წინანდელ მოვლენებს, როდესაც პრეზიდენტ ნიქსონის ადმინისტრაციამ მსგავსი მეთოდით სცადა ინდონეზიის ომის ვიეტნამიზაცია," რათა სამხრეთ ვიეტნამის ჯარს კომუნისტებთან ომი თვითონ ენარმოებინა. თუმცა მაშინ, ყველა ძალისხმევის მიუხედავად, ამერიკული სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერის შეწყვეტის შემდეგ, საიგონის რეჟიმი რამდენიმე წელიწადში დაეცა.

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ამერიკული ჯარების მიერ ერაყის დატოვებაზე საუბრისას განაცხადა, რომ აშშ მზად არის, ერაყს საჭირო დახმარება აღმოუჩინოს.

კლინტონმა აღნიშნა, რომ ჯარების გამოყვანა ოფიციალურ ბაღდადთან შეთანხმების საფუძველზე ხდება. სახელმწიფო მდივანმა ბოლოდროინდელ ტერაქტებს, რომლებმაც ასობით სიცოცხლე შეინირა, საშინელი" უწოდა და განაცხადა, რომ ერაყელები მზად არიან, უნდათ და შეუძლიათ" ამ შეთანხმების განხორციელება.

ამერიკული დიპლომატიის მეთაურმა აღნიშნა, რომ მათი ყოფნა ერაყში გაგრძელდება" და ისინი მზად არიან, აუცილებლობის შემთხვევაში დაეხმარონ ერაყელებს."

არგენტინაში მმართველი პარტია დამარცხდა

საპარლამენტო არჩევნების პირველი ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ქვეყნის პრეზიდენტ კრისტიანა ფერნანდესის პარტია კონგრესზე კონტროლს კარგავს. საარჩევნო კომისიის მონაცემებით, პერონისტებმა დათმეს უმრავლესობა როგორც ქვედა პალატაში, ასევე სენატში. არგენტინის ყოფილი პრეზიდენტი და ქვეყნის ამჟამინდელი ხელმძღვანელის ქმარი ნესტორ კირშნერი ბუენოს აირესში იყრიდა კენჭს, მაგრამ დამარცხდა. ამ არჩევნებს განიხილავდნენ როგორც ერთგვარ რეფერენდუმს საპრეზიდენტო ოჯახის მიმართ ნდობის გამო-



არგენტინის პრეზიდენტი კრისტიანა ფერნანდესი

AFP - 2009

სავლენად.

კრისტიანა ფერნანდესი პრეზიდენტად 2007 წელს აირჩიეს. მან ამ პოსტზე თავისი ქმარი შეცვალა. მას შემდეგ ფერნანდესის რეიტინგი მნიშვნელოვნად შემცირდა ეკონომიკური კრიზისისა და დანაშაულის ზრდის გამო. ბევრ არგენტინელს საკუთარი შემოსავალი დოლარებში გადააქვს და უცხოეთის ბანკებში ინახავს. კრისტიანა ფერნანდესისა და ნესტორ კირშნერის პოპულარობის შემცირებას ასევე შეუწყო ხელი გავლენიან მინათმფლობელებთან კონფლიქტმა გადასახადების მიზეზით.

საპარლამენტო არჩევნებში პერონისტების დამარცხება ალ-

ბათ გამოიწვევს პარტიის შიგნით პოლიტიკური ბრძოლის გამწვავებას საპრეზიდენტო არჩევნების წინ, რომელიც 2011 წელს უნდა გაიმართოს.

ნესტორ კირშნერი 2003-2007 წლებში იყო არგენტინის პრეზიდენტი. ეს პერიოდი ქვეყანაში ეკონომიკურ წინსვლას დაემთხვა. არგენტინის დედაქალაქში და ალბათ არა მარტო იქ, ბევრი მიიჩნევს, რომ ნესტორ კირშნერს დღესაც სერიოზული გავლენა აქვს იმ პოლიტიკაზე, რასაც მისი ცოლი ატარებს.

"ბი-ბი-სის" მიხედვით მოამზადა ივა შილაკაძემ

რუსეთი აზერბაიჯანის გაზის ყიდვას იწყებს

ნა პილაკაძე

აზერბაიჯანში ერთდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი, რომელმაც თავის კოლეგა ილჰამ ალიევიან ერთად საკითხების საკმაოდ ფართო სპექტრი განიხილა. ხელი მოეწერა რამდენიმე ხელშეკრულებას და ერთობლივ განცხადებას, რომელთაგან მთავარი, ცხადია, გაზის მიწოდების საკითხში მიღწეული შეთანხმებაა.

თვითონ პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს მხოლოდ განცხადებას სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის დამთავრების ძირითადი პრინციპებისა და სასაზღვრო მდინარე სამურის წყლის განაწილების შესახებ რუსეთის ფედერაციასა და აზერბაიჯანს შორის. საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს განცხადებას ორი ქვეყნის საელჩოების განლაგებისა და მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მომზადებაზე. აზერბაიჯანისა და ყაბარდო-ბალყარეთის მთავრობებმა ხელი მოაწერეს აგრეთვე ხელშეკრულებას სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ. დიპლომატიური ენიდან ჩვეულებრივ სალაპარაკო ენაზე თუ "გადმოვთარგმნით", ფაქტობრივად, ყველა ეს შეთანხმება, მით უმეტეს პირველი ორი, არის მხოლოდ ხელმოწერა ხელმოწერისთვის. უმაღლეს დონეზე შეხვედ-



აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი და მისი რუსი კოლეგა დმიტრი მედვედევი

AFP - 2009

რის დროს, უბრალოდ, მიღებულია, რომ რაღაცას უნდა მოეწეროს ხელი.

მთავარი, რა თქმა უნდა, გაზბრომის მმართველ ალექსეი მილერისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობ-კომპანიის ხელმძღვანელ როზნაგ აბდულაევის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი იყო, რომელიც რუსეთის მიერ აზერბაიჯანული ბუნებრივი აირის შესყიდვის ძირითად პირობებს ეხება. აზერბაიჯანული გაზის მიწოდება რუსეთში 2010 წლის იანვრიდან უნდა დაიწყოს. დასაწყისისთვის ლაპარაკია 500 მილიონ კუბურ მეტრზე, რაც მაინცდამაინც დიდ მოცულობად არ მიიჩნევა, მაგრამ მომავალში ეს ციფრი შეიძლება გაიზარდოს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, გაზბრომი უნდა გახდეს "შახდენი 2"-დან მოპოვებული გაზის ერთ-ერთი მყიდველი. რაც შეეხება გაზის ფასს, მასზე ოფიციალური ინფორმაცია არ არსებობს. რო-

სეთში 2010 წლის იანვრიდან უნდა დაიწყოს. დასაწყისისთვის ლაპარაკია 500 მილიონ კუბურ მეტრზე, რაც მაინცდამაინც დიდ მოცულობად არ მიიჩნევა, მაგრამ მომავალში ეს ციფრი შეიძლება გაიზარდოს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, გაზბრომი უნდა გახდეს "შახდენი 2"-დან მოპოვებული გაზის ერთ-ერთი მყიდველი. რაც შეეხება გაზის ფასს, მასზე ოფიციალური ინფორმაცია არ არსებობს. რო-

გორც ალექსეი მილერმა განაცხადა, ის კომერციულად მიმზიდველი იქნება აზერბაიჯანისთვის და გამოითვლება ნავთობის ფასთან მიმართებაში საერთაშორისოდ მიღებული ფორმულით. არაოფიციალურად გაზეთ კომერსანტისთვის ცნობილი გახდა, რომ ლაპარაკი იყო 350 დოლარზე, რაც ამჟამად აზერბაიჯანისთვის სხვა შეთავაზებებზე მნიშვნელოვნად მეტია.

საქმე ის არის, რომ რუსეთი აქამდე აზერბაიჯანის გაზს არ ყიდულობდა, ისინი საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტებად მიიჩნეოდნენ, ამ ხელშეკრულებით კი "ყინული დაიძრა". გაზბრომი აზერბაიჯანული გაზით რუსეთის სამხრეთ რეგიონებს მოამარაგებს, ამით დაზოგავს სატრანსპორტო ხარჯებს და ციმბირის გაზს საექსპორტოდ გამოათავისუფლებს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ რუსეთის ხელმძღვანელების განცხადებების მიუხედავად, რომლებიც ამ შეთანხმების კომერციულ საფუძვლებზე საუბრობენ, მაინც აშკარაა შეთანხმების პოლიტიკური მნიშვნელობა. რუსეთს სურს, აზერბაიჯანის გაზს "დაეპატრონოს" და იქ აღარ დატოვოს გაზი "ნაბუკოს" პროექტისათვის. თუმცა ყველაზე ოპტიმისტი რუსი ექსპერტებიც აღიარებენ, რომ ლაპარაკი არ არის მთელ გაზეთ და აზერბაიჯანში დაიბეჭდა დასავლეთისთვის მისაყიდი ბუნებრივი აირიც. დასავლური საინფორმაციო სააგენტოები ყურადღებას ამახვილებენ ალიევის განცხადებაზე, რომ აზერბაიჯანი გაზის

მიწოდების დივერსიფიცირების მომხრეა. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი მხოლოდ ერთ-ერთი მყიდველია. თვით რუსი ექსპერტების ნაწილიც მიიჩნევენ, რომ ეს პროექტი ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს მხოლოდ იმიტომ გამოუვიდა, რომ დასავლეთი ბოლო დროს ცოტა "ზედმეტად მიაწვა" ალიევის ადამიანის უფლებების და დემოკრატიის საკითხებში.

აზერბაიჯანისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრაზე განხილული იყო სხვა საინტერესო თემებიც. მედვედევმა და ალიევმა დაადასტურეს ორი ქვეყნის პოზიციების დაახლოება კასპიის ზღვის გაყოფის თაობაზე. მხარეებს შორის იზრდება სავაჭრო ეკონომიკური თანამშრომლობა. როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე რუსი ხელმძღვანელების აზერბაიჯანში ჩასვლის დროს, განიხილეს მუდმივი მტკიცეული თემა და გაკეთდა საკმაოდ ოპტიმისტური განცხადებები ყარაბაღის კონფლიქტის მოკლე დროში მოგვარების შესახებ. ამ საქმეში მედვედევი აქტიურ მონაწილეობას აპირებს. თუმცა განხილული წლები ადასტურებს, რომ ეს ოპტიმიზმი ასე ადვილად არ უნდა გავიზიაროთ. საკმარისია თუნდაც ანალოგიური განცხადებების გახსენება რუსეთისა და სომხეთის ლიდერების შეხვედრის დროს. ამ საქმის "მოგვარება" ჩვენს მეზობლებს ხომ სულ სხვადასხვანაირად ესმით.

გერმანელები თავად გადაწყვიტენ, როდის მოკვდნენ

მარია იაზვილი

გერმანიაში მიიღეს კანონი, რომელიც ქვეყნის მოქალაქეებს უფლებას აძლევს, თავად გადაწყვიტონ, როდის მოკვდნენ. ბუნდესტაგმა ხმათა უმრავლესობით - 317 ხმით 233-ის წინააღმდეგ - მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომელიც მოქალაქეებს ნებას აძლევს, თავად განკარგონ თავიანთი სიცოცხლე.

სტატისტიკის მიხედვით, ამ დროისათვის გერმანიის ყველა მეცხრე მცხოვრებს შედეგად აქვს ნერვილობითი განკარგულება იმ შემთხვევებისთვის, თუ ავარიის ან ავადმყოფობის გამო სიცოცხლის შენარჩუნების ხელოვნურ საშუალებებზე გახდებდა დამოკიდებული და თავისი სიცოცხლის განკარგვის საშუალება არ ექნება. თუმცა ამ დრომდე მსგავს ნერილობებს იურიდიული ძალა არ ჰქონდა და ექიმები კომაში მყოფ უიმედო პაციენტებს ბოლო წუთამდე ეხმარებოდნენ. კანონპროექტის მოსამზადებლად,

რომელიც ადამიანებს უკანასკნელი არჩევანის გაკეთების გარანტიას აძლევს, პარლამენტარებს ექვსი წელი დასჭირდათ. ამასთანავე დეპუტატები ფრაქციული დისციპლინის დაცვის ვალდებულებისგანაც კი იყვნენ გათავისუფლებულნი: თითოეული მათგანი გადაწყვეტილებას მხოლოდ თავის პირად შეხედულებაზე დაყრდნობით იღებდა.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა იოაჰიმ შტიუნკერმა, რომელიც ფრაქციათაშორის ჯგუფს ხელმძღვანელობს და კანონის მიღების მომხრე იყო, ჟურნალისტებს განუცხადა: ვისაც პაციენტის განკარგულება არ შეუდგენია, ჩვენ არაფერს დავაკისრებთ, მაგრამ მათ, ვინც მსგავსი ნაბიჯის გადადგმა გადაწყვიტა, უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ მათ ნებას პატივს ვცემთ.

თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ყველაფერი არც ისე კარგად არის, როგორც ამას არჩევანის უფლების" მომხრე დეპუტატები ისურვებდნენ. ბევრი ექიმი

შიშს გამოთქვამს იმის გამო, რომ ახალი კანონი ზენოლის იარაღად იქცევა ანგარებიანი ნათესავეებისთვის, რომლებიც გამოჯანმრთლების შანსის არსებობის შემთხვევაშიც კი მოითხოვენ ავადმყოფის სიცოცხლისთვის ბრძოლის შეწყვეტას.

ახალმა საკანონმდებლო დოკუმენტმა ყველაზე დიდი პროტესტი რელიგიურ წრეებში გამოიწვია.

თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ საუბარია არა აქტიური ევთანაზიის შესახებ, რომლის მიზანშეწონილობაზე გერმანიაში უკვე ათობით წელია კამათობენ, არამედ რაღაც შუალედურ კარიანტზე, შეიძლება ითქვას, ევთანაზიის პასიურ ფორმაზე. ადამიანი ხომ თავის უკანასკნელ ნებას რამდენიმე წლით ადრე, ვერ კიდევ მაშინ აფიქსირებს, როდესაც არავითარი საფრთხე და ამის გაკეთების აუცილებლობა არ არსებობს. პრინციპულად ეს ჰგავს ნებისმიერ შეთანხმებას დაზღვევის შესახებ, რომელსაც ადამიანი ყოველი შემთხვევისთვის

აფორმებს.

გერმანული საინფორმაციო საშუალებების მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ქვეყნის მოქალაქეების 55 პროცენტს მიაჩნია, რომ ჰამლეტისეულ კითხვას - ყოფნა, არ ყოფნა - თითოეულმა ადამიანმა თავად უნდა გასცეს პასუხი. 30 პროცენტი მიიჩნევს, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლება ექიმს უნდა მიენიჭოს. სიცოცხლის თვითნებურად დასრულებაში რაიმე ფორმით დახმარებას და შესაბამისად ამ დელიკატურ საკითხში ექიმების მონაწილეობასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება გერმანელების მხოლოდ 13 პროცენტი.

რაც შეეხება უშუალოდ ევთანაზიას (სიცოცხლის დასრულებას ექიმის დახმარებით), ის ძველბურად აკრძალული რჩება: გერმანიის მცხოვრებლებს, რომლებიც სიცოცხლის თვითნებურად დასრულებას გადაწყვეტენ, შვეიცარიაში გაგზავნიან, სადაც მსგავსი პრაქტიკა აკრძალული არ არის. ამ მომსახურებით

შვეიცარიაში უკვე გერმანიის 500 მოქალაქე ისარგებლა.

აქტიური ევთანაზია, შვეიცარიის გარდა, ნებადართულია ბენილუქსის ქვეყნებში - ბელგიაში, ნიდერლანდებსა და ლუქსემბურგში და ამერიკის შტატებში: ორეგონსა და ვაშინგტონში. იქ ნებადართულია პაციენტისთვის ზოგიერთი პრეპარატის სასიკვდილო დოზის გამოწერა, თუმცა ისინი თავად უნდა მიიღოს.

დიდი ბრიტანეთში აკრძალულია არა მხოლოდ ევთანაზია, არამედ სიცოცხლის დასრულების მსურველთა დახმარებაც. ეს თვითმკვლელობისკენ ნაბიჯებად ან დახმარებად მიიჩნევა და 14-წლიანი პატიმრობით ისჯება. ამავდროულად უკვე 800 ბრიტანელი გახდა შვეიცარიული კლინიკის - Dignitas პაციენტი, სადაც ადამიანებს მსგავსი სურვილის ასრულებაში ეხმარებიან. ამჟამად შვეიცარიის ხელისუფლება შესაბამისი კანონის გამკაცრებას გეგმავს, რათა ევთანაზიის მსურველებისთვის ქვეყანაში შესვლა გართულდეს.

იემენის ლაინერი ინდოეთის ოკეანეში ჩავარდა

ბორტზე 153 ადამიანი იმყოფებოდა

მარია იაზვილი

იემენის ავიახაზების თვითმფრინავი, რომლის ბორტზეც 153 ადამიანი იმყოფებოდა, კომორის კუნძულების მახლობლად ინდოეთის ოკეანეში ჩავარდა. კატასტროფის შესახებ ინფორმაცია არაბული რესპუბლიკის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა გაავრცელეს. სამაშველო სამუშაოების დროს ლაინერის ფრაგმენტებისა და გარდაცვლილთა რამდენიმე გვამის პოვნა მოხერხდა. კატარის ტელეარხ ალ-ჯაზირას" ცნობით, კატასტროფის შემდეგ ერთი გადარჩენილი ადამიანიც იპოვეს - ის 5 წლის ბავშვია.

კატასტროფის მიზეზად შესაძლოა ცუდი ამინდი იქცა, თუმცა თვითმხილველებმა დაინახეს, რომ ლაინერი ინვოდა. მსხვერპლის უმეტესობა საფრანგეთის მოქალაქეები არიან.

ლაინერი ეარბას A-310 პარიზის აეროპორტ რუასი - შარლ დე გოლი-

დან" კომორის დედაქალაქ მორონის მიმართულებით, იემენის დედაქალაქ სანის გავლით ასრულებდა რეისს. თვითმფრინავის ბორტზე ეკიპაჟის 11 წევრი და 142 მგზავრი იმყოფებოდა, მათ შორის სამი მცირეწლოვანი ბავშვი. ალ-ჯაზირას" ცნობით, ლაინერი დილის საათებში კომორის არქიპელაგის ჩრდილოეთ კუნძულ კაბიჯას (გრანდ-კომორის) მახლობლად ჩამოვარდა.

თვითმფრინავი ინდოეთის ოკეანეში კომორის დედაქალაქში დაგვემოდ დაჯდომამდე 15 წუთით ადრე ჩავარდა.

რა შეიძლება გამხდარიყო კატასტროფის მიზეზი, ჯერჯერობით უცნობია. ერთ-ერთი ვარაუდი ცუდი ამინდია. ავიაკომპანიის წარმომადგენლების განცხადებით, კატასტროფის მომენტში ძალიან ცუდი ამინდი იყო - ძლიერი ქარი და შტორმი.

გარდა ამისა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ჩამოვარდნამდე თვითმფრინავს ცეცხლი მოედო. ასეთი ინფორმაცია ტრავმების თვითმ-

ხილველების ჩვენებებზე დაყრდნობით ვრცელდება.

თვითმფრინავის ჩამოვარდნის ადგილზე სამძებრო-სამაშველო სამუშაოები ამ დრომდე მიმდინარეობს. თუმცა ძებნას უამინდობა აფერხებს.

იემენის საავიაციო სამსახურის ცნობით, ლაინერის მგზავრები საფრანგეთისა და კომორის მოქალაქეები იყვნენ. აეროპორტის თანამშრომლების ცნობით, 66 მგზავრი საფრანგეთის მოქალაქე იყო, თუმცა არსებობს ინფორმაცია, რომ ბევრ მათგანს ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდა.

მაშველებმა ერთი ცოცხლად გადარჩენილი მგზავრის პოვნა შეძლეს. გადარჩენილი ხუთი წლის ბავშვია. მისი მდგომარეობისა და ეროვნების შესახებ ჯერჯერობით ინფორმაცია არ ვრცელდება.

თვითმფრინავში მყოფი მგზავრების ახლომდებელი აეროპორტთან შეიკრიბნენ და ნათესავებისა და ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაციის მიღებას ცდილობენ, თუმცა ჯერჯერობით უშედეგოდ.

რამდენიმე მგზავრის სხეული და ლაინერის ნამსხვრევები უკვე ნაპოვნია. მაშველებმა მათ კომორის დედაქალაქ მორონიდან 16-17 საზღვაო მილის დაშორებით მიაკვლიეს.

საფრანგეთის სახელმწიფო მდივნის ტრანსპორტის საკითხებში დომინიკ ბიუსროს განცხადებით, ფრანგმა სპეციალისტებმა ბევრი გაუმართაობა აღმოაჩინეს." მისი თქმით, საფრანგეთის ხელისუფლება ბოლო დროს იემენურ ავიაკომპანია იემენიას მკაცრად აკონტროლებდა. ავიაკომპანია იემენია 51 პროცენტით იემენის ხელისუფლებას, ხოლო 49 პროცენტით საუდიის არაბეთის მთავრობას ეკუთვნის.

ჩამოვარდნილი თვითმფრინავი 1990 წელს ააგეს. 19 წლის მანძილზე მან 52 ათასი საათი იფრინა და, დაახლოებით, 17 ათას 300 რეისი შეასრულა.

მაისში თვითმფრინავმა სრული ტექნიკური შემოწმება გაიარა, რომელშიც კომპანია ეარბასის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

იემენის ტრანსპორტის მინისტრის განცხადებით, შემოწმება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში ჩატარდა.

კომპანია ეარბასმა განაცხადა, რომ ტრავმების მიზეზებისა და გარემოებების გამოძიებაში უშუალოდ მიახლეს მონაწილეობას, რისთვისაც უახლოეს მომავალში კომორში ტექნიკურ სპეციალისტთა ჯგუფს გააგზავნის.

1996 წელს იმავე რაიონში ეთიოპიიდან მომავალმა ავიალაინერმაც განიცადა კატასტროფა. ის ტერორისტებმა გაიტაცეს, 175 მგზავრისა და ეკიპაჟის წევრთა უმრავლესობა დაიღუპა.

კომორთან მომხდარი კატასტროფა ბოლო ერთი თვის განმავლობაში კომპანია ეარბასის თვითმფრინავებისთვის უკვე მეორეა. პირველი იემენის ატლანტიკის ოკეანეში კომპანია ეარ ფრანს-ის კუთვნილი ეარბას A-330 ჩამოვარდა. შემთხვევას 228 ადამიანი ემსხვერპლა.

რევოლუ

ნიბნები ჩქარა!

სოფო კლასონია

რამდენიმე თვის წინ, სრულიად საქართველო აღშფოთდა, შოთის მიზეზი რომელიღაც გამოცემაში დაბეჭდილი რეიტინგი გახლდათ. ქართველები კითხვის მოყვარულ ერებს შორის თითქმის ბოლოში აღმოვჩნდით. ზუსტად არ ვიცი რამ გავგოცა, ახალი ამბი არაფერი გახლდათ, თუმცა გამოცემა არ იყო ქართული და ჩვენს ანკლოვანებაზე სხვები რომ ალაპარაკდნენ საგარეოდ ეს არ გვება.

ქართველებს ცოცხალი გაუმხელილი გვიჩვენებია, მაგრამ გამოსავალი აქაც მოძებნეთ და არასასიამოვნო მონაცემები განათლების სამინისტროს მიერ ცუდად დაგვიგმო სასწავლო პროგრამებს არაერთგზის გადავბრალდეთ. მაგრამ, გულის სიღრმეში ხომ ვიცი, რომ ქართველობის უნივერსიტეტი, სიზარმაცე და ნიგნის არსიყვარული ე.წ. ლომიას რეფორმით არ დაწყებულა... საიდან დაიწყო? ამაზე სამწუხაროდ აქამდე არ მიფიქრია, მაგრამ არჩენიმა და უდარდელმა საბჭოთა ხანამ ჩვენი ეს თვისებები რომ განავითარა და გააქეზა, ეს აშკარა და ვიცი. მაგრამ ეს სურათი დღეს უნდა შეიცვალოს და ალბათ პირად-პროფესიული ინტერესების გარდა, უპირველესად ეს პრობლემა აწუხებდათ ქართული ნიგნის განვითარების პროგრამის ავტორებს, როცა კულტურის სამინისტროს მიმართეს. გამომცემელ ბაკურ სულაკაურის და მწერალ ლაშა ბულაძის ინიციატივამ, მინისტრ ნიკოლოზ რუჟუს გვერდით გუშინ არაერთი თანამედროვე ქართველი მწერალი დააყენა. თუმცა ალბათ თავში უნდა მეთქვა, რომ აღსანიშნავია მინისტრის მზობა, რომელმაც პროგრამა მიიწონა და აშკარად გაითავისა. ანუ ერთი სერიოზული ნაბიჯი წინ გადაიდგა.

მოკლედ, მწერლების, გამომცემლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ უკვე ერთობლივად წარმოდგენილი პროგრამა, რომელიც ხუთ პუნქტად გახლავთ განერილი, საინტერესოა. უპირველესად საინტერესო იმ ნიშნით, რომ ეს პროგრამა ბევრად რეალისტურად ასახავს პრობლემებს, ვიდრე ის ზოგადი ტექსტები, რომლებიც ერთი წლის წინ, წინა მინისტრმა - ნიკოლოზ ვაჩიშვილმა და მწერალთა დაახლოებით იგივე წრემ მოგვასმენინა, სხვათაშორის იგივე სივრცეში. მაშინაც ბევრი ითქვა და ამიტომაც გუშინდელი დღე სამინისტროში ოდნავ ნააგავდა დეჟა ვუ-ს... მიუხედავად ამისა, ჩვენი იმედი, რომ პრეზენტირებული პროგრამა რეალური მოქმედების საწინდარი გახდება, ორი ფაქტორით ნამდვი-



ლად საზრდოობს 1. იმედი, რომ ნიკოლოზ რუჟა კულტურის მინისტრის პოსტზე კიდევ დიდხანს დარჩება და რასაც დაგვირდა ამ და სხვა პრესკონფერენციებზე შეგვიხსენებენ და 2. მწერლები ამჯერად მაინც არ დაუშვებენ, რომ ნამოწყებული საქმე პრესკონფერენციით დასრულდეს. ეს უსაფუძვლო სკეპტიციზმი არაა, უბრალოდ, სრულიად ქართულ მედიასაზოგადოებას და არა მხოლოდ მე, ახსოვს უამრავი პრესკონფერენცია კულტურის სფეროში და ბევრად ნაკლები განხორციელებული პროექტი. როგორც წესი პრესკონფერენციების შემდეგ აღმოვაჩენთ ხოლმე პროექტის სირთულეს, პრობლემის სიღრმეს და ...

დაახლოებით ათგვერდიანი პროგრამის შესახებ გუშინ ბევრი ითქვა, როგორც მინისტრის, ისე მწერლების მიერ. ცხადია, მე და მკითხველს ერთად ამ წერილში გავგიჟებდეთ ამ პროგრამის ყოველი პუნქტის ძირითადი ანალიზი და ილუსტრაციაც კი, მაგრამ პუნქტებს მაინც გადავხედეთ. ...ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი, რაც განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს ერთმანეთს განასხვავებს, ეს ნიგნისადმი დამოკიდებულება... - ასე იხსენებ კვანძი პროგრამის შესავალ ნაწილში, რომელშიც ნიგნის ზოგადკულტურულ მნიშვნელობაზე საუბარი. სრულიად ლაკონური და ცხადი ლოგიკა, ყველაზე მთავარსა და საინტერესო მითითებებს, - თუ განვითარებადი ჯგუფიდან განვითარებულთა ბანაკში გადაბარება გესურს, მაშინ - ნიგნები ჩქარა!

ქართული ნიგნის განვითარების პროგრამის პირველი პუნქტი, იოლი საკითხებით იწყება, რადგანაც, როგორც (ა) ნიგნის გამოფენების დახმარების პროექტი, რომელიც ფრანკფურტში ქართული სტენდის დაფინანსებას გულისხმობს, ისე (ბ) თბილისის ნიგნის ფესტივალის თანადგომა, თანადგომა მიზნამდე, რომე-

ლიც ფესტივალისთვის რეგიონალური მნიშვნელობის ავტორიტეტის მოპოვებას ითვალისწინებს, უკვე საკმაოდ გააზრებულია და ამ მიმართულებით სახელმწიფომ გარკვეული მოქმედებები რამდენიმე წლის წინ წამოიწყო და კიდევ აგრძელებს. პროგრამა ამ გამოცდილებებს არ იფიქსებს, თუმცა ორივე მიმართულებით მეტი აქტიურობისკენ მოგვიწოდებს. ეს მეტი აქტიურობა საგარეოდ ფინანსების გაზრდას გულისხმობს, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამ თუ სხვა შემდგომი პუნქტის განხორციელებლად გათვალისწინებული თანხები ჯერჯერობით დაზუსტებული არაა, ანუ პროგრამა მაინც არ არის ბოლომდე სრულყოფილი, ანდა აჯობებს ვთქვათ, რომ პროგრამა ბიუჯეტის გარეშე და შესაბამისად მასზე მუშაობა არაა ბოლომდე დასრულებული.

მეორე პუნქტი არის ის, რომელსაც მეტი ძალისხმევა დასჭირდება - მთარგმნელობითი პროექტი მაჩაბელი . ეს უკანასკნელი ორ მიმართულებას მოიცავს: ქართული ლიტერატურის უცხო ენაზე თარგმანს და უცხოური ლიტერატურის გადმოქართულებას. პროგრამაში საკმაოდ დეტალურად არის წარმოდგენილი გზა, თუ როგორ უნდა დავაინტერესოთ უცხოური გამომცემლობები ქართული ლიტერატურის თარგმნითა და მისი საზღვარგარეთი პოპულარიზაციით და მეორე შემთხვევაში, ქართველი მთარგმნელები უცხოური ლიტერატურის თარგმნით, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელი უნდა გახდეს საქართველოში არსებული საელჩოების ინტერესი, მათი ქვეყნის ლიტერატურის საქართველოში პოპულარიზაციის თვალსაზრისით.

მესამე პუნქტია ლიტერატურული პრემიები და სტიპენდიები. ნიგნის ბაზარი საქართველოში ისეთივე პატარაა, როგორც ნიგნით დაინტერესებული საზოგადოება. და თუნდაც ნიგნის გაყიდვა იყოს

ასპროცენტისანი, ამ შემთხვევაშიც მწერლის პონორარი მეტისმეტად მცირე იქნება. ამიტომაც ჩვენთან პრემიებისა და სტიპენდიების მნიშვნელობა გაცილებით დიდია, ვიდრე სხვაგან, თუნდაც საქართველოსხელა დანიში, სადაც, როგორც პროგრამის ავტორები შეგვახსენებენ, ყოველწლიურად 20-30-ჯერ მეტი დასახელების ნიგნი გამოდის. ეს მაგალითი სხვა პუნქტიდან ავიღეთ, თუმცა ამ პუნქტშიც ბევრი პარალელია. მაგალითად ასეთი: საფრანგეთში ყოველწლიურად 3000-მდე ლიტერატურული პრემია გაიცემა და ა.შ. საფრანგეთთან გატოლების პრეტენზია პროგრამის ავტორებს არ აქვთ, ამიტომაც დასძენენ, რომ პრემიების უმრავლესობას ყველგან უმეტესად კერძო დაწესებულებები გასცემენ, მაგრამ ასევე დიდია სახელმწიფო ორგანოების დახმარების წილიც. საინტერესო იდეისა და კონცეფციის პრემიების თანადაფინანსებით სახელმწიფო ქმედით პოზიციას დაიკავებს სფეროს განვითარების პროცესში, კონკრეტული კონკურსი კი ბევრად საინტერესო გახდება მწერალთათვის. პროგრამაში აღნიშნულია, რომ სამომავლოდ სამინისტრო მიიღებს ინიციატივებს სხვადასხვა ტიპის კონკურსების და პრემიების დაარსების შესახებ.

რაც შეეხება სტიპენდიებს, აქ განსაზღვრულია მხოლოდ მიმართულებები, თუ რა ტიპის შეიძლება იყოს სამომავლოდ ისინი. სტიპენდიები - დებიუტანტებისთვის, სამიწლიანებო და კიდევ ბევრი, თუნდაც რამდენიმეთვიანი სტიპენდია, რომელიც მწერალს საშუალებას მისცემს მთელი დრო დაუთმოს ნაწარმოებზე მუშაობას და არ დაკარგოს დრო საარსებო სახსრის მოპოვებაზე ფიქრში - ჩვენი აზრით ქართული რეალობისთვის ცოტა არარეალისტურია და თანაც უცნაური, წარსულთან დამაკავშირებელი ასოციაციების აღმძვრელი... საინტერესოა, რით

უნდა დასაბუთოს მწერალმა ჯერ არშექნილი ნაწარმოების მნიშვნელობა, რათა სტიპენდია მოიპოვოს? თუმცა პროგრამის ეს ნაწილი ბოლომდე დამუშავებული არაა და საგარეოდ დაიხვეწება.

მეოთხე პუნქტი - ბიბლიოთეკების განვითარების პროექტი. პროგრამა გვახსენებს, რომ ბიბლიოთეკებისთვის ნიგნების პროექტი რამდენიმე წლის წინ განხორციელდა, მაგრამ მას მცირე მოცულობა ჰქონია და საერთოდ, პროექტი ერთჯერადი გამოდგა. ამიტომაც მიზნად პროგრამის გაგრძელებას და მისთვის გამოყოფილი თანხის თანდათანობით ზრდას უმთავრეს მიზნად ისახვენ. თუმცა არის სხვა ცვლილებებიც. ბიბლიოთეკებს უნდა გადაეცეთ არა თანხა, არამედ ვაუჩერი და მეორე, ბიბლიოთეკებს არ უნდა შეეძლოთ რაიმე ნიგნის ერთ ეგზემპლარზე მეტის შექმნა. თუმცა, პროგრამის ავტორები ბევრად რთული დილემის წინაშეც დგებიან, აღნიშნავენ რა, რომ სანამ არ იარსებებს საბიბლიოთეკო სისტემის განვითარების კონცეფცია, ყველაფერი ამაო გახდება. ბიბლიოთეკების მოდერნიზება მრავალკომპონენტური საქმიანობაა და ცხადია, ეს სფერო მხოლოდ ამ პროგრამით, ამ ერთი პრესკონფერენციით და ვერც მწერლების სურვილით ვერ იქნება შესწავლილი. საბიბლიოთეკო სისტემის განვითარების სირთულე საგარეოდ ცალკე საინიციატივო ჯგუფსა და ფართო პროგრამას საჭიროებს.

ბოლო პუნქტი მოცულობით ყველაზე მცირეა, მნიშვნელობით კი უმთავრესი, - კითხვის პოპულარიზაციის პროგრამა. მაგრამ ეს პუნქტი იმდენად პროგრამას არ გვთავაზობს, რამდენადაც მისი არსებობის აუცილებლობას გვახსენებს. ღია რჩება როგორ აპირებენ და რას აპირებენ. მხოლოდ ერთი ჩანს - რაღაცას აპირებენ.

ამით დასრულდებოდა, რომ არ იყოს ეპილოგი, - ორიოდე სიტყვა მწვევმენტის შესახებ. თუ გავითვალისწინებთ რაოდენ რთული ამოცანების დაძვევას აპირებენ ამ პროგრამის ფარგლებში და რამდენ ქვეპროექტს მოიცავს ის, ამ ეპილოგის მნიშვნელობაც გასაგები გახდება. საუბარია მთავარ საბჭოზე, კომისიებზე და მათ პასუხისმგებლობებზე. იმაზეც, რომ საბჭოს წარმომადგენლები პერიოდულად შეიცვლებიან, რათა გამოირიცხოს გარეგნულები... ამ ეტაპზე გაურკვეველია ვინ იქნება საბჭოში, მაგრამ ეს ჩვენი აზრით, მოგვარებადია. მთავარი ისაა, ვინ განახორციელებს ამ პროგრამებს, ვინ გააკეთებს საქმეს, რომლებიც არ იქნება იოლი და მოკლევადიანი და რეალურად გამოჩნდება თუ არა ფინანსური სახსრები მას შემდეგ, რაც რეალურად გაინერება საჭირო ბიუჯეტი.

ბაზალეთის სასტუმროთა ჯგუფი
ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსი

დაისვენეთ, გაართეთ, შეიგრძენით ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსი!

ტელ: +995 32 75 53 66 +995 32 75 53 67, E-mail info@bazaletilake.ge reservation@bazaletilake.ge, www. Bazaletilake.ge

დაიწყო ათვლა პინას გარეშე

თამარ კიკნაველიძე

გუმინ, 30 ივნისს, სახელგანთქმული გერმანელი ქორეოგრაფი პინა ბაუში გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შესახებ ცნობა AFP-მა ვუპერტალეში განთავსებული პინა ბაუშის თეატრის პრეს-სამსახურის შეტყობინებაზე დაყრდნობით გაავრცელა. სააგენტო აღნიშნავს, რომ ცოტა ხნის წინათ 69 წლის პინა ბაუშს ონკოლოგიური დაავადება აღმოაჩნდა. თეატრის საიტზე წერია, რომ დიაგნოზის დასმიდან ქორეოგრაფის გარდაცვალებამდე 5 დღე გავიდა, ჯერ კიდევ 28 ივნისს ის თეატრის სცენაზე იდგა.

ივლისის შუა რიცხვებში მას მოსკოვის ჩეხოვის ფესტივალზე საკუთარი თეატრის და სპექტაკლი შვიდი მომაკვინებელი ცოდა უნდა ჩაეტანა. 13 ივლისს რუსეთის დედაქალაქში უკვე დაგეგმილი იყო მისი პრესკონფერენცია, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ბაუშის ჟურნალისტებთან შეხვედრა ქორეოგრაფის ავადმყოფობის მიზეზით გადაიდო.

ამ შემოქმედის სახელი და გვარი ცნობილია ყველასთვის, ვისაც ქორეოგრაფიაზე სულ ცოტა რამ მაინც სმენია. გაზაფხულზე შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში ურბანულ პოლიტიკასთან დაკავშირებული კვირეული მოეწყო. ამ კვირეულის ფარგლებში საქართველოს გერმანიის ხელოვნების აკადემიის ვიკე-პრეზიდენტი, ნელე ჰერტლინგი სტუმრობდა. ის პინა ბაუშს კარგად იცნობდა და მის შემოქმედებას, როგორც სპეციალისტს, თვალს ადევნებდა. ჰერტლინგმა ცნობილი ქორეოგრაფის მოღვაწეობას ცალკე ლექცია დაუთმო და ქართულ აუდიტორიას, რომელიც ამ კვირეულს ესწრებოდა, მის მიერ განხორციელებულ ექსპერიმენტებსა და დამახურებაზე ესაუბრა. მაშინ ბაუშის დადგმების ჩანაწერების ნახვის საშუალებაც მოგვეცა. ნელე ჰერტლინგი მას ახასიათებდა, როგორც საოცრად ენერგიულ ადამიანს, რომელმაც არ იცოდა რა იყო დალდა. ის ქართველებს მასთან მოლაპარაკებების გამართასაც კი გვირჩევდა იმისათვის, რომ საქართველოში მასტერკლასების



ჩასატარებლად მოგვეწვია... ეს ფაქტი დასტურია იმისა, რომ ბაუშის, ასეთი ენერგიული და შრომის მოყვარე ქორეოგრაფის გარდაცვალებაზე ვერავინ იფიქრებდა. მას განუხორციელებელი დარჩა არაერთი პროექტი და იდეა.

პინა ბაუშის თავყანისმცემლები მის გამოჩენას სულ მალე ვიმეხვდებით ახალ ფილმში ელოდნენ. სრულმეტრაჟიანი სურათში, სახელწოდებით პინა, მას მთავარი როლი უნდა შეესრულებინა. მისი გადაღება 2009 წლის სექტემბერში უნდა დაწყებულიყო და რეჟისორის დაჟინებული მოთხოვნით, ის 3D ფორმატში უნდა გადაეღო, რათა მაყურებლისთვის უფრო ხელმისაწვდომი გამხდარიყო. ვიმეხვდებით კინოკომპანიის პროდიუსერი ჯან-პიერო რინგელი (Gian-Piero Ringel) მიიჩნევდა, რომ ეს პროექტი პირველი მაღალმხატვრული 3D ფილმის ნიმუში იქნებოდა. როგორ გადაწყვეტილებას მიიღებენ Neue Welle-ის წარმომადგენლები ქორეოგრაფის გარდაცვალების შემდეგ, უცნო-

ბია. ერთი კი ფაქტია, დასრულდა ცხოვრება იმ ხელოვანისა, რომლის შემოქმედებითი ბიოგრაფია წარმატებით განხორციელებულ როლებს, დადგმებს, ჯილოვებს, მოსწავლეთა და თავყანისმცემელთა არმიას იტევს.

პინა ბაუში 1940 წლის 27 ივლისს დაიბადა. 1954-58 წლებში ის საბალეტო ხელოვნებას ესწავნიდა და დასრულდა თეატრის ფერ სოლისტი, ხოლო 1969 წლიდან - მისი ხელმძღვანელი გახდა. 1973 წლიდან სათავეში ჩაუდგა თანამედროვე ცეკვის დასს ვუპერტალეში. მან შემოქმედებითი ჯგუფთან ერთად შექმნა სპექტაკლები, რომლებიც იმ ქალაქების პლასტიკისა და ატმოსფეროს გამოხატავდა, სადაც კი მისი თეატრი გამოდიოდა, იქნებოდა ეს ბუდაპეშტი, პალერმო, სტამბოლი, ტოკიო, ლოს-ანჯელესი, სეული, ვენა თუ სხვა. თანამედროვე ცეკვის სფეროში განხორციელებულმა ექსპე-

რიმენტებმა მას მსოფლიო აღიარება მოუტანა.

1983 წელს მასზე დოკუმენტური სურათი ბელგიელმა კინორეჟისორმა შანტალ აკერმანმა გადაიღო. ის ასევე მონაწილეობს ფედერიკო ფელინის ფილმში და გემიცი მიცურავს... (1983 წ.), და პედრო ალმადოვარის - ესაუბრე მას (2002 წ.). 1999 წელს მას ევროპული თეატრალური პრემია გადაეცა, ხოლო 2003 წელს - საპატიო ლეგიონის ორდენი, 2007 წელს - ოქროს ლომი (ვენეციის ბიენალე) და კიოტოს პრემია, 2008 წელს - გოეთეს პრემია.

მე არცერთი სკოლის მიმდევარი არ ვარ, მე უბრალოდ ვცეკვავ. სისულელეა ფიქრი იმაზე, რომ ცეკვაში უნდა არსებობდეს რაღაც ნორმა, რომელზეც კლასიკური ბალეტი აგებული, სხვა დანარჩენი კი ცეკვა არ არის. ცეკვის არსებობა შესაძლებელია ნებისმიერ ფორმაში. აქ მთავარია აზრისა და ემოციის პლასტიკური გამოხატულების სიზუსტე. აი, ამასია საქმე და არა კლასიკური ცეკვის ტექნიკაში, არამედ შესტში, რომელიც ადამიანთან თუ ადამიანში მომხდარის არსებითს გამოხატავს. მთავარია არა ის, თუ როგორ მოძრაობს ადამიანი, არამედ ის, რა ამოძრავებს მას", - ამბობს პინა ბაუში. ნამუშევარში შვიდი მომაკვინებელი ცოდა, რომელიც რუსი მაყურებლისთვის უნდა ეჩვენებინა, მან მწარედ დასცინა სამყაროს, რომელიც მამაკაცებმა თავისთვის და მათზე დამოკიდებული ქალებისთვის გამოიგონეს.

პინა ბაუში მონაფეა ისეთი სახელგანთქმული ექსპერიმენტისა, როგორც კურტ იოსია. ეს უკანასკნელი კი მოძრაობის რეფორმატორის - ლაბანის მოსწავლე გახლდათ. აი, საიდან მოდის პინა ბაუშის ინტელექტუალური და მხატვრული კეთილშობილება, მისი ესთეტიკური არისტოკრატიზმი, რომელიც ასე ბუნებრივად მოიცავს ესთეტიკურ ექსტრემიზმსა და არნახულ შემოქმედებით თავისუფლებას", - წერდნენ გერმანულ ქორეოგრაფზე, რომელმაც ეპოქა შექმნა, ბევრი ღირებული დადგმა განახორციელა და მრავალს გაუკავია გზა.

მთის დღესასწაული

"ხევსურული საღამო" უკვე სამი წლისაა

სიდან, რომლებიც მთის სიმღერებს მღერიან: ანსამბლი "ანანური", "გოგოჭურები", "ინანა", გელა დაიური, თეონა ქუმსიაშვილი, ქისტე მომღერალი სულთან ბორჩაშვილი და ა.შ. გამოვიდნენ ქართული საბრძოლო ხელოვნების "ხრიდოლის" წარმომადგენლები, მოეწყო გელა დაიურის ლექსების შეჯიბრი ბავშვებს შორის, საკუთარი ლექსი მუდგით თადეოშამაც წაიკითხა. საღამოს ორგანიზატორებმა ლეგენდარული ხევსური პოეტისა და მომღერლის გელა დაიურის ლექსების კრებულის "ბეჭებგაზარული მუცო" და ქისტე მომღერლის სულთან ბორჩაშვილის პირველი მუსიკალური ალბომის პრეზენტაცია მოაწყვეს, სადაც მისი ხევსურული სიმღერებია შესული. გელა დაიურისთვის ეს უკვე მეორე კრებულია, სადაც მისი ძველი და ბოლო პერიოდში დაწერილი ლექსებია გაერთიანებული. "მაგთის" მხარდაჭერით მისი შემოქმედების გაცნობა ქართველი საზოგადოებისთვის წელს კვლავ გახდა შესაძლებელი.

საღამოზე გელა დაიურის უნიკალური ფოტოებიც იყო წარმოდგენილი, რომელიც მან

ზამთარში, ჩაკეტულ პირობებში ხევსურეთში ყოფნისას გადაიღო. გარდა ამისა, გამოფენილი იყო პაატა ვარდანაშვილის, გიორგი არაბულის და გოგა ჩანაიორის ვერტმფრენიდან ექსკლუზიურად გადაღებული მთის ცხოვრებისა და ბუნების ასახვეული ფოტოები. მთის მოყვარულ ხალხს გოგა ჩანაიდრმა თბილისში ხევსურული კოშკის დადგმის იდეით მიმართა და ხელმოწერების შეგროვებაც კი სთხოვა. არანაკლებ საინტერესო და მრავალფეროვანი იყო წინა წლებში გამართული "ხევსურული საღამოები", რომელიც ნელ-ნელა განვითარდა და დღეს დიდი პოპულარობით სარგებლობს თბილისში. საღამოს საფუძველი ტურისტულმა სააგენტო "თებულოტურმა", ინტერნეტ ფორუმ karavi.ge-სთან ერთად ჩაუყარა. ორგანიზატორებმა საღამოს მეგობრულ წრეში ჩატარება განაწყვიტეს, სადაც ლექსების კრებულის და სიმღერების ალბომის პრეზენტაცია მოაწყვეს. თანდათანობით მეგობრული წრე გაიზარდა და მთლიანი ხევსურული მოიცვა. წინა წელს გამართულ საღამოზე ოცამდე ფოტოლორული ანსამბლი და დამოუ-

კიდებელი შემსრულებლები გამოვიდნენ, წარმოდგენილი იყო ხევსურული სამოსის და ხელნაკეთების გამოფენა, გაიმართა თეონა ქუმსიაშვილის სიმღერების ალბომის "ველარც სიმღერით გითხარ, ამდენი სიყვარული" და ლადო ჭინჭარაულის ლექსების კრებულის პრეზენტაცია. წელს ორგანიზატორები მარტო ხევსურეთითაც აღარ შემოიფარგლნენ და სამომავლოდ მის კიდევ გაფართოებას გეგმავენ. ტურისტული სააგენტო "თებულოტურმა" ორგანიზებით მალე შეტანილი - შატალიონობა გაიმართება, ხოლო "მაგთის ხევსურული საღამო მთის საჩუქარი ბარს", მომავალ წელს კიდევ უფრო გაფართოვდება, იქნება კულისინარიაც: თბილისელებს ნამდვილი მთიულური ხინკალის, ფშაური დაბა ხაჭოს და სვანური კუბდარის დაგემოვნების საშუალება მიეცემა.

წელს უკვე გაფართოებული მასშტაბით, უკვე მესამედ და ძველებურად ხალხმრავალი სიტყავით, ხევსურული საღამო თბილისში კვლავ გაიმართა.



ნომინაცია წლის საუკეთესო პროზაული კრებული

1. გურამ მეგრელიძე, მრავალჯერადი ბოთლები (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. მაკა მიქელაძე, წეროს ჯვარი (სიესტა)
3. გიგი სულაკაური, თამაში რევოლვერით (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
4. არჩილ ქიქოძე, მყუდრო (საარი)
5. გელა ჩქევაძე, დაუმთავრებელი ამბავი (დოიგენე)

ნომინაცია წლის საუკეთესო პოეტური კრებული

1. დალილა ბედიანიძე, ფიქრდიდობა (სიესტა)
2. ბათუ დანელია, MIRABILIS VITA (ინოვაცია)
3. გიორგი ზანგური, ნიგნი (მემეცნება)
4. გიორგი მირზაშვილი, ლექსები (სიესტა)
5. მაკა მიქელაძე, ბარათი (სიესტა)
6. ჯუანშერ ტიკარაძე, უკუქცევა (დოიგენე)
7. ნიკა ჯორჯანიძე, სუნთქვა ხუთისას (დოიგენე)
8. ტარიელ ხარხელაური, მინდვრის ფსალმუნები (ეროვნული მწერლობა)

ნომინაცია წლის საუკეთესო რომანი

1. ლაშა ბულაძე, კარიკატურისტი (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. თეონა დოღენჯაშვილი, მემფისი (სიესტა)
3. აკა მორჩილაძე, მესაიდუმლის ქამარი (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
4. გურამ ოდიშარია, პრეზიდენტის კატა (უნივერსალი)
5. დავით ქართველიძე, ახალი ნიგნი (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
6. დათო ჩხილაძე, ფემინინე (სიესტა)
7. თამაზ ჭილაძე, ბრევიელის მთვარე (პეგასი)

ნომინაცია წლის საუკეთესო პიესა

1. ლაშა ბულაძე, ნაფთალინი (ნიგნის სახელოსნო)
2. ირაკლი სამსონაძე, ყოფილების სარცელი (ჟურნ. "ჭოროხი", №5, 2008)
3. ბასა ჯანიკაშვილი, სულიკო (სიესტა)

ნომინაცია წლის საუკეთესო თარგმანი

1. მაია ბადრიძე, რობერტ მუზილის "უთისებო კაცი" (დოიგენე)
2. მანანა გიგინეიშვილი, დიდება შენდა (პეგასი)
3. გიორგი ეკიზაშვილი, დანიელ ტენაკის "ძალი, ძალი" (აგორა)
4. მაგალი თოდუა, სპარსული პოეზიის შედეგები (უნივერსალი)
5. დავით კახაბერი, ანდრე ჟიდის "ყალბი ფულის მჭრელები" (ინტელექტი)
6. ასმათ ლეკიაშვილი, ემილი ბრონტეს "ქარიშხლიანი უღელტეხილი" (არქტი)
7. ირმა რატიანი, 100 უძველესი იაპონური ლექსი (სიესტა)
8. გიორგი ქაჯაია, გალიუს სალუსტიუს კრისპუსის "თხზულებები" (ლოგოსი)
9. თეა შურღია და მზია ბურჯანაძე, თანამედროვე სპარსული პროზა "14 სევიანი ამბავი" (უნივერსალი)
10. ზაზა ჭილაძე, კენ კიზის "გაუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა" (დოიგენე)
11. ირაკლი ჯავახიძე, სერგეი დოვლატოვის "ჩემოდანი" (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
12. პაატა ჯავახიშვილი, მილან კუნდერას "გამოსათხოვარი ვალსი" (დოიგენე)

ნომინაცია წლის საუკეთესო კრიტიკა, ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა

1. ლევან ბრეგაძე, მოთხრობები ლიტერატურაზე (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. რეზო ესაძე, ბიპლანი - კინორეჟისურის შესახებ (კენტავრი)
3. გოგი ხორნაული, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი (ეროვნული მწერლობა)
4. რევაზ გაჩეჩილაძე, ახლო აღმოსავლეთი, სივრცე, ხალხი და პოლიტიკა
5. ზაზა ფირალიძე, ფრაგმენტული მედიტაციები იერონიმუს ბოსხის მხატვრობის შესახებ (კავკასიის საზ. სტრატეგიათა ინსტიტუტი)
6. ლამარა კვიციანიძე, სახსოვარი (თეთრი გიორგი)
7. გიორგი ლომიანიძე, მუშაობის ცხოვრება (კავკასიური სახლი)
8. დათო ტურაშვილი, ჯინსების თაობა (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

ნომინაცია წლის საუკეთესო დებიუტი

1. დიანა ანფიმიადი, შოკოლადი (სიესტა)
2. ბათუნა თავდარიძე, Homo Totus (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. ნიკა თევზაძე, დეტექტივის თავგადასავალი (ზეკარი)
4. ლევან კაველი, ინდონიზი (სიესტა)
5. გიორგი კეკელიძე, ოდები (სიესტა)
6. ლადო კილასონია, ლობე (საარი)

კაპიტილი

უფრო გაფართოებული და ტრადიციული სახით წელს უკვე მესამედ თბილისში ხევსურული საღამო გაიმართა. კომპანია "მაგთიკომის" მხარდაჭერით და ტურისტული სააგენტო "თებულოტურმა" ორგანიზებით, ბავშვთა ქალაქმა "მზიურმა" 26 ივნისს მთის ხალხს უკვე განახლებული სახელოვნებით "მაგთის ხევსურული საღამო, მთის საჩუქარი ბარს" უმასპინძლა. ეს ის პერიოდია, როცა მთისკენ მიმავალი ყველა გზა ბარელებისთვის უკვე გახსნილია, იქაურ წარმომადგენლებს შეუძლიათ ბარში ჩამოვიდნენ და თავიანთი შემოქმედება გააცნონ თბილისელებს. ტრადიციული საღამო წელსაც სიახლეებით ჩატარდა. სპეციალურად დამზადდა ხევსურული ლუდი, წარმოადგინეს მთის ცხოვრებისა და მთიანეთისთვის დამახასიათებელი ხალხური რენვის ნიმუშები. მონაწილეობდა ნენ, როგორც საქართველოს თითქმის ყველა კუთხის მთის ნაბადი "მარგალიტები", ისე პროფესიონალი ანსამბლები თბილი-

ჭაზის სამი დღე ბათუმში

“შავი ზღვის ჭაზფესტივალი” 19-21 ივლისს გაიმართება

ნა ვეკა

ზუსტად ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ცოცხალი ჯაზის რიტმები უკანასკნელად მოვისმინეთ - ბათუმში “შავი ზღვის ჯაზ ფესტივალი” გენიალური მარკუს მილერის, გიჟმაჟი Free Hole Negro-სა და არაჩვეულებრივი ტანია მარისა შესრულებით. გავიდა ერთი წელი და ჯაზი ბათუმში ისევ ბრუნდება ტრადიციულად მაღალი კლასის შემსრულებლებით, ორგანიზებითა და მუსიკალური სიამოვნების ნაკადით. ბათუმის მესამე ჯაზფესტივალის მთავარი ვარსკვლავი კი ლეგენდარული მასეო პარკერია.

ფესტივალი სწორედ მაშინ დაიწყება, როდესაც შავი ზღვა განსაკუთრებით კრიალავა, მზე მცხუნვარე, ხოლო აჭარის სანაპირო ზოლი ტურისტებით სავსე. პირველი კონცერტი 19 ივლისს გაიმართება. სცენაზე თანამედროვე ჯაზის შემსრულებელი აესტრიულ-სლოვენური-უნგრულ Alpen Adria Jazz Ensemble-ს ვიხილავთ. საღამოს მეორე ნაწილი კი ბრაზილიელ აირტო მორეირასა და ფლორა პურიმის ლათინური ჯაზის რიტმებს დაეთმობა.

20 ივლისს განსაკუთრებით მოემზადეთ და ეცადეთ, კონცერტზე არ დაგვიანოთ, რადგან ამჯერად მასეო პარკერს ქართველი მსმენელისთვის ზუსტად 2 საათი აქვს გამოყოფილი კონცერტის დასრულებისთანავე უნდა გაემგზავროს. ამ ორ საათში კი მთელ თავის ოსტატობას, მუსიკალური რობასა და ფანკის ველურ რიტმებს ისე ჩაატყვეს, მომავალი წლის ბათუმის ჯაზ ფესტივალამდე გაგვყვება.

ფესტივალის დასკვნით დღეს - 21 ივლისს საღამოს თურქული Sarp Maden Quartet გახსნის და ფოუქენით დაგვიტყვიან, შემდეგ კი სცენას ამერიკულ საოცრება Naturally 7-ს და მის რიტმ ენ ბლუზს დაუთმობს.

ყველა კონცერტი ბათუმის ბულვარის ცენტრალურ ადგილას მდებარე კლუბ “ტარაბუში” ჩატარდება. კონცერტები საღამოს 8 საათზე დაიწყება, თუმცა კლუბის კარი ერთი საათით ადრე გაიხსნება. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ მასეო პარკერის კონცერტზე არ დაგვიანოთ - იგი შესრულებას ზუსტად 8 საათზე დაიწყებს. რაც შეეხება ბილეთებს, თითო კონცერტის ბილეთის ფასი 70 ლარია, ხოლო მთლიანი აბონემენტის შეძენა 150 ლარად შეგიძლიათ.

ბილეთის ასეთი დაბალი ღირებულება ისევე და ისევე ფესტივალის მძლავრი სპონსორების დამსახურებაა. კომპანია “ისტერნ პრომოუშენის”, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ორგანიზებული ფესტივალის გენერალური სპონსორი “კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯიას” ახალი პროდუქტი, მატონიზირებელი სასმელი Burn-ია. ეს არის “კოკა კოლა” მიერ მთელ მსოფლიოში წარმოებული ენერგეტიკული სასმელი, რომლის ამირკავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებში წარმოებისა და მიწოდების ექსკლუზიური უფლება მხოლოდ “კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯიას” აქვს. სასმელი 250 მილიგრამი ტევადობის მეტალის ქილაშია ჩამოსხმული და ზაფხულის სიცხეში საუკეთესო გამაგრილებელ საშუალებას წარმოადგენს.



გენს. Burn სულ რაღაც ორიოდ კვირის წინ გამოჩნდა, “შავი ზღვის ჯაზ ფესტივალი” სპონსორობა კი ახალი პროდუქტის საუკეთესო რეკლამად მივიჩნიეთ”, - ამბობს “კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯიას” კომერციული დირექტორი გოგა რობაქიძე.

ფესტივალზე მონაწილეებს წარმოადგენს “ჯეოსელი”. აგრეთვე ფესტივალის სპონსორები არიან კომპანია Bat Oil და New Energy, მუსიკოსების ოფიციალური გადამყვანია Turkish Airlines, ხოლო მათ კომფორტსა და დასვენებაზე ქობულეთში მდებარე სასტუმრო Georgia Palace Hotel იზრუნებს.

მასეო პარკერი საქართველოში მეორედ ჩამოიდა 1998 წელს იმავე “ისტერნ პრომოუშენის” ორგანიზებით მან უკვე გამართა კონცერტი ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში, ამიტომ 11-წლიანი პაუზის შემდეგ მისი ცოცხალი შესრულების მოსმენა მაშინდელი კონცერტის მსმენელისთვის ალბათ განსაკუთრებით საინტერესო იქნება.

მასეო პარკერი 1943 წელს მუსიკოსების ოჯახში დაიბადა. მისი მშობლები ეკლესიის მომღერლები იყვნენ და სხვადასხვა ინსტრუმენტებზე უკრავდნენ. მუსიკოსი იყო ძმა მელვინიცი, ამიტომ გასაკვირი არ ყოფილა, როდესაც მომავალმა ვარსკვლავმა პატარაობიდანვე გამოავლინა მუსიკისადმი სიყვარული. მისი, როგორც მუსიკოსის აღმასვლა მაშინ დაიწყო, როდესაც ძმასთან ერთად ჯეიმს ბრაუნის ჯგუფს შეუერთდა. ბრაუნთან რამდენიმე წლიანი მუშაობის დასრულების შემდეგ მასეო, მელვინიცი და ჯგუფის კიდევ რამდენიმე წევრმა საკუთარი ჯგუფი Maceo & All the King's Men შექმნეს. 1973 წელს მასეო პარკერი კვლავ დაუბრუნდა ჯეიმს ბრაუნს და კიდევ ერთხელ გახდა ლეგენდარული The J.B.'-ს წევრი. 1975 წელს კი მასეო პარკერის მუსიკალურ ცხოვრებაში

ახალი ეტაპი დაიწყო, იგი ფრედ უელსისთან ერთად ლეგენდარული ჯორჯ კლინტონის ბენდ Parliament Funkadelic-ში გადავიდა.

რამდენიმე წლის შემდეგ მასეო პარკერი და ჯეიმს ბრაუნი კიდევ ერთხელ დაუკავშირდნენ ერთმანეთს, თანამშრომლობამ ოთხ წელს გასტანა. 90-იანი წლების დასაწყისიდან კი მუსიკოსმა

1974 წელს აირტო მორეირამ და ფლორა პურიმმა პირველი საკუთარი ბენდი Fingers შექმნეს. ისინი ხშირად აწყობენ ტურნეებს და წერენ ალბომებს. აირტო კი კვლავ რჩება ყველაზე მოთხოვნად პერკუსიონისტად მსოფლიოში, მას არ ჰყავს ალტერნატივა ისეთი გენიალური მუსიკოსების პროექტებში როგორებიც არიან: ქუინსი ჯონსი, ჰერბი ჰენკოკი,

წარმატებული სოლო კარიერა შეიქმნა. 1993 წელს მიწვეული სტუმრის სტატუსით მონაწილეობდა ჯგუფ De La Soul-ის ალბომის Buhloone Mindstate-ს ჩანერაში. 90-იანი წლების ბოლოს კი აქტიური თანამშრომლობა დაიწყო პრინციტან და მონაწილეობა მიიღო მისი ჯგუფის New Power Generation-ის ტურნეში. 1998 წელს დივი მეტიუსმა თავის ჯგუფში მიიწვია. მასეო პარკერმა Dave Matthews Band-თან ერთად შემდგომში DVD-დ გამოცემულ Live in Chicago-ში მიიღო მონაწილეობა. მასეო პარკერის ბოლო ალბომია Roots & Grooves, რომელიც მან WDR Big Band-თან ერთად ჩანერა და რეი ჩარლზს, როგორც თავისი შთაგონების წყაროს სსოვნას მიუძღვნა.

საინტერესო მუსიკალური ბიოგრაფია აქვს აირტო მორეირასაც, რომელიც ქართველი მსმენელის წინაშე პარტნიორ ფლორა პურიმთან ერთად პირველ საფესტივალო დღეს წარსდგება. მორეირა დიდი ხანია ლეგენდარულ პერკუსიონისტად მიიჩნევა. მსოფლიომ იგი 60-იანი წლების მიწურულს გაიცნო, როდესაც მომღერალ ფლორა პურიმთან ერთად ნიუ იორკში გადავიდა და აქტიურ მუშაობას შეუდგა ძალიან ცნობილ მუსიკოსებთან. ბასისტ უოლტერ ბუკერის რეკომენდაციით კი ჯო ზავი ნულთან დაიწყო თანამშრომლობა, რომელმაც აირტო მორეირას მუსიკოსად ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა. სწორედ მისი რეკომენდაციით მიიწვია მაილს დევისმა ახალგაზრდა პერკუსიონისტს ექსპერიმენტული სესიის Bitches Brew-ს ჩასანერად (1970 წელი). ამ უკვდავი პროექტის შემდეგ აირტო მორეირა მაილს დევისთან კიდევ 2 წელი თანამშრომლობდა. დევისის სხვაგვარი ნამოსვლის შემდეგ სხვა მუსიკოსებთან ერთად ლეგენდარული ჯგუფი Weather Report დააარსა, შემდგომში კი ჩიკ კორეას ჯგუფს Return to Forever-ს შეუერთდა.

ჯორჯ დიუკი, პოლ საიმონი, კარლოს სანტანა, ჯილ ევანსი, გატო ბარბიერი, მაიკლ ბრეკერი და სხვები.

ბათუმის ჯაზფესტივალს ამერიკული ბენდი Naturally 7 დახვდება. 1999 წელს ნიუ იორკში დაარსებული ჯგუფის ლიდერები ძმები როჯერ და უორენ ტომასები არიან. ჯგუფის შექმნის საბაზი კი საკმაოდ საინტერესოა: უორენს ბავშვობაში ძალიან უნდოდა დასარტყამ ინსტრუმენტზე დაკერა, მაგრამ დედა წინააღმდეგი იყო იმ მიზეზით, რომ ეს ინსტრუმენტი მეტისმეტად ხმაურია. უორენი კი დასვენებას არ აპირებდა და ისწავლა თუ როგორ გამოეცა პირით დასარტყამი ინსტრუმენტების ხმები. ხოლო როდესაც უორენმა ჯგუფის შექმნა გადაწყვიტა, რიტმსექციაში პირველ რიგში ძმა მიიწვია.

მას შემდეგ რაც როჯერ ტომასმა რამდენიმე ჯგუფში მოსინჯა ძალები, აკაპელათი დაინტერესდა, რადგან მიიჩნევდა, რომ ამ გზით შეეძლო თამამად შეექმნა განსხვავებული ჰარმონიული არანჟირებები. მოკლე დროში მისი ჯგუფი ნიუ იორკის აკაპელას კონკურსზე მიიწვიეს, რომელზეც გაიმარჯვეს და პირველი აღიარებაც მოიპოვეს. ამ წარმატებების შემდეგ ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩებოდა თუ როგორ გააგრძელებდა Naturally 7 მოღვაწეობას, დარჩებოდა აკაპელას სტილში თუ გახდებოდა ტრადიციული ბენდი. თუმცა გამოსავალი კვლავ როჯერ ტომასმა მოიპოვა და დღეს ჯგუფი აკაპელაცა და ბენდიც. ჯგუფის წევრებმა საკუთარ ხმებში გადაანაწილეს, თუ ვინ რომელი “ინსტრუმენტი” იქნებოდა და არაჩვეულებრივ შედეგსაც მიაღწიეს. ჯგუფის მოღვაწეობაში მისი წევრების უდიდესი პოტენციალი იკვეთება ისინი ხომ ყველანაირ ინსტრუმენტალურ ბეგრას (გიტარა, ფლეიტა, ბასი, დასარტყამები, პერკუსია ა.შ.) მხოლოდ საკუთარი ხმებით ქმნიან.



აფიშა

1 ივლისი

თიბისი ბანკი

ლიტერატურული პრემია საბას რიგით მეშვიდე დაჯილდოების ცერემონიალი დასაწყისი: 21:30

თეატრი

რუსთაველის თეატრი

მოხუცი ჯამბაზები რეჟისორი გ.კაპანაძე დასაწყისი: 19:00

კინო

ამირანი

ტრანსფორმერები 2 დასაწყისი: 12:30; 16:00; 19:30; 22:15; მფრინავი სახლი დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; სახე (რეჟ. ი.ბერგმანი) დასაწყისი: 19:45; შეთავაზება დასაწყისი: 20:00; 22.00;

გამოფენები

ხელოვნების მუზეუმი

პიკასო საქართველოში

ქარვასლა

საქართველოს გზები - ისტორია და თანამედროვეობა ტექსტილი ინტერიერი

ვერნისაუი

გურამ ნაცურიანის ნამუშევრების გამოფენა (ფერ-წერა)

შარდენი

თანამედროვე ტიხრული მინაქტის ხელოვნების გამოფენა (სამკაული, მინიატურა, ხატი);

ბაია

პირველი შთაგონება - რეგინა ანდრიანოვას პერ-სონალური გამოფენა

თიბისი - გალერეა

ომარ ღურმიძისადმი მიძღვნილი მემორიალური გამოფენა

ეროვნული მუზეუმი

ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები

ყველაზე გლამურული

მსოფლიოში ცნობილმა ქალთა ჟურნალმა Glamour ტრადიციული დაჯილდოების ცერემონიალი Glamour Awards ჩაატარა და ავსტრალიელი ვარსკვლავი კილი მინოუგი ერთდროულად ორი ნომინაციის გამარჯვებულად დაასახელა - წლის ქალი და წლის შემსრულებელი. მის გარდა სცენაზე ჯილდოს მისაღებად წლის აღმოჩენად ნოდებელი კეტი პერიც ავიდა და ჯგუფ Girls Aloud-ის წევრებიც, რომლებმაც დიდი ბრიტანეთის საუკეთესო ჯგუფის ნომინაციაში გაიმარჯვეს. ამ ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, შერილ კოულს კი გაცილებით გაუმართლა, რადგან საუკეთესო ტელენაწიყვანადაც დაასახელეს. მას ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერით ვარსკვლავების აკადემიის ბრიტანული ვერსია მიჰყავს.

Glamour Awards-ი თითქმის ოცი წელია ტარდება და შოუ ბიზნისის ყველაზე კაშკაშა წარმომადგენლებს აჯილდოვებს. აქ ყურადღება არა ნომინანტის სახელიერო ან სამსახიობო მონაცემებს ექცევა, არამედ უფრო იმას, რამდენად ვარსკვლავური ცხოვრება ჰქონდა წლის განმავლობაში. გამარჯვებულებს სხვადასხვა სფეროდან ასახელებენ. მათ შორის საუკეთესო სპორტსმენს, რადიოს ნაწყევანს, თეატრის მსახიობს ან დიზაინერს.

ბანცხალვა ტენდერის შესახებ

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მისამართი: ქ. ზუგდიდი, 2100 რუსთაველის ქ. №90) აცხადებს ტენდერს ქ. ზუგდიდში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის გადახურვითი სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
2. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 2 (ორი) ლოტად:
 - ლოტი №1 ქობულეთის ქ. №36-ში მდებარე 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლის და პარისის ქ. №4-ში მდებარე 3 სართულიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვითი სამუშაოები;
 - ლოტი №2 – სანკტ-პეტერბურგის ქ. №5-ში მდებარე 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლის და რუსთაველის ქ. №90-ში მდებარე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის გადახურვითი სამუშაოები;
3. შესასრულებელი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.
4. სამუშაოების შესრულების საგადასახადო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 (ორმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
5. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად (ორიგინალი და ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით) უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით 2009 წლის 20 ივლისს, 10 სთ-დან 12 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-4 სართული, ოთახი №3. სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნეს პრეტენდენტის იურიდიული და ფიზიკური პირის ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
 - 6.1 იურიდიული პირისათვის:
 - ა) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეგისტრაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან, მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
 - ბ) ცნობას, გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან);
 - გ) ცნობას, საჯარო საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოდან).
 - 6.2 ფიზიკური პირისათვის:
 - ა) ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
 - ბ) ცნობას, გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან);
 - გ) ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის საბუთი;
 - დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროსალი.
 - 6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:
 - ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
 - ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
 - გ) ცნობა მისხედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);
 - დ) ინფორმაცია 2007-2009 წლის განმავლობაში ტენდერში მონაწილე პირის მიერ ანალოგიური სამუშაოების განხორციელების მოცულობის შესახებ, არანაკლებ 200 000 ლარის ოდენობით;

ე) ინფორმაცია უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში ანალოგიური სამუშაოების განხორციელების გამოცდილების შესახებ (სამუშაოს მიხედვით, რომელიც შესრულებულ იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ, ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად).

№	სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით)	შესყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	შენიშვნა: სასურველია ხელშეკრულებების ასლების წარმოდგენა, თუ კონფიდენციალური არ არის
1				
2				
და ა.შ				

7. სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში მათი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს მე-6 პუნქტში მითითებულ ცნობებსა და ინფორმაციას.
8. დაეკისრება შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.
9. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 20 ივლისს, 12 სთ-ზე. სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებისთანავე, პრეტენდენტების თანდასწრებით, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.
10. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანს ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიის უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.
11. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება, ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია.
12. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეეძლებათ განაცხადების გამოქვეყნებიდან საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების მიღების დასრულებამდე. შემდეგ მისამართზე ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-4 სართული, ოთახი №3. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. ტენდერში მონაწილეობაზე დაინტერესებულ პრეტენდენტებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შესყიდველ ორგანიზაციაში.
13. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: ზაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის №200122900, მიმღები ბანკი – სახელმწიფო ზაზინა, კოდი 220101222, საბანკო კოდი 300343174, გადახდის დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.
14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ბესიკ ქარდავა - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, მე-4 სართული, მე-3 ოთახი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საკონტაქტო ტელეფონი: 8(215) 5-19-39.

სატენდერო კომისია

სს “მედია” აცხადებს კონკურსს (აუქციონს) გაკოტრების საქმეთა წარმოების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ დარჩენილი ქონების რეალიზაციაზე

სარეალიზაციოდ გამოდის შემდეგი ქონება:

1. მიწის ნაკვეთი 67589 კვ.მ.
2. მიწაში არსებული რეზერვუარი ბეტონის მონოლითი - 9 ცალი.
3. რკინის კარადა - 74 ცალი.
4. გათბობის ქსელის რკინა-ბეტონის არხი - 1600 გრ.მ.
5. გარე სანიაღვრე რკინა-ბეტონის კოლექტორი - 369 გრ.მ. მიწის ქვეშ ეკლესიის ეზოს ტერიტორიაზე.
6. გარე რკინა-ბეტონის კანალიზაციის კოლექტორი - 230 გრ.მ. მიწის ქვეშ ეკლესიის ეზოს ტერიტორიაზე.
7. გარე სამრეწველო ნყალსადენი დ=15288 - 1150 გრ.მ. მიწის ქვეშ ნაწილი სასაფლაოს ტერიტორიაზე.
8. საფეიქრო საღებავები - 9,287 ტონა;
9. საერთო მისასვლელი გზა - 1100 გრძ/მ.
10. ტერიტორიის ფილების შემოღობვა - 10 მ.
11. რკინა-ბეტონის ელექტრო ანძა - 20 ც.
12. ლიფტი (დიდი, პატარა) - 2 ც.
13. კონდესატის ბაკი - 2 ც.
14. რკინის კარები - 6 ც.
15. რკინის გისოსები - 5 ც.
16. შუალედური რეზერვუარი - 2 ც.

17. მიწისქვეშა და შიგა ძალოვანი ქსელი.
18. კომპიუტერი პენტიუმ ორი.
19. სურათი გელათის გამოსახულებით. ქონების სანყისი ღირებულება - 2897574,30 ლარი. ქონების რეალიზაციის აუქციონი დანიშნულია 2009 წლის 30 ივლისს. განცხადება მიიღება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 11.00 საათიდან 16.00 საათამდე. მისამართზე: ირაკლი აბაშიძის №23 2009 წლის 29 ივლისის 16.00 საათამდე. აუქციონში მონაწილეობისათვის აუცილებელია ბეს გადახდა. ბეს ოდენობა განისაზღვრება შესაძენი ქონების სანყისი ღირებულებიდან 5%-ის ოდენობით. ბე უნდა ჩაირიცხოს: ს/ს საქართველოს ბანკი -ს ქუთაისის ფილიალი ანგ. №003467593 ბ.კ. 220101502 არაუგვიანეს 2009 წლის 29 ივლისისა.
- დამატებითი პირობების გაგება და ქონების ვიზუალური დათვალიერება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ქუთაისი, სულხან-საბას №12, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 10.00 სთ-დან 16.00 საათამდე. ტელ: 8(231) 9-44-74; 899 54-08-58.
1. აუქციონზე იურიდიულმა პირებმა უნდა წარადგინონ: რწმუნების დამადასტურებელი მინდობილობა; ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან; გადასახადის გადამხდელის დამადასტურებელი დოკუმენტი; ბეს გადახდის გადამხდელის დამადასტურებელი დოკუმენტი.
2. ფიზიკურმა პირმა უნდა წარმოადგინოს: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ბეს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

გაკოტრების მმართველი: /დ. ფრუიძე/

სპორტი

ასათიანი მწვრთნელისგან ფარულად, დამლაშობით ვარჯიშობდა

მალხაზ ასათიანი მოსკოვის ლოკომოტივთან ერთად ავსტრიაში სანვრთნელ შეკრებას გადის. რკინიგზელთა კლუბში დაბრუნებულმა ქართველმა მცველმა ერთ-ერთ ამხანაგურ მატჩში ლოკოს კაპიტნობაც მოასწრო. ამ ორიოდ დღის წინ ერთ-ერთ რუსულ გამოცემაში გამოქვეყნდა ასათიანის ვრცელი ინტერვიუ. ვთავაზობთ ამ ინტერვიუს შემოკლებულ ვარიანტს.

- ზალცბურგთან საკონტროლო მატჩში კაპიტნის სამკლავური მოირგეთ. ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ დინიარ ბელილიატიდინოვმა, როდესაც მოედანს ტოვებდა, სწორედ თქვენ გადმოგცათ კაპიტნის სამკლავური.

- არ ვიცი. შესაძლოა. თუმცა ვფიქრობ, დინიარმა უბრალოდ არ იცოდა, რომ სენია (დმიტრი სენიკოვი) მატჩს ბოლომდე ითამაშებდა, თორემ კაპიტნობას ის ჩემზე მეტად იმსახურებს, ბოლოს და ბოლოს, ჩემზე გაცილებით გამოცდილია.

- სერიოზულად ვისაუბროთ. სანამ ტრავმას მიიღებდით, რომლის გამო თითქმის რვა თვე გაგიცდათ და შემდეგ დინამოში გადახვედით, ლოკომოტივის უდავო ლიდერი იყავით. ახლა თუ გრძნობთ ასეთად თავს?

- სიმართლეს გეტყვით - არა. ამაზე არც ვფიქრობ. ახლა მთავარია ფორმა აღვიდგინო, დაველოდო ჩემს შანსს და დავიბრუნო ადგილი გუნდის ძირითად შემადგენლობაში. სამწუხაროდ, ასეთი შანსი ლოკოს წინა მწვრთნელმა არ მომცა.

- კიევში გადასვლა მთლიანად სიომინის უკავშირდებოდა?

- დიახ. იმ დროს აქ არავის ვჭირდებოდი, სიომინმა დინამოში გადასვლა შემომთავაზა და უყოყმანოდ დავთანხმდი.

- რახიმოვს არ დაელაპარაკეთ?

- არა. რა საჭირო იყო. კლუბებმა ეს საკითხი იოლად მოაგვარეს.

- ალბათ რაშიდ რახიმოვზე ნაწყენი ხართ...

- არა. ყველა მწვრთნელი თავისებურია. ზოგს მოსწონს ესა თუ ის ფეხბურთელი, ზოგს - არა. ალბათ რახიმოვს მიაჩნდა, რომ ძირითადში სათანადოდ არ ვარ სათანადოდ მომზადებული.

- რახიმოვს რომ თქვენთვის თამაშის საშუალება მოეცა, იური პავლოვიჩი შეძლებდა თქვენს გადაბირებას და კიევში გადაყვანას?

- არ ვიცი. რთული საკითხია. ლოკოში რომ სათანადოდ პრაქტიკა მქონოდა, სერიოზული არჩევანის წინაშე დავდგებოდი. იური პავლოვიჩს უდიდეს პატივს ვცემ. სწორედ მან ჩამომაცალია ფეხბურთელად.

- თუ წარსულს გავიხსენებთ, თავიდან არც სიომინი



ასათიანმა "ლოკოს" კაპიტნის სამკლავური მოირგო

დაყენებდათ ძირითადში.

- დიახ. პირველ სეზონში, რომელიც ლოკოში გავატარე, ფაქტობრივად არ მითამაშია.

- როგორც ვიცი, მაშინაც გქონდა იჯარით სხვაგან თამაშის შანსი.

- დიახ, შინიკი მიწვევდა და მეც მიწვევდა გადასვლა. თუმცა კლუბის პრეზიდენტმა იური ფილატოვმა მითხრა: მოდი, ნუ იჩქარებ, გუნდთან ერთად შეკრებაზე წამოდი და გადაწყვეტილება მერე მიიღე. ასეც მოვიქეცი. შედეგად ჩემპიონთა ლიგაში მონაკოს წინააღმდეგ მათამაშეს და, ცხადია, ნასვლაზე აღარ მიფიქრია.

- თქვენზე ასეთ ლეგენდას ყვებიან. 2003 წელს საქართველოსა და რუსეთის ნაკრები გუნდების მატჩში გამარჯვების გოლი გაიტანეთ და რუსეთის ნაკრების კარს უკან დაინახეთ ბერეტი გრიგორის ასული ზაბეღინა - ლოკომოტივის ყველაზე ერთგული და სტაჟიანი გულშემოტივარი. მასთან მიიზრინეთ და უთხარით: ბები, უთხარით რა იური პავლოვიჩს, ახლა მაინც დამაყენოს შემადგენლობაში. ეს მართლა მოხდა?

- იცით, იმ მომენტში სად გავბოდი, არც მახსოვს. ვინ დავინახე, არც ვიცი და არც ის ვიცი, რას ვამბობდი. თუმცა, ვფიქრობ, ეს მაინც მოგონილია.

- მაშინ ეს ვერსია დავივინყოთ და მითხარით, რითი მიიქცეით სიომინის ყურადღება?

- 2003 წლის შემდეგ გუნდი იგნაშვიჩმა დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ ლოკოში ამიყვანეს როგორც ნახევარმცველი, პალიჩმა მონაკოსთან ჩემპიონთა ლიგის მატჩის წინ დაცვის ცენტრში სწორედ ჩემი დაყენება გადაწყვიტა.

- ალბათ ამ მატჩში მუხლები გიკანკალვდათ.

- ძალიან ვწერვილოდდი, თუმცა ურიგოდ არ მითამაშია. სამწუხაროდ, მეოთხედფინალ-

ში მაინც ვერ გავედით.

- სიომინი იყო პირველი, ვისაც აზრად მოუვიდა დაცვაში თქვენი დაყენება?

- დიახ. - სანამ ლოკომოტივში გადახვედით, თბილისის დინამოში გადასვლის რეალური შანსი გქონდათ?

- დიახ. თუმცა ტორპედოს მაშინდელი პრეზიდენტი ფილატოვთან შეგობრობდა და მეც ლოკოში აღმოვჩნდი.

- დინამოში თამაშზე ხომ ნებისმიერი ქართველი ბიჭუნა ოცნებობს?

- მართლაც ასეა. თუმცა ლოკომოტივში გადოსვლით ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშებდი. თანაც რუსეთის ჩემპიონატის დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის. ჩავთვალე, რომ, როგორც ფეხბურთელი, აქ უფრო გავიზრდებოდი.

- ალბათ ამაში თავადაც შეგეპარათ ეჭვი, როდესაც პირველ სეზონში სათადარიგო სკამს არ მოცილებიხართ.

- იყო ასეთი მომენტებიც, თუმცა მაშინ ახალგაზრდა ვიყავი.

- იმასაც ამბობენ, რომ მწვრთნელისგან ფარულად, დამლაშობით ვარჯიშობდით.

- დიახ. ერთხელ, ჩემპიონთა ლიგის მატჩის შემდეგ, რომელშიც მარათ იზმაილოვმა 90 წუთი ითამაშა, ბაკოვკაში ბაზაზე მივედი. იქ, ტერიტორიის მიღმა, პატარა მოედანია, სადაც ბავშვები თამაშობენ. მე და მარატი ბავშვებს შევეუერთდი და ვითამაშეთ.

- ბავშვებმა გიცნეს?

- მარატი - კი, მე - ვერა.

- სიომინი რომ კიევში დარჩენილიყო, თქვენ დაბრუნდებოდით?

- რთული კითხვაა. ლოკოში რახიმოვს რომ გავერძელებინა მუშაობა, ჩემს დაბრუნებას აზრი არ ექნებოდა.

დეს, როდესაც სიომინთან ერთად ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდა?

- ცხადია, ყველას უნდა, რომ ეს, რაც შეიძლება, სწრაფად მოხდეს. ახლა კარგი გუნდი გყავს და, იმედია, მალე ავთამაშდებით.

- შეგიძლიათ თუ არა თქვით იგივე, რაც სიომინმა: მე სახლში დაბრუნდი?

- რა თქმა უნდა. მიუხედავად იმისა, რომ ლოკოში არც-თუ ისე სასიამოვნო წუთებიც მაქვს გადატანილი, ეს გუნდი მშობლიურად მიმაჩნია.

- ერთხელ მუჯირმა მითხრა, რომ, ადრე თუ გვიან, ყველა ქართველი სახლში ბრუნდება.

- ასეც არის. ჩემთვის რეალური სახლი მხოლოდ ქუთაისია და ასე იქნება ყოველთვის. იქ ცხოვრობენ ჩემი მშობლები, იქ გაიარა ჩემმა ბავშობამ. ამიტომ ქუთაისში ყოველთვის დიდი სიხარულით ჩავდივარ, თუმცა მოსკოვიც მიყვარს.

- მართალია, რომ მოსკოვში ერთხანს მართვის მონაშობის გარეშე ატარებდით მანქანას?

- თუ შეიძლება, ამ კითხვაზე არ ვპასუხებთ. იქნებ ეს ინტერვიუ რომელიმე საგზაო ინსპექტორმა წაიკითხოს

- ესე იგი, მართლა ასე იყო?

- ჰო, იყო. საბედნიეროდ, ვერც ერთხელ ვერ გამოიჭირეს.

- მოსკოვში ადვილად მიუჯექით საჭეს?

- არა. დაახლოებით სამი წელი დამჭირდა. ოღონდ არ იფიქროთ, რომ უცხო ქალაქში მანქანის მართვის მეშინოდა. უბრალოდ, მანქანა არ მყავდა.

- ერთხელ ზაზა ჯანაშიას გზა აებნა და კარგა ხანს ქალაქს წრეებს უვლიდა. თქვენ?

- არა, რას ამბობთ. სანამ მანქანას ვიყიდდი და ტაქსით მიწვევდა გადაადგილება, ქალაქი კარგად შევისწავლე. მარატიც მესმარებოდა. შემდეგ მე ვეხმარებოდი დათო მუჯირს.

- საკუთარი ბინაც იყიდეთ. უკვე გაარემონტეთ?

- არა. რემონტი საშინელებაა, ვერა და ვერ დავამთავრე.

- ალბათ მაინც დაამთავრებთ. მერე ცოლის მოყვანის დროც მოვა, არა?

- ჰო. ეს მტკივნეული საკითხია. ახლობლებმაც შემანუხეს. სულ მეკითხებიან, როდის დაოჯახდებით. რა ვქნა, ჯერ ვერ ვიპოვე ისეთი ქალი, რომელთანაც მთელი ცხოვრების გატარება მენდომება.

"ზორჯღალოსნების" პოზიცია

უცვლელია

IRB-ს განახლებულ რეიტინგში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 66.85 ქულა და მე-17 ადგილი შეინარჩუნა.

ზორჯღალოსნები კვლავაც რუსეთისა და აშშ-ს გუნდებს შორის არიან მოქცეულნი, მონინავე 15-ეულში კი ერთადერთი ცვლილება მოხდა - წყნარი ოკეანის თასზე ტონგაში მოპოვებული გამარჯვების (21:19) წყალობით, იაპონელებმა კუნძულები მე-14 პოზიციიდან ჩამოაქვეითეს.

1.ახალი ზელანდია	90.68
2.სამხრეთ აფრიკა	89.45
3.ავსტრალია	86.32
4.ირლანდია	83.27
5.საფრანგეთი	81.48
6.არგენტინა	81.29
7.ინგლისი	81.23
8.უელსი	80.74
9.ფიჯი	76.52
10.მოჭლანდია	75.23
11.სამოა	73.48
12.იტალია	71.23
13.კანადა	70.68
14.იაპონია	68.37
15.ტონგა	67.53
16.რუსეთი	67.17
17.საქართველო	66.85
18.აშშ	65.37
19.რუმინეთი	64.85
20.პორტუგალია	62.16
21.ურუგვაი	61.97
22.ესპანეთი	59.01
23.ჩილე	57.95
24.ს.კორეა	57.90
25.ნამიბია	56.60
26.გერმანია	55.35
27.ტუნისი	55.28
28.ყაზახეთი	55.12
29.ბრაზილია	54.97
30.პოლონეთი	54.42

ქეცხაიამ თვალი რუენს დაადგა

ბერძნული ოლიმპიაკოსის მთავარ მწვრთნელად ახალაზნა დანიშნული ქართველი სპეციალისტი თემურ ქეცხაიამ გუნდის გაძლიერებას გეგმავს და ამ მიზნით მას ნიუკასლის ფორვარდის მაიკლ ოუენის შეძენა სურს.

ოუენს ნიუკასლთან კონტრაქტი მომავალ კვირაში უმთავრდება და იგი კლუბთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებას არ აპირებს მით უმეტეს, რომ ჯოლრდები პრემიერლიგას დაემშვიდობნენ. აღსანიშნავია, რომ 29 წლის ფორვარდი ამჟამად ფაქტობრივად უგუნდოდა და თავადაც ეძებს ახალ კლუბს, ამ მიზნით მაიკლმა სხვადასხვა ევროპულ გუნდებში გაგზავნა საკუთარი მონაცემები.

შექმნილ ვითარებაში ალბათ სრულიად რეალური იქნება თუ ოუენი ოლიმპიაკოსის შეთავაზებას მიიღებს, მით უმეტეს, რომ ბერძნული კლუბის საშუალებით მაიკლს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის საშუალება ექნება.

ქართველთა "რუბინმა" ავსტრიელებს გადაუარა

ავსტრიაში შეკრებაზე მყოფმა ყაზანის რუბინმა, მორიგი ამხანაგური მატჩი ქვედალიგელ გრატკორნთან გამართა და 6:0 გაიმარჯვა.

რუბინის ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, განვლილი შეხვედრა გუნდმა ორი შემადგენლობით ჩაატარა. ყაზანელთა რიგებში მყოფი ქართველი ფეხბურთელებიდან, ავსტრიელთა წინააღმდეგ პირველი ტაიმი ლაშა სალუქვაძემ ითამაშა, ხოლო მეორე - დავით კვიციანი.

რუბინის შემადგენლობაში ჰეთ-თრიკი ბუხაროვმა შეასრულა, ხოლო ბალიაკინმა, ნობოამ და სუვოროვმა თითო გოლი გაიტანეს.

სავიოლა "ბენფიკაში" ითამაშებს

მადრიდის რეალის არგენტინელი ფორვარდი ხავიერ სავიოლა ლისაბონის ბენფიკაში გადავიდა. სავიოლამ პორტუგალიურ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ესპანელებმა კი მის სანაცვლოდ 5 მილიონი ევრო მიიღეს.

ნიანგმა ხელფასის გაზრდა მოითხოვა

ფრანგული მარსელის სენეგალელი ფორვარდის მამადუ ნიანგის აგენტი აცხადებს, რომ კლუბმა მის კლიენტს ხელფასი უნდა მოუმატოს. ნიანგი მარსელის ლიდერად ჩამოყალიბდა და ფეხბურთელის აგენტის თმით მისი ხელფასიც ამ სტატუსის ადეკვატური უნდა იყოს.

ამ საკითხის გადაწყვეტა მარსელზე დამოკიდებულია, ფეხბურთელს კი კონტრაქტში არსებული ფინანსური პირობების გაუმჯობესება უნდა. ნიანგი მარსელში თავს კარგად გრძნობს, მაგრამ მისი სტატუსიდან გამომდინარე, გარკვეულ სახელფასო დანამატს ითხოვს. მამადუს ძალიან უნდა, რომ მარსელის ისტორიაში საკუთარი კვალი დატოვოს და შესაძლოა, მან, ისევე როგორც რაულმა, მთელი კარიერა ერთ კლუბში გაატაროს, - ამბობს მამადუ ნიანგის აგენტი.

რუნი შედეგიანობის გაზრდას აპირებს

ინგლისის მანჩესტერ იუნაიტედის თავდასხმელი უეინ რუნი, გუნდიდან პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუსა და არგენტინელი კარლოს ტევესის წასვლის შემდეგ, საკუთარი სათამაშო პოზიციის შეცვლაზე ალაპარაკდა.

როგორც The Times-ი იუწყება, ინგლისელი თვლის, რომ ფლანგზე თამაში თავის შესაძლებლობებს სრულად ვერ ავლენს და უკეთესი იქნება, თუკი გუნდში ცენტრფორვარდად გაამწესებენ.

თქმა არ უნდა, რომ ჩვენ ორი საკვანძო ფეხბურთელი დავკარგეთ. იმედია, შევიძენთ ისეთ მოთამაშეებს, რომლებიც მათ სათანადოდ შეცვლიან. ბოლო ორი სეზონის განმავლობაში, რონალდუმ და ტევესმა უამრავი გოლი გაიტანეს, თუმცა, იმედს ვიტოვებ, რომ მომავალში მათ ჩანაცვლებას შევძლებ. მსურს ვითამაშო იმ პოზიციაზე, სადაც უკეთესად ვგრძნობ თავს და ბევრი თვლის, რომ ეს თავდასხმის ცენტრია. ჩემი აზრით, ფლანგზე საკუთარი შესაძლებლობების სრულად წარმოჩენა არ შეიძლება. ახლა კი, როდესაც რონალდუ წავიდა, გუნდში დარჩენილმა ფეხბურთელებმა მეტი გოლის გატანა უნდა შეძლონ და ვგრძნობ, რომ საკუთარი შედეგიანობის გაზრდის პოტენციალი გამაჩნია, - ასე არაორაზროვნად შესთავაზა ალექს ფერგიუსონს რუნიმ მისი სათამაშო პოზიციის შეცვლა.

2004 წლიდან მანჩესტერ იუნაიტედში მყოფმა რუნიმ პრემიერლიგის 157 მატჩში 65 გოლის გატანა მოახერხა, ინგლისის ეროვნულ გუნდში კი (2003 წლიდან), სადაც, ძირითადად, სწორედ ცენტრფორვარდის პოზიციაზე უწევს თამაში, ლამის ყოველი მეორე შეხვედრა გოლით აღნიშნა (52 მატჩი, 24 გოლი).

საინტერესოა ტევესისა და რონალდუს მონაცემებიც - 2007 წლიდან მანჩესტერის წევრმა არგენტინელმა, პრემიერლიგის 63 მატჩში 19 გოლი გაიტანა (თუმცა, აქ უნდა აღინიშნოს, რომ ტევესს, ხშირ შემთხვევაში, თამაშში ჩართვა სათანადო სკამიდან უწევდა), ხოლო ძირითადად მოღვაწე პორტუგალიელს, 2003-09 წლებში გამართულ 196 შეხვედრაში 84 გოლი დაუგროვდა.

“მილანმა” ჭეკო ვერ იყიდა

მილანი კარგა ხანს ცდილობდა ვოლფსბურგის 23 წლის ბოსნიელი ფორვარდის ედინ ჯეკოს გადაბირებას. იტალიურ გრანდში თავად ბოსნიელსაც სურდა გადასვლა, თუმცა საბოლოოდ ტრანსფერი მაინც ჩაიშალა.

მე ვოლფსბურგში ვრჩები, - თქვა ჯეკომ, - მართალია, ამით ბედნიერი არ ვარ, მაგრამ ვალდებული ვარ, კონტრაქტს პატივი ვცე.

კონტრაქტი მას კლუბთან 2011 წლამდე აკავშირებს და ვოლფსბურგე აპირებს მისი გახანგრძლივება შესთავაზოს. ბილდის ინფორმაციით, თუ ჯეკო კონტრაქტის ორი წლით გაგრძელებას დათანხმდება, მისი ანაზღაურება ახლანდელი წლიური 1 მილიონი ევროდან 3 მილიონამდე გაიზრდება, ხოლო - თუ მხოლოდ 1-ით, მისი ხელფასიც, შესაბამისად, ნაკლებად მოიმატებს.

ჯეკოს ტრანსფერი დაბლოკა მგლების ახალმა მწვრთნელმა არმინ ფემ, რომელსაც მიაჩნია, რომ ბოსნიელისთვის მილანში გადასვლა სასარგებლო არ იქნება.

მე არაერთი მოთამაშე მინახავს, ასეთი ტრანსფერის შედეგად რომ დაღუპულა, - თქვა მან, - ჯეკო ძალზე ნიჭიერი მოთამაშეა, მაგრამ მას დრო და გარკვეული პარამონია სჭირდება საიმისოდ, რომ კიდევ უფრო განვითარდეს. რომ ვიცოდე, მილანში ის თავისი ნიჭის განსავითარებლად მიდის, კიდევ გავიგებდი, მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ მხოლოდ ძალიან დიდ ფულს იხედავს საქმე. ზოგჯერ ფეხბურთელებს კარგი მრჩეველები ჰყავთ, ზოგჯერ - არც ისე კარგი.

ქართველი სუმოისტები დანიანურდნენ

გუშინ სუმოს ასოციაციამ გამოაქვეყნა იენისის ბანძუკე (რეიტინგი), რომელშიც ყველაზე საპატიო - აღმოსავლეთის იოკოძუნას ადგილი მონდოლ გოლიათს ჰაკუშოს უკავია. დასავლეთის იოკოძუნობა ასევე მონდოლ ასოშირიუს ერგო. რეიტინგის შემდეგ ხუთ საფეხურზე არიან მაისის ტურნირის ტრიუმფატორი ჰარუმამი-ფუჯი, კოტოშუ, კაიო, კოტომისუკი და ჩიოტაიკაი.

მაისის ბაშოზე წარმატებული გამოსვლის შემდეგ ქართველებმა რეიტინგშიც წინ წაინიეს. 21 წლის ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი) დასავლეთის მეხუთე მანეგაშირას რანგში მოგვევლინა, რაც დიდ წარმატებად უნდა ჩავთვალოთ. გამოცდილი ქართველი სუმოისტი ლევან ცაგურია (კოკაი) კი აღმოსავლეთის მერვე მანეგაში-



ტოჩინოშინი მეხუთე მანეგაშირობამდე აღზევდა

რობამდე აღზევდა. სტარტს. იმედია, ქართველი მომდევნო ბაშო ივლისის სუმოისტები რეიტინგში, სულ პირველ ნახევარში აიღებს მცირე, ადგილს მაინც შეინარ-

რუნებენ.	
აღმოსავლეთი	დ ა -
სავლეთი	
ჰაკუშო	იოკოძუნა ასოშირიუს
ჰარუმამი-ფუჯი	ოძეკი კ ო -
ტოშუ	
კაიო	ოძეკი კოტომისუკი
ჩიოტაიკაი	ოძეკი -
კაკურუ	სეკიფუკე კისენოსატო
კუკუტენო	კომოსუბი კოტომოგიკუ
არანი	მანეგაშირა 1 გოეი-
დო	
ტოჩინოშინი	მანეგაშირა 2
ტოჩინოშინი	
იეკიამა	მანეგაშირა 3 ბარუტო
მიბაბამა	მანეგაშირა 4 ტაკამისაკირი
ამინამიკი	მანეგაშირა 5 ტოჩინოშინი
ბუშუიამა	მანეგაშირა 6 ტამანოშიმა
ტოუნოშიმა	მანეგაშირა 7 მაკონამი
კოკაი	მანეგაშირა 8 კაკიზო
ტაკეკაზუ	მანეგაშირა 9 ტოჩინოშინადა
შოტენრო	მანეგაშირა 10 ტოკიტენუკი
იამამოტოიამა	მანეგაშირა 11 ტამაგაში
ასასეკირუ	მანეგაშირა 12 იოშიკაზე
ფუტენო	მანეგაშირა 13 ჯემა
შიმოტორი	მანეგაშირა 14 ტოსასუტაკა
ჰომამო	მანეგაშირა 15 კასუგაო
ვაკაიკუ	მანეგაშირა 16


ნიკოლ შერზინგერს ჰაკიაოსთვის იღებენ

თაა დოლიძე

Pussicat Dolls მთელ მსოფლიოში ცნობილი და პოპულარული ამერიკული ჯგუფია. ჯგუფის სოლისტი ნიკოლ შერზინგერი, თავისი კარიერის გარდა, პირადი ცხოვრებითაც მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ახლა მომღერალი ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონის ლუის ჰამილტონის მეგობარი ქალის ტიტულს ატარებს, თან, სამსახიობო კარიერაშიც ცდის ძალებს.

მომღერალი იმდენად გაიტაცა სპორტმა, რომ წონითი კატეგორიების მიუხედავად მსოფლიო უძლიერეს მოკრივედ შერაცხულ ფილიპინელ მენი ჰაკიაოს (49 გამარჯვება, აქედან 37 ნოკაუტით, 3 ნაგება და ორი ფრე) ცხოვრების შესახებ გადასაღებ ფილმში როლის შესრულების საკითხს განიხილავს. მეტიც, ნიკოლი ჰაკიაოს დიდი თავგანისმცემელი ყოფილა და, როგორც ამბობს, საიმოვნებით მიიღებდა მონაწილეობას ამ ფილმში.

31 წლის ნიკოლი ჰაკიაოს კუნძულებზე დაიბადა. მისი წარმატება დიდად განაპირობა მისმა გარეგნობამ, რასაც ხშირად გენებს უკავშირებენ. მომღერლის



ჰამილტონის მეგობარი გოგო ჰაკიაოს ეთაყვანება

მამა ფილიპინელია, დედას კი რუსული და ჰავაიური სისხლი უჩქეფს. მომღერალს ფილმთან დაკავშირებით სწორედ წინამრებმა მიაღებინეს საბოლოო

გადაწყვეტილება. შერზინგერი კინოსურათის ერთ მონაკვეთში ფილიპინების ეროვნული ჰიმნის შესრულებაც მოუწევს. ეს არ არის კინოში ნიკოლის

დებიუტი. მომღერალი მსახიობის ამპლუაში გამოჩნდა სერი-ალში "ჩემი ცოლი და შვილები". შემდეგ იყო მეორეხარისხოვანი როლები, ხოლო ამ როლზე დამტკიცების შემთხვევაში მომღერალი სერიოზულ ნაბიჯს გადადგამს კინოინდუსტრიისკენ.

წავიკითხე სცენარი მენი ჰაკიაოს ცხოვრების შესახებ. ვნახოთ, რა გამოვა. თუ ფილმში გადამიღებენ, ჩემთვის ეს ერთგვარი სასცენო კურთხევა იქნება, - პერსპექტივით აღფრთოვანებას ვერ მალავს ნიკოლ შერზინგერი. რაც შეეხება სცენას, მან აქაც ბევრი იშრომა. კარიერა ჯგუფ Days of The New-ში დაიწყო. სახელი და დიდება კი ამერიკული ვარსკვლავების აკადემიის ვერსია Popstars-ში მონაწილეობამ მოუტანა. სწორედ მაშინ გაიცნო მსოფლიომ, თუმცა როგორც ჯგუფ Eden's-ის სოლისტი.

დღეს ნიკოლ შერზინგერი Pussycat Dolls-ის სოლისტია და მიღწეულით არ კმაყოფილდება. მომღერლის როლზე დამტკიცება თითქმის გადაწყვეტილია. თუ ესეც ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც მისი სასიმღერო კარიერა, ჰოლივუდის ვარსკვლავებს ღირსეული კონკურენტი გამოუჩნდება.

სატრანსფერო საბიჭითი

ფლორენტინო პერესის ფეხბურთში დაბრუნება მორიგი სატრანსფერო აურზაურის მიზეზად იქცა. მადრიდის რეალის პრეზიდენტმა ფეხბურთელებზე ფასი ერთი-ორად აწია. პერესი თავისთვის გალაქტიკურ კლუბს აკეთებს, რომელიც, მისი აზრით, ფეხბურთსაც უმაღლეს დონეზე ითამაშებს და კარგი ბიზნესპროექტიც იქნება. ამის გამოცდილება სამეფო კლუბის ახლად არჩეულ ძველ პრეზიდენტს უკვე აქვს. რას აკეთებს პერესი - ეს მხოლოდ მისი საქმეა, თუმცა, როგორც აისახება მისი საქმიანობა საფეხბურთო სამყაროზე, უკვე მეორე მოვლენა.

მაგალითისთვის შორს წასვლა არ არის საჭირო. გუშინ ცნობილი გახდა, რომ ინტერმა შეიძინა არგენტინელი ფორვარდი დიეგო მილიტო. თავისთავად

ამაში გასაკვირი არაფერია - მილიტო უმაღლესი დონის მეგობლეა და ნერაძურის ასეთი ფეხბურთელი სჭირდება, თუმცა, ცხადი ხდება, რომ შესაძლოა მილიტოს ყიდვის შემდეგ ინტერი შეელოს ზლატან იბრაჰიმოვიჩს, რომელმაც არაერთხელ გამოთქვა ორი ესპანური გრანდიდან ერთ-ერთში გადასვლის სურვილი. გუშინ იბრაჰიმოვიჩის აგენტმა განაცხადა, რომ პირადად მას ფეხბურთელის ტრანსფერთან დაკავშირებით არავინ შეხმიანებია და თუ ინტერს ოფიციალური შეთავაზება ექნებოდა იბრაჰიმოვიჩთან დაკავშირებით, მას უჭევალად ეცოდიწებოდა. ისეთი ვითარებაა, რომ ზლატანი გრანდებს არ სჭირდებათ. მიზეზი მარტივია: იმ ორი მეგატრანსფერის შემდეგ, რომელიც რეალმა განახორციელა, მორატი შეეძს იაფად არ შე-

ელევა. ამას წინათ ინტერის პრეზიდენტმა ისიც კი თქვა, თუ კაკა 67 მილიონად იყიდეს, ზლატანში, სულ მცირე, 100 მილიონი გადაიხადონ.

გაურკვეველია სამეფო ეტო-ოს ბედიც. ერთხანს ბარსელონა ეტო-ოს სწორედ იბრაჰიმოვიჩში ცვლიდა, მაგრამ სწორედ ფინანსური დეტალების შეუთანხმებლობის გამო ტრანსფერი ჩაიშალა. ახლა ეტო-ოს მანჩესტერ სიტი ინვესტ. კამერუნელს ბარსელონასთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს, მომავალ ზაფხულს კი ეტო-ო თავისუფალი აგენტი ხდება. ასე რომ, ბარსელონამ თიქდება ფეხბურთელი სერანო დაკარგოს. ამიტომ ყოველ ლაპორტამ ეტო-ოს კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზა.

სიტი მზადაა ფეხბურთელში 30 მილიონი ევრო გადაიხა-

დოს, რაც დღეს ბარსელონასთვის მისაღებია. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ეტო-ო ინგლისურ კლუბში მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავა, თუ ის მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება. ბრიტანული მედიის ინფორმაციით, ქალაქელთა ბოსები მზად არიან კამერუნელს კვირაში 250 გირვანქა სტერლინგი გადაუხადონ, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბარსა ფეხბურთელს 12 მილიონ გირვანქად გაყიდოს. ასეთი წინადადება კი კატალონიელებისთვის არის მიუღებელი. მოკლედ, ეტო-ოს საქმე ერთ კვირაში უნდა გაიკვეს. საგარეოდ, კამერუნელი ერთ წელიწადს ისევ კამე-ონზე გაატარებს. მხოლოდ ამის შემდეგ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავა სხვა კლუბში და სასურველ ხელფასს მიიღებს.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო საქართველოს პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა იაკობ გოგებაშვილი-საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია დაფინანსების ფარგლებში აცხადებს ტენდერს რიგი საჯარო სკოლების სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტორში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტების შესაბამისად:

ლოტი N1 მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი დიოკნისის საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;

ლოტი N2 გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაანის საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა;

ლოტი N3 სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა;

ლოტი N4 ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა;

ლოტი N5 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ შიბლიანის საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა;

ლოტი MN6 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა;

3. სტადია მუშა პროექტის წარმოდგენის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 75 დღე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, სტადია არქიტექტურულ პროექტთან ერთად, ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, (ერთი დედანი, ოთხი ქსეროასლი) დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 31 აგვისტოს 16:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველო, დ. უზნაძის ქ. N68, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, მესამე სართული, ოთახი N12.

5. წარმოდგენილი პაკეტები გაიხსნება 2009 წლის 31 აგვისტოს 16:00 საათზე მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველო, დ. უზნაძის ქ. N68, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, მესამე სართული, ოთახი N14.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1 იურიდიული პირისათვის:

- ა) ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
- ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ;
- გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- დ) ორგანიზაციის მოგების და ქონების გადასახადების დეკლარაციები ბოლო ორი (2007-2008) წლების;
- ე) ცნობა, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან)

6.2. ფიზიკური პირისათვის:

- ა) ცნობა მისი ქმედუნარიანობის შესახებ (ცნობა შებამისი უფლებამოსილი დაწესებულებიდან);
- ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (ფიზიკური პირის შემთხვევაში: მისი საიდენტიფიკაციო მონაცემები პირადობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის მიხედვით, საკონტაქტო ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები. იურიდიული პირის შემთხვევაში: მისი სრული სახელწოდება, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, იურიდიული მისამართი, შესაბამისი უფლებამოსილი პირის -სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელმოწერილი პირის მონაცემები პირადობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის მიხედვით, საკონტაქტო ტელეფონი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- ბ) ინფორმაცია მომსახურების განვითარების ვადების შესახებ (გეგმა-გრაფიკი);
- გ) ინფორმაცია ანგარიშსწორების ფორმებისა და პირობების შესახებ;
- დ) ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილის მიერ ანალოგიური მომსახურების განხორციელების გამოცდილების შესახებ (შესაბამისი ხელშეკრულებების დართვით);
- ე) ცნობა ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;
- ვ) გასანევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა, რომელშიც ასახული უნდა იქნას: ვ.ა. შრომის ანაზღაურების და ტრანსპორტირების ხარჯები;
- ვ.ბ. სხვა გათვალისწინებული ხარჯები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ვ.გ. დარიცხვები, პროცენტული მაჩვენებლების მითითებით (ზედნაღები ხარჯები, მოგების პროცენტი და დღგ).
- ზ) ინფორმაცია ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირის წამყვან

სპეციალისტთა (იმ წამყვანი სპეციალისტების შესახებ, რომლებიც დაკავებულნი იქნებიან ამ ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების განვითარება) კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

თ) ცნობა მომსახურებანიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;

ი) ინფორმაცია მომსახურების განვითარების დეტალური აღწერილობის შესახებ;

7. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა აუცილებელია ტენდერში მონაწილე კომპანიების სუბკონტრაქტორებზეც, შესაბამისი ხელშეკრულებების დართვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

8. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

9. სატენდერო წინადადების მოქმედების მინიმალური ვადა არ უნდა იყოს სატენდერო წინადადებების პაკეტების გახსნის დღიდან 30 დღეზე ნაკლები. აღნიშნული ასახული უნდა იყოს სატენდერო წინადადებაში.

10. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით. ხელმოწერული სატენდერო წინადადება არ განიხილება;

11. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 21 ივლისის 18:00 საათამდე. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილეობის მსურველმა 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელი უნდა გადაიხადოს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადის გასვლამდე შემდეგ ანგარიშზე: ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ბანკის კოდი: 220101222, ანგარიშსწორების ანგარიში: 200122900, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი: N302007700, გადახდის დანიშნულება - სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" სატენდერო მოსაკრებელი, დამატებითი ინფორმაცია: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ტენდერი. (ორგანიზაციული კოდი 0304). დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლება სატენდერო დოკუმენტაციის გატანა მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველო, დ. უზნაძის ქ. N68, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, მესამე სართული, ოთახი N12.

12. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში;

13. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

14. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 1%-ის ოდენობით. გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

15. ტენდერში ლოტების მიხედვით შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა. გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

16. ტენდერში არ გამოიყენება პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების წარმოდგენისა და კონვერტების გახსნის ალტერნატიული წესი.

17. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით და საბაზისო მონაცემთა ნუსხით მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება;

18. დაგვიანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებსა და სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: **ქ. თბილისი, საქართველო, დ. უზნაძის ქ. N68, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, მესამე სართული, ოთახი N14. ტელ: (995 32) 91 05 52. E**

სატენდერო კომისიის აპარატი

საკონტაქტო პირი: ზურაბ ნიკოლაიშვილი, ტელ: 91 05 52 (014). მობ; 877-15-20-16

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თვალის დაავადებათა კვლევის
და მკურნალობის
მიმართულაბით**

გთავაზობთ:

- თვალის სრული გამოკვლევა
- თვალის ვირუსული, ბაქტერიული, რევმატიული თანამედროვე მეთოდით მკურნალობა (კერატიტი, ირიდოციკლიტი, უვეიტი, ქორიორეტინიტი)
- წყლულოვანი ბლეფარიტიები, დემოდეკოზი, დაქროციტიტი

- გლაუკომა - საწყისი სტადიაში გამოვლენა, მკურნალობა, მეთვალყურეობა
- შაქრიანი დიაბეტით დაზიანებული თვალის მკურნალობა - მეთვალყურეობა
- ბავშვთა მხედველობის დაცვა (სათვალის დადგენა, სიელმის მკურნალობა, თვალის გაზარმაცება, მიოპია)
- გერიატრიულ (ასაკობრივ) დაავადებათა მეთვალყურეობა და მკურნალობა
- თვალის დისტროფიული დაავადებების თანამედროვე მეთოდებით მკურნალობა

**პაციენტების მიღებას აწარმოებს
ოფთალმოლოგიაში დიდი გამოცდილების მქონე
უმალესი კვალიფიკაციის სპეციალისტი ზურაბ მაისურაძე**

მის: თბილისი, ვაკე, თენგიზ აბულაძის 20.
დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
ტელ.: 91 31 19; 91 32 42. მობ.: (899) 103282



2009
elite
MODEL LOOK
GEORGIA

GET TO THE TOP
2009

დაიკყარი მწვერვალი!
გახდი მოდელი!

საპრიზო ფონდი
\$325 000

Elite Model Look Georgia 2009

სამოდელი სააგენტო "IC Model Management"-ი გიწვევთ საერთაშორისო სამოდელი კონკურსს Elite Model Look Georgia 2009-ში მონაწილეობის მისაღებად.

ღინდა ევანგელისტა, სტეფანი სეიმუი, ჯაქლია შიფეი, სინდი ჯიუფოიდი - მათ აიჩიეს Elite Model Look-ი და გახდნენ ტოპ მოდელები.

13-22 წლამდე ასაკის გოგონებო, გამოიყენეთ თქვენი შანსი, მიიღეთ მონაწილეობა და გადადგით პიხველი ნაბიჯი ტოპ მოდელობისაკენ!

გამაჩვენებელი გამგზავნილება Elite Model Look-ის საერთაშორისო ფინალზე, სადაც მას ელის ჯონსტა-ქი სააგენტო ელიტთან და **\$325 000** საპრიზო ფონდი.

თამთა შედანიას და ანა კოვაჩი საჩუქრადან უკვე თანამშრომლებენ სააგენტო ელიტთან და ნახმატებით ატყობენ საერთაშორისო სამოდელი კარიერას.

იჩქარეთ! გაიარეთ რეგისტრაცია!

მისამართი: ნიკო ნოზაძის №6 ყოველდღე 11.00 - 18.00 საათამდე (უვიზის გახდა); ტელ: 200020; 985148; მობ: 855-959025; info@elitemodellook.ge; casting@icmodels.ge

www.elitemodellook.ge • www.icmodels.ge



დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი ირაკლი ძიძიგური

გთავაზობთ:

ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;

ჩვენი საქმიანობის პრიორიტატი ქალის ჯანმრთელობაა! თაპი დანიცავით სარკივე ჯირკვლის და საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეებისგან !!!

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარკივე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარკივე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდება 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდება 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს“ მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით. გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩანერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მონობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20

(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;



1 მარტიდან

საჯალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება. მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც. ასეთ შემთხვევაში ხელმომწერის ფასები შესაბამისად იქნება:

- 1 წლით ————— 52 ლარი;
- 6 თვით ————— 26 ლარი;
- 3 თვით ————— 13 ლარი;
- 1 თვით ————— 4 ლარი.

დანვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალექო ლომიძე;



ბანცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ყ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, ტერიტორიების კეთილმოწყობის და გზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1.შესყიდვის ობიექტი - ქ. თბილისში, ტერიტორიების კეთილმოწყობა და გზის კაპიტალური შეკეთება;

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 3 (სამი) ლოტად:

ლოტი N1 - ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გზამზირზე, "ლეჩკომბინატის" მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

ლოტი N2 - ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზირი N150-ში მდებარე სსიპ "საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის" ეზოს კეთილმოწყობა;

ლოტი N3 - ქ. თბილისში, კოშიგორის მთაზე მდებარე ეკლესიასთან მისასვლელი გზის კაპიტალური შეკეთება;

შესრულების სავალდებულო ვადა: ლოტი N1; ლოტი N2 - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვე; ლოტი N3 - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) დღე;

2. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი იქნება ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 21 ივლისის 11:00 საათიდან 2009 წლის 21 ივლისის 16:00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ყ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ოთახი N8 ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვის საქალაქო სამსახური.

3. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

3.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამენარმო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

3.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

3.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:

ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ბ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;

გ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მისოდების შესახებ;

4. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

შენიშვნა: მომსახურების გასაწევად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-3 მუხლის მიხედვით;

ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაამდე.

6. სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ბანკი, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ქ. თბილისში, ტერიტორიების კეთილმოწყობის და გზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების (3 ლოტიანი) სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

7. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 1 ივლისის 11 საათიდან 2009 წლის 21 ივლისის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდეგ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

8. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

9. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე)

10. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

11. შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

12. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, ცირა მალრადე, ტელეფონი - (995-32) 37-85-72

სატენდერო კომისია

მონევაა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
სესხი: მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი
კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება: P41198-NCB-1-38

ლაგოდების მუნიციპალიტეტის სოფლებში ჭაბურღილების მოწყობის და ქ.ლაგოდეხში წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია

საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2009 წლის 30 ივლისი

საქართველოს მთავრობამ მიიღო აზიის განვითარების ბანკის (აგბ) სესხი მუნიციპალური სერვისების განვითარების პროექტის დასაფინანსებლად. აღნიშნული სესხის ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთ ხსენებული პროექტის დასაფინანსებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს აგბ-ის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ("დამკვეთი") იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში ლაგოდების მუნიციპალიტეტის სოფლებში ჭაბურღილების მოწყობისა და ქ. ლაგოდებში წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელის **სარეაბილიტაციო სამუშაოების** განსახორციელებლად ("სამუშაოები").

სამუშაოები მოიცავს:

- ქ. ლაგოდების კანალიზაციისა და წყალსადენის ქსელების რეაბილიტაციას, კერძოდ წყალსადენის ქსელის ფოლადის მილსადენების (d=60-108 მმ) მოწყობა - 3,22 კმ, პოლიეთილენის მილები (d=20 მმ) - 1,4 კმ; ასანყობი რკ/ბ საკვანძო და დამცლელი ჭები (d=1 მ) - 22 ცალი; საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციას PVC მილებით (d=200-315 მმ) - 2,0 კმ, ა/ც მილების გარეცხვას - 1.6 კმ; 73 ცალი სათვალთვალ რკ/ბ ჭის (d=1 მ) მოწყობას;

- კოოპერირებული წყალსადენის სათავე ნაგებობის კვანძში არსებული N6, N12 და N13 ჭაბურღილების მოედნებზე მცირე მოცულობის სარემონტო სამუშაოებს, აგრეთვე გაუქმებული სატუმბო სადგურის მიმდებარე უბანზე სარეგულაციო ჭის მოწყობას;

- სოფლების ცოდნისკარისა და ნინიგორის წყალსადენის სათავე ნაგებობების რეაბილიტაციას, რაც მოიცავს საერთო ჯამში 135 მ d=200 მმ დრენების მოწყობას სათვალთვალ და შემკრები რკ/ბ ჭებთან და 325 მ სიგრძის DN160 პოლიეთილენის წყალგამყვანი მილის მონტაჟს

- სოფლებში ვარდისუბანში, კართუბანში, ვიორგეთში, აფენში, არემფერანში, გუჯარეთსა და გიორგეთში თითო სადაზვერვო-საექსპლუატაციო ჭაბურღილების მოწყობას; სულ 5 ცალი 150 მ სიღრმის და 2 ცალი 200 მ სიღრმის ჭაბურღილის მოწყობას საექსპლუატაციო კოლონის დიამეტრით 168 მმ, ელექტრო და მექანიკური მოწყობილობების ჩათვლით;

- სოფელ ჭიაურში არსებული წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციას, კერძოდ 2 არსებული ჭის რეაბილიტაციას, 3 ახალი საკვანძო ჭის (d=1.5 მ) და 10 (d=1 მ) დამცლელი ჭის მოწყობას, ურდულების და ფიტინგების დაყენების ჩათვლით.

კონტრაქტის განხორციელების პერიოდი შეადგენს **8 თვეს**. აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შემდეგი კვალიფიკაციების მქონე უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს:

- კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ორი მსგავსი ტიპის სამუშაო, თითოეული არანაკლებ 1,0 მილიონ ლარის ღირებულებით. სამუშაოთა სირთულე შედარებული იქნება საკონკურსო წინადადებით განსაზღვრულ სამუშაოებთან;

- საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს მინიმუმ 3,0 მილიონ ლარი;

ლიონი ლარი;

- ლიკვიდური აქტივების და/ან კრედიტის მოზიდვის საშუალებების მოცულობა, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებებით განსაზღვრული საკრედიტო საშუალებების გარდა, უნდა შეადგენდეს 1,3 მილიონი ლარის ექვივალენტს. კონკურსის მონაწილემ უნდა უზრუნველყოს დოკუმენტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი ფინანსური მდგარობა არ არის შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასზე ნაკლები;

- კონკურსის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისი ძირითადი პერსონალი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას: მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება;

- კონკურსის მონაწილემ უნდა ფლობდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში და უნდა შეძლოს აღნიშნულის დემონსტრირება.

ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთეულთან ერთად პროცედურის შესაბამისად: შერჩევა ერთი კონვერტის სატენდერო პროცედურების მიხედვით.

დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის ნახვა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10:00-დან 17:00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა):

უფლებამოსილი პირი: ბ-ნი ლაშა გოცირიძე, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი 0112, საქართველო
IV სართული, ოთახი 405

ტელ: (+995-32) 48-45-09/10/11/15
ფაქსი: (+995-32) 48-45-55

ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტების შექმნა შეუძლიათ ზემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და არანაზღაურებადი 200 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდის შემდეგ წარმოადგენს პირდაპირი დეპოზიტის ან ტრანსფერის განხორციელება შემდეგ ანგარიშზე:

მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო

უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)
ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)

SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY

SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს გარანტია 26,000 ლარის ან აღნიშნულის ექვივალენტის ოდენობით თავისუფლად კონვერტირებად ვალუტში და წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოთ მოცემულ მისამართზე არა უგვიანეს 2009 წლის 30 ივლისის 11:00 საათისა.

საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 30 ივლისის 11:00 საათზე იმ კონკურსის მონაწილეთა თანდასწრებით, რომელნიც მოისურვებენ აღნიშნულ პროცედურაზე დასწრებას.





ქალაქ თბილისის მერი

29.06.2009წ ბრძანება N33
010.260.030.38.101.013.233.
18 ივნისი 2009წ.

ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის საორგანიზაციო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, 271 მუხლის მე-3 პუნქტის, "ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის N1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის დებულების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის, "ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის 2006 წლის 28 თებერვლის N14 ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

გბრძანებ:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის საორგანიზაციო სამსახურის თანდართული დებულება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:
 - ა) ქ. თბილისის მერის 2006 წლის 26 ივნისის N25 ბრძანება "ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის კორესპონდენციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ";
 - ბ) ქ. თბილისის მერის 2006 წლის 26 ივნისის N32 ბრძანება "ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის მოქალაქეთა მიღების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ";
 - გ) ქ. თბილისის მერის 2006 წლის 20 ივნისის N24 ბრძანება "ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ";
 3. ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა

**დანართი: ქ. თბილისის მერის
2009 წლის 18 ივნისის N 33
ბრძანება**

ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის საორგანიზაციო სამსახურის დებულება

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

ეს დებულება განსაზღვრავს ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის საორგანიზაციო სამსახურის (შემდგომში - სამსახური) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და ანესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2

სამსახური არის ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის (შემდგომში-ადმინისტრაციის) სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებს ქ. თბილისის მერიის (გარდა ქ. თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანოებისა) საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას, მისი საქმისწარმოების და დოკუმენტბრუნვის მონესრიგებას.

მუხლი 3

სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით, "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით, "ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის N1-1 გადაწყვეტილებით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 4

სამსახური თავისი ფუნქციების განხორციელებისას წარმოადგენს ქ. თბილისის მერიას.

მუხლი 5

სამსახური ანგარიშვალდებულია ქ. თბილისის მერის და ადმინისტრაციის უფროსის წინაშე, რომლებიც ახორციელებენ მასზე სამსახურებრივ ზედამხედველობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი II სამსახურის საქმიანობის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 6

სამსახურის ამოცანებია:

- ა) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ქ. თბილისის მერიის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის განხორციელება;
- ბ) ქ. თბილისის მერიაში დოკუმენტბრუნვის მონესრიგება;
- გ) თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობების შექმნა;
- დ) ქ. თბილისის მერიის მუშაობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით საქმისწარმოების ერთიანი წესების დამკვიდრება;
- ე) საქმისწარმოების საკითხებზე ნორმატიული და მეთოდური დოკუმენტების შემუშავება და დანერგვა.

მუხლი 7

სამსახურის ფუნქციებია:

- ა) ქ. თბილისის მერიის საქმეთა ნაერთი ნომენკლატურის საფუძველზე, ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა და მისი სრულყოფა, ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციისა და ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებულ საქალაქო სამსახურებში საქმისწარმოების ორგანიზაცია და დოკუმენტების შესრულების კონტროლის უზრუნველყოფა;
- ბ) ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციული შენობის მისაღებში განთავსებული რიგის აპარატის მეშვეობით ქ. თბილისის მერიაში მოსულ მოქალაქეთა რაოდენობის აღრიცხვა; რიგის აპარატის მიერ გაცემული ბილეთების შესაბამისად მისაღებში მომუშავე ოპერატორების მიერ მოქალაქეთა გამოძახება, კონსულტაციების განევა, ქ. თბილისის მერიის თანამდებობის პირების სახელზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა აგრეთვე სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმთა განცხადებების კორესპონდენციის დაუყოვნებლივ რეგისტრაციაში გატარება, ნომრის მინიჭება,

მოქალაქეებისთვის რეგისტრაციის დამადასტურებელი ნომრის გადაცემა, დოკუმენტისთვის მიმართულების მიცემა; ფიზიკურ და იურიდიულ პირთა აგრეთვე სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმთა მომართვის საფუძველზე, საინფორმაციო ბაზაში არსებული ინფორმაციის შესაბამისად, მათ მიერ შემოტანილ დოკუმენტაციაზე ინფორმაციის მიწოდება; ქ. თბილისის მერიის მისაღებში წესრიგის დაცვის კოორდინაცია;

გ) ქ. თბილისის მერიის თანამდებობის პირების სახელზე შემოსული დოკუმენტაციის დამუშავება და განსახილველად მიმართულების მიცემა, განხილული დოკუმენტების კომპიუტერული დამუშავება, გამრავლება და შემსრულებლებისათვის დროულად მიწოდების ორგანიზება, ქ. თბილისის მერიის თანამდებობის პირებისათვის ხელმოსაწერად წარსადგენი დოკუმენტების გაფორმების სისწორის კონტროლი;

დ) ქ. თბილისის მერიის თანამდებობის პირების მიერ კონტროლზე აყვანილი კორესპონდენციის შესრულების კონტროლი, შესრულებული საკონტროლო კორესპონდენციის დადგენილი წესით საქმეში ფორმირება;

ე) ადმინისტრაციაში, საქალაქო სამსახურებსა და ქ. თბილისის რაიონულ გამგეობებში ქ. თბილისის მერიის თანამდებობის პირების მიერ კონტროლზე აყვანილი კორესპონდენციის შესრულების კონტროლი, შესრულებული საკონტროლო კორესპონდენციის დადგენილი წესით საქმეში ფორმირება;

ვ) რეაგირების გარეშე დარჩენილი და შესრულების ვადაგადაცილებული საკონტროლო დოკუმენტების შესახებ ქ. თბილისის მერიის შესაბამისი თანამდებობის პირებისათვის ინფორმაციის წარდგენა;

ზ) ადმინისტრაციაში შემოსული და ქ. თბილისის მერიის შესაბამისი თანამდებობის პირების მიერ განხილული კორესპონდენციების შესრულების თაობაზე ანალიტიკური მასალის მომზადება და ქ. თბილისის მერიის თანამდებობის პირებისათვის წარდგენა;

თ) ქ. თბილისის მერიის თანამდებობის პირების მიერ მომზადებული საინიციატივო (გასული) წერილების კომპიუტერული დამუშავება, დაგზავნის უზრუნველყოფა, მიღებული პასუხების კომპიუტერული დამუშავება. მასალების საქმეში ფორმირება;

ი) ქ. თბილისის მერიის თანამდებობის პირებთან აგრეთვე მათ წარმომადგენლებთან მოქალაქეების შეხვედრის ორგანიზაცია;

კ) ქ. თბილისის მერიის თანამდებობის პირების მიერ განხილული და ხელმოწერილი დოკუმენტების, სამართლებრივი აქტების, საოქმო დავალებების დანიშნულების მიხედვით ფოსტისა და დამტარებლის მეშვეობით დაგზავნა;

ლ) ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული შეტყობინებების დამტარებლის მეშვეობით, ადრესატისთვის ხელზე ჩაბარების უზრუნველყოფა;

მ) საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული განცხადების რეგისტრაციაში გატარება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისთვის წარსადგენი ანგარიშის მომზადება.

ნ) ქ. თბილისის მთავრობის სხდომების მომზადებისა და ჩატარების, განსახილველი საკითხების დაგეგმვის ორგანიზება. სხდომებზე განსახილველი საკითხების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მიღება, სხდომების დღის წესრიგების ფორმირება, სხდომებზე დამსწრეთა შესაბამისი მასალებით უზრუნველყოფა;

ო) ქ. თბილისის მთავრობის სხდომების ოქმების წარმოება, შენიშვნების გათვალისწინებით პროექტების შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით შესწორება, რედაქტორულ-სტილისტური დამუშავება, ხელმოწერილი აქტების რეგისტრაცია, დანიშნულების მიხედვით დაგზავნა, საინფორმაციო ბაზაში მონაცემების შეტანა;

პ) ქ. თბილისის მერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მიღება, დამუშავება, რეგისტრაცია, დანიშნულების მიხედვით დაგზავნა, საინფორმაციო ბაზაში მონაცემების შეტანა;

ჟ) ადმინისტრაციის იურიდიულ სამსახურთან შეთანხმებით, ქ. თბილისის მერისა და ქ. თბილისის მთავრობის ნორმატიული აქტების, კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციოდ მომზადება, გადაცემა და ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება;

რ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საქმისპედიციო დამუშავება, დაბეჭდვა; მათი ასლების გადაღების, გამრავლების ორგანიზება;

ს) საორგანიზაციო - განკარგულებით დოკუმენტაციაზე შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფა;

ტ) ადმინისტრაციის, ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურებისა და ქ. თბილისის რაიონული გამგეობების საკონსულტაციო-მეთოდური დახმარება და მათი საქმიანობის კოორდინაცია.

უ) ქ. თბილისის მერიის საქმეთა ნაერთი ნომენკლატურის შემუშავება, რომელიც შეთანხმებულია ქ. თბილისის ცენტრალური არქივის საქმისპედიციო შემფასებელ კომისიასთან;

ფ) ძირითადი ამოცანების შესრულების მიზნით ქ. თბილისის მერიის და ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულებიდან მონესრიგებული სახით დოკუმენტების ამოღება (ქ. თბილისის მერის, ქ. თბილისის მთავრობის, ადმინისტრაციის უფროსის, საქალაქო სამსახურის უფროსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, ასევე ქ. თბილისის მერიის და ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შექმნილი სხვა დოკუმენტები), მათი აღრიცხვა, დაცვის უზრუნველყოფა და შენახვა კანონმდებლობით დადგენილი ვადების შესაბამისად;

ქ) არქივში დაცული დოკუმენტების გამოყენება და საარქივო ფონდის დოკუმენტების სახელმწიფო შენახვისათვის გადაცემა ნორმატიული აქტით დადგენილი ვადებისა და მოთხოვნების შესაბამისად;

ღ) არქივის დოკუმენტების საინფორმაციო-საძიებო ბაზის შექმნა და სისტემატურად გაუმჯობესება; შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობის საფუძველზე მისი განვითარების და ამ დარგში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის უზრუნველყოფა;

ყ) ქ. თბილისის მერიის თანამდებობის პირების, ადმინისტრაციის, ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების და ქ. თბილისის რაიონული გამგეობების, ფიზიკური და იურიდიული პირების, აგრეთვე სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნების საარქივო-საინფორმაციო მომსახურება; დოკუმენტების გამოყენების აღრიცხვისა და ანალიზის წარმოება;

შ) დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის ჩატარება; საორგანიზაციო და მეთოდური ღონისძიებების კომპლექსის განხორციელება დოკუმენტების მუდმივი შენახვისათვის გადასაცემად;

ჩ) საქმეთა ფორმირებისა და გაფორმების სისწორის შემოწმება ქ. თბილისის მერიის და ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულებში, დოკუმენტებთან მუშაობისას მათთვის მეთოდური და პრაქტიკული დახმარების განევა;

თავი III სამსახურის სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 8

სამსახური შედგება სამი განყოფილებისაგან:

- ა) მოქალაქეთა მომსახურების განყოფილება;
- ბ) საქმისწარმოების განყოფილება;
- გ) არქივის წარმოების განყოფილება.

მუხლი 9

1. მოქალაქეთა მომსახურების განყოფილება უზრუნველყოფს ამ დებულების მე-7 მუხლის "ა"-მ პუნქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების, ქ. თბილისის მერის, ვიცე-მერის, მერის ერთ-ერთი მოადგილის, ადმინისტრაციის უფროსის და სამსახურის უფროსის ცალკეულ და-

ვალეობათა შესრულებას;

2. საქმისწარმოების განყოფილება უზრუნველყოფს ამ დებულების მე-7 მუხლის "ნ"-ს "ტ" პუნქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების, ქ. თბილისის მერის, ვიცე-მერის, მერის ერთ-ერთი მოადგილის, ადმინისტრაციის უფროსის და სამსახურის უფროსის ცალკეულ დავალებათა შესრულებას;

3. არქივის წარმოების განყოფილება უზრუნველყოფს ამ დებულების მე-7 მუხლის "უ"-ს "ჩ" პუნქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების, ქ. თბილისის მერის, ვიცე-მერის, მერის ერთ-ერთი მოადგილის, ადმინისტრაციის უფროსის და სამსახურის უფროსის ცალკეულ დავალებათა შესრულებას;

თავი IV სამსახურის მართვა

მუხლი 10

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის უფროსი;

2. სამსახურის უფროსი თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია ქ. თბილისის მერის და ადმინისტრაციის უფროსის წინაშე;

3. სამსახურის უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უშუალოდ წარმართავს და ხელმძღვანელობს სამსახურის საქმიანობას;

ბ) პასუხს აგებს სამსახურზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

გ) ხელს აწერს სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ სამსახურეობრივ დოკუმენტაციას;

დ) უნაწილებს კორესპონდენციას თანამშრომლებს, აწესებს კონტროლს მის შესრულებაზე, განსაზღვრავს სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს და ფუნქციურ დატვირთვას, აწესებს დავალებებს მათ შორის, ისმენს ანგარიშებს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესრულების შესახებ, კონტროლს უწევს შინაგანაწესის დაცვას;

ე) უფლებამოსილია ადმინისტრაციის უფროსის წინაშე დააყენოს წინადადებები სამსახურის საკადრო საკითხებთან დაკავშირებით;

ვ) ორგანიზებას უწევს და ახორციელებს კონტროლს სამსახურისათვის მიცემული დავალებების შესრულებაზე;

ზ) კანონმდებლობის შესაბამისად ადმინისტრაციის უფროსს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის თანამშრომელთა წახალისების, მათზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის მატერიალური წახალისების თაობაზე;

თ) აწესრიგებს მოსამსახურეთა მიერ შევსებულ დამოყენების, მათი სამსახურეობრივი მივლინებების საკითხებს;

ი) წარუდგენს ადმინისტრაციის უფროსს ხელშეკრულებით მისაღებ პირთა კანდიდატურებს;

კ) ახორციელებს კანონმდებლობით და ადმინისტრაციის დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს.

მუხლი 11

1. სამსახურის უფროსს უწევს მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის უფროსი.

2. სამსახურის უფროსის მოადგილე:

ა) ასრულებს სამსახურის უფროსის მოვალეობებს, მისი არყოფნის პერიოდში;

ბ) ასრულებს სამსახურის უფროსის ცალკეულ დავალებებს;

გ) თავის საქმიანობას წარმართავს ამ დებულების, ქალაქ თბილისის მერის დებულებითა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12

1. განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის უფროსი.

2. განყოფილების უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) წარმართავს და ხელმძღვანელობს განყოფილების საქმიანობას;

ბ) პასუხს აგებს განყოფილებაზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვნად შესრულებაზე;

გ) ხელს აწერს განყოფილების კომპეტენციას მიკუთვნებულ სამსახურეობრივ დოკუმენტაციას;

დ) ახორციელებს კონტროლს განყოფილების თანამშრომელთა მიერ დავალებათა შესრულებაზე;

ე) კანონმდებლობის შესაბამისად სამსახურის უფროსს წარუდგენს წინადადებებს განყოფილების თანამშრომელთა წახალისების, აგრეთვე მათზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ვ) ახორციელებს კანონმდებლობით და ადმინისტრაციის დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს.

3. განყოფილების უფროსი თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსისა და ადმინისტრაციის უფროსის წინაშე.

მუხლი 13

სამსახურის თანამშრომლები არიან საჯარო მოსამსახურეები, რომლებიც ახორციელებენ კანონმდებლობით, წინამდებარე დებულებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით მათთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას.

თავი V დასკვნითი დებულებები

მუხლი 14

სამსახურის დებულებას ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით, ამტკიცებს ქ. თბილისის მერი.

მუხლი 15

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16

ყველა ის საკითხი რომელსაც არ ითვალისწინებს წინამდებარე დებულება, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

ბანცხადება

თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა აცხადებს მიღებას 2009-2010 აკადემიური წლისთვის. მსურველებმა დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე: www.tsps.ge . საბუთები მიიღება 20 ივლისამდე.

სკოლის დირექცია

განცხადება

შ.პ.ს გ.ყვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის თანამშრომელთა

საყურადღებოდ

"შ.პ.ს. ბავშვთა N2 საავადმყოფოს" შექმნასთან დაკავშირებით გატყობინებთ, რომ შ.პ.ს. ყვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის თანამშრომლებს 2009 წლის 31 ივლისამდე ეძლევათ საშუალება სურვილს შემთხვევაში მონაწილეობა მიიღონ "შ.პ.ს. ბავშვთა N2 საავადმყოფოს" კერძო სტრუქტურის დაფუძნება-მართვაში.

მსურველმა უნდა მიმართონ შ.პ.ს გ.ყვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის კადრების განყოფილებას შესაბამისი განცხადებით. განცხადების შემოტანის ბოლო ვადა 31.07.2009წელი.

შ.პ.ს გ.ყვანიას სახელობის პედიატრიული

კლინიკის ადმინისტრაცია.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 23 მაისს გამოცხადებულ ტენდერში, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საჯარო სკოლების რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ორ ლოტად, **ლოტი I. ქ. თელავში მე-4 საჯარო სკოლის კაპიტალური რემონტი - გამარჯვებულია შპს ბურჯი XXI**. ხელშეკრულება გაფორმდა 2009 წლის 25 ივნისს, ხოლო **ლოტი II. სოფ. კისისხევის და სოფ. ქვ. ხოდაშენის საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოები - გამარჯვებულია შპს გეოპლასტიკი**. ხელშეკრულება გაფორმდა 2009 წლის 24 ივნისს.

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა. სატენდერო კომისიის აპარატი. ტელ: 8 250 7 31 05.

ბანცხადება ტენდერების

გაუქმების შესახებ

შპს "თბილისის ავტობუსი" აუქმებს გაზეთ "24 საათში" 2009 წლის 17 და 18 ივნისს გამოქვეყნებულ "ბოგდან A-144,5" და "ბოგდან A-092" მარკის ავტობუსების სათადარიგო ნაწილების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებს.

**ქ.თბილისის მთავრობის მიერ
გამოცხადებულ აუქციონში ტექნიკური
სარეზერვუარის განხორციელება**

2009 წლის 15 ივნისის გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ქ. თბილისის მთავრობის აუქციონში დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი N40 ლოტში. აღნიშნული ხარვეზი გასწორდეს და ლოტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ლოტი N 40

მიწის ნაკვეთის მისამართი - გლდანის შესასვლელი გზის მარჯვენა მხარეს (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.11.12.023.011).

გაცემის ფორმა - აუქციონი პირობებით;

სარგებლობის ფორმა - საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი - 103 კვ.მ.

კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო პირობები -

ა). მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 55 ლარი;

ბ). აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 5 ლარი;

გ). აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი "ბე" განისაზღვროს 2266 ლარით.

დ). აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

ე). სამშენებლო განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მომიჯნავედ არსებულ ტერიტორიებთან გაერთიანების და ერთობლივი განაშენიანების შემთხვევაში მაღალი ინტენსივობის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციით.



ქალაქ თბილისის მერი

29.06.2009წ.
010.260.030.38.101.013.231.
ბრძანება N32

18 ივნისი 2009წ.

ქალაქ თბილისის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტისა და "ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის N1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის "უ" ქვეპუნქტის თანახმად,

გბრძანებ:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის საბჭოს თანდართული დებულება.

2. ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა

დანართი: ქ. თბილისის მერიის 2009 წ. 18 ივნისის N 32 ბრძანება

ქალაქ თბილისის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის საბჭოს დებულება

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

ქალაქ თბილისის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) წარმოადგენს ქალაქ თბილისის მერიის სათათბირო ორგანოს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს ქ. თბილისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (შემდგომში - ინვალიდობის მქონე პირთა) საზოგადოებრივი ინტეგრაციისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პირობების შექმნის საკითხებს.

მუხლი 2.

საბჭო ხელმძღვანელობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1975 წლის 9 დეკემბრის "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ" კონვენციით, 2006 წლის 13 დეკემბერს, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მიღებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (ინვალიდობა) უფლებების" კონვენციით, ასევე, 1993 წლის 20 დეკემბერს, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მიღებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფის სტანდარტული წესებით" (რეზოლუცია 48/96), "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით, "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით, "ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის N1-1 გადაწყვეტილებით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

თავი II საბჭოს შემადგენლობა და სტრუქტურა

მუხლი 3.

- საბჭო შედგება 22 (ოცდაორი) წევრისაგან.
- საბჭოს თავმჯდომარეა ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი.
- საბჭოს თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე, რომელსაც საბჭოს წევრთაგან ნიშნავს ქალაქ თბილისის მერი.
- საბჭოს შემადგენლობაში, თავმჯდომარის გარდა, შედიან:
 - ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის 5 (ხუთი) წარმომადგენელი;
 - ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 1 (ერთი) წარმომადგენელი;
 - ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 1 (ერთი) წარმომადგენელი;
 - ქალაქ თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის 1 (ერთი) წარმომადგენელი;
 - ქალაქ თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის 1 (ერთი) წარმომადგენელი;
 - სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახურის 1 (ერთი) წარმომადგენელი;
 - ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის იურიდიული სამსახურის 1 (ერთი) წარმომადგენელი;
 - ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის 1 (ერთი) წარმომადგენელი;
 - ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 1 (ერთი) წარმომადგენელი;
 - არასამთავრობო სექტორის 8 (რვა) წარმომადგენელი.
 - არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს ნიშნავს ქ. თბილისის მერი; ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის, ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის და ქალაქ თბილისის მერიის შესაბამისი საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებს მათივე ხელმძღვანელის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს ქ. თბილისის მერი.
 - საბჭოს სხდომებს ორგანიზებას უწევს საბჭოს მდივანი, რომელიც შესაძლოა არ იყოს საბჭოს წევრი.
 - საბჭოს მდივანს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით ნიშნავს და ათავისუფლებს საბჭოს.
 - საბჭოს უფლება აქვს მოიწვიოს სპეციალისტი, განსახილველი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამუშაო პროცესში მონაწილეობის მისაღებად.
 - საბჭოს წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია პირადი განცხადება ან/და ამ დებულების მე-9 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა.

თავი III საბჭოს ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 4.

- საბჭოს ამოცანებია:
- დაიცვას ინვალიდობის მქონე პირთა უფლებები და არ დაუშვას ამ ნიშნით მათი დისკრიმინაცია;
 - ხელი შეუწყოს ინვალიდობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციას და ამ მიზნით შექმნას შესაბამისი პირობები;
 - ითანამშრომლოს არასამთავრობო და სამთავრობო სექტორებთან ინვალიდობის მქონე პირთა უფლებების დაცვისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით;
 - შეუქმნას ინვალიდობის მქონე პირებს შესაბამისი ადაპტირებული გარემო;
 - ხელი შეუწყოს ინვალიდობის მქონე პირთა შრომითი, საგანმანათლებლო, სოციალური და სხვა ხასიათის უფლებების რეალიზებას;
 - წახალისოს ინვალიდობის მქონე პირთა გაერთიანებების შექმნისა და მათი ამ გაერთიანებებში განვითარების ინიციატივა.

მუხლი 5.

- საბჭოს ფუნქციებია:
 - რეკომენდაციების შემუშავება ინვალიდობის მქონე პირთა უფლებების დაცვისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით;
 - ქალაქ თბილისის მერიის შესაბამისი საქალაქო სამსახურების, ტერიტორიული ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურად ჩაბმის უზრუნველყოფა ინვალიდობის მქონე პირთა ინტეგრაციის კუთხით;
 - არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების მოზიდვა არსებული პროექტების დაფინანსებისა და ხელშეწყობის მიზნით;
 - ქალაქ თბილისის მერიის შესაბამისი საქალაქო სამსახურებსა და ტერიტორიულ ორგანოებთან ერთად ინვალიდობის მქონე პირთა საცხოვრებელი, სატრანსპორტო, საზოგადოებრივი და სხვა საკითხების გადასაჭრელად რეკომენდაციების განხილვა და მიღება;
 - ინვალიდობის მქონე პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო, მათ შორის სურსათ-სანოვაგით და საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნებით უზრუნველყოფის საკითხების გადაჭრისათვის რეკომენდაციების მომზადება შესაბამისი საქალაქო სამსახურებსა და ტერიტორიულ ორგანოებთან ერთად;
 - ინვალიდობის მქონე პირთა და მათ მიერ შექმნილი საზოგადოებრივი გაერთიანებების სოციალურ ინტეგრაციისა და განვითარების ხელშეწყობა;
 - შესაბამისი საქალაქო სამსახურებთან, ტერიტორიულ ორგანოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ინვალიდობის მქონე პირთათვის შესაბამისი სპორტის სახეობების დანერგვისა და განვითარებისათვის ხელშეწყობა;
 - ინვალიდობის მქონე პირთათვის საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარებასა და მათ დანერგვაში ხელშეწყობა;
 - ინვალიდობის მქონე პირებთან დაკავშირებით ქ. თბილისში არსებული მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი;
 - ინვალიდობის მქონე პირებთან დაკავშირებით ქ. თბილისის მერიის კონსულტირება;
 - ინვალიდობის მქონე პირებთან დაკავშირებით სტრატეგიული და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტების, ერთიანი წესების, პირობების, არსებული ვითარებისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საკითხებისა და რეკომენდაციების შემუშავება და ქ. თბილისის მერიისთვის წარდგენა;
 - ინვალიდობის მქონე პირებთან დაკავშირებით ქ. თბილისის საქალაქო სამსახურებისა და ტერიტორიული ორგანოების ერთიანი პოლიტიკის კოორდინირება, პრიორიტეტული და სპეციალური პროგრამებისა თუ ღონისძიებათა ინიცირება და მათ შემუშავებაში მონაწილეობა;
 - ინვალიდობის მქონე პირებთან დაკავშირებული პროგრამების რეალიზაციის მონიტორინგი, შეფასება, ზედამხედველობა და კოორდინაცია;
 - ინვალიდობის მქონე პირებთან დაკავშირებით ქ. თბილისის მთავრობის მიერ მომზადებული ნორმატიული აქტების განხილვა და დასკვნების მომზადება;
 - სხვა ფუნქციების განხორციელება საბჭოს კომპეტენციიდან და საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე.
- ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად საბჭოს უფლება აქვს გამოითხოვოს სახელმწიფო დაწესებულებებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, მერიის საქალაქო სამსახურებისა და ტერიტორიული ორგანოებიდან ოფიციალური მონაცემები და დოკუმენტები.

თავი IV

საბჭოს თავმჯდომარის და მისი მოადგილის უფლება-მოვალეობები

მუხლი 6.

- საბჭოს თავმჯდომარე:
- ხელმძღვანელობს საბჭოს მუშაობას, იწვევს და უძღვება სხდომებს;
 - კოორდინაციას უწევს საბჭოს წევრების მუშაობას;
 - ხელს აწერს საბჭოს მიერ შემუშავებულ დასკვნებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს და საბჭოს სხდომის ოქმს;
 - საბჭოს სხდომებში მონაწილეობისათვის იწვევს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს;
 - აკონტროლებს საბჭოს სხდომის დღის წესრიგს და სამუშაო გეგმას;
 - იწვევს საბჭოს მორიგ და რიგგარეშე სხდომებს, დავალებებს აძლევს საბჭოს წევრებს;
 - საბჭოს სახელით აწარმოებს სამსახურებრივ მიმონერას;
 - ასრულებს საბჭოს წარმომადგენლობით ფუნქციებს;
 - ახორციელებს სხვა უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 7.

- საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ახორციელებს მის უფლებამოსილებას.
- თავმჯდომარის მოადგილე კანონმდებლობის შესაბამისად ასრულებს თავმჯდომარის ცალკეულ დავალებებს.

თავი V საბჭოს მდივანი

მუხლი 8.

- საბჭოს მდივანი:
- ორგანიზაციას უწევს სხდომების გამართვას, ხელმძღვანელობს საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას, აწარმოებს საბჭოს სხდომების საოქმო დოკუმენტაციას და ხელს აწერს ოქმს;
 - საბჭოს წევრებს წარუდგენს განსახილველი საკითხების ნუსხას;
 - საბჭოზე განსახილველ საკითხთა ჩამონათვალს ურიგებს საბჭოს წევრებს და უწევს კონტროლს დოკუმენტაციის შეგროვებასა და დამუშავებას;
 - ახორციელებს საბჭოს დებულებით გათვალისწინებულ და მინიჭებულ სხვა უფლება-მოსილებას.

თავი VI საბჭოს წევრის უფლება-მოვალეობები

მუხლი 9.

- საბჭოს წევრს უფლება აქვს:
 - საბჭოს სხდომაზე წამოაყენოს საკითხები და წინადადებები. მიიღოს მონაწილეობა მათ განხილვასა და კენჭისყრაში;
 - წერილობით აცნობოს ქ. თბილისის მერს თავისი პოზიცია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელზეც მისი აზრი პრინციპულად განსხვავდება საბჭოს სხდომაზე მიღებული წინადადების, დასკვნის ან რეკომენდაციისაგან;
 - საბჭოს გადაწყვეტილებით იყოს მისი ოფიციალური წარმომადგენელი;
 - პირადი განცხადების საფუძველზე უარი თქვას საბჭოს წევრობაზე.
- საბჭოს წევრი ვალდებულია:
 - მონაწილეობა მიიღოს საბჭოს სხდომებში და არ გამოტოვოს სხდომები არასაპატიო მიზეზით;
 - შეასრულოს საბჭოს დავალებები და დაიცვას ამ დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები;
 - წარუდგინოს საბჭოს ანგარიში დავალებების შესრულების შესახებ.
- საბჭოს წევრს შეიძლება მიეცეს აცილება საკითხების განხილვაში მონაწილეობისაგან, თუ ცნობილი გახდა ან დადასტურდა მისი პირდაპირი ან ირიბი, კერძო ან უწყებრივი დაინტერესება საბჭოში განსახილველ საკითხთან დაკავშირებით;
- საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია თუ იგი ზედიზედ 3-ჯერ გააცდენს სხდომას არასაპატიო მიზეზით.

თავი VII საბჭოს მუშაობის რეგლამენტი და ანგარიშვალდებულება

მუხლი 10.

- საბჭოს სხდომები იმართება თვეში ერთხელ.
- საბჭოს სხდომის ორგანიზებისა და მისი მიმდინარეობის წესი განისაზღვრება საქართველოს

- ველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.
- საბჭოს სხდომაზე მონაწილე უნდა იქნეს მისი ყველა წევრი.
- საბჭოზე არ შეიძლება განხილულ იქნას საკითხი, გარდა შიდა საორგანიზაციო და საპროცედურო საკითხებისა, თუკი ასეთი წინასწარ არ არის შეტანილი საბჭოს წევრებთან შეთანხმებულ დღის წესრიგში.
- საბჭოს წევრს უფლება აქვს სხდომის დაწყების წინ წერილობით წარუდგინოს თავისი პოზიცია თავმჯდომარეს სხდომაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც უნდა გაცხადდეს სხდომაზე და გათვალისწინებული იქნას გადაწყვეტილების მიღებისას.
- საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმის სახით, რომელშიც უნდა მიეთითოს:
 - ოქმის გამომცემი ორგანოს დასახელება;
 - სხდომის დრო და ადგილი;
 - სხდომის თავმჯდომარის და წევრების ვინაობა;
 - განხილვის საგანი;
 - კენჭისყრის შედეგები;
 - მიღებული გადაწყვეტილება.
- სხდომის ოქმს ხელმოწერით ადასტურებენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.
- საბჭოს სხდომებზე ხდება დამსწრეთა რეგისტრაცია. საბჭო გადაწყვეტილება უნარია-ნია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილებისას გადაწყვეტის საბჭოს თავმჯდომარის ხმა.
- საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათისაა.

მუხლი 11.

- საბჭო თავის სხდომაზე განუვლი სამუშაოს შესახებ ანგარიშს წარუდგენს ქ. თბილისის მერს ყოველი კალენდარული წლის დეკემბრის თვეში.
- ქ. თბილისის მერს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ანგარიში საბჭოს მიერ განუვლი მუშაობის შესახებ მის მიერ განსაზღვრულ ვადაში.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 31 ივლისს 12:00 საათზე, ვანში, თავისუფლების N65-ში (ვანის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) "ვანის რაიონოპკვეშირის ზეინდრის სოფლის მომხმარებელთა საზოგადოების" ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.

სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

- ზეინდრის სავაჭრო ცენტრი - ერთსართულიანი, აშენებულია სამშენებლო წვრილი ბლოკით და აგურით - 606.1 კვ.მ. - შეფასებულია - 10000 ლარად;
- საპრასიის მაღაზია - ერთსართულიანი, მიშენებით ერთსართულიანი, აშენებულია სამშენებლო წვრილი ბლოკით - 10.10X14.40 კვ.მ. - შეფასებულია - 2000 ლარად;
- უხუთის მაღაზია - ერთსართულიანი 12.30X12.30. აშენებულია სამშენებლო წვრილი ბლოკით. შეფასებულია - 1500 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 13500 (ცამეტი-ათასხუთასი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადებოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შექმნასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. NN1

ბანკსახელზე კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2009 წლის 29 მაისის №86 ბრძანებით გამოცხადებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა სს „ზაზის ბანკი“.

კონკურსში მონაწილე ბანკების შეფასების მონაცემები მოცემულია წინამდებარე ცხრილში:

№	ბანკის დასახელება	სტუდენტთა სწავლის საფასურის დასაფინანსებელი სესხები;	საპროცენტო სარგებლის ოდენობა	მომსახურების ტარებები	სახელფასო პროგრამის ტარიფები	ფულადური სერვის-ცენტრებისა და ბანკომატების	დამატებითი მომსახურება	ჯამი	ადგილი
1	სს "საქართველოს ბანკი"	64	58	49	47	50	19	287	II
2	სს "თბილისი ბანკი"	63	63	44	36	41	25	272	IV
3	სს "პროკრედიტ ბანკი"	65	75	43	40	44	18	285	III
4	სს "ზაზის ბანკი"	75	70	49	50	35	25	304	I
5	სს "საქართველოს სახალხო ბანკი"	54	58	39	36	50	18	255	V

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საჯარო განხილვის შესახებ

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია იუწყება, რომ გარდაბნის რ-ნი სოფ. სართიჭალაში მდებარე საწარმოო ობიექტის - სამგორის ნავთობის სათაო ნაგებობის" გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება 2009 წლის 21 აგვისტოს, 14 საათზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, სოფ. სართიჭალის საკრებულოს შენობა.

ნავთობის პირველადი დამუშავების სამსახურის სამგორის ნავთობის სათაო ნაგებობის" გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია:

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაში (ქვემოთ მითითებულ მისამართზე) და კორპორაციის ვებგვერდზე <http://www.gogc.ge/index.php?m=292>;

- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიების და ნებართვების სამსახურში (თბილისი, გულუას 6);
- გარემოს დაცვის სამსახურში (გარდაბანი, აღმაშენებლის 73, რაიონის მუნიციპალიტეტის საკრებულო);
- პროექტში "ორპუსის ცენტრი საქართველოში" (თბილისი, გულუას 6, aarhus.dsl.ge, ელექტრონული ვერსია).

გთხოვთ, წინადადებები და შენიშვნები წერილობით მიმართოთ საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას არაუგვიანეს 2009 წლის 21 აგვისტოს, შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია
გარემოს დაცვის სამსახური, ოთახი 505
თბილისი, 0190, კახეთის გზატკეცილი 21
+995 (32) 24-40-40 შიდა ნომერი 245
ES@GOGC.ge



ქალაქ თბილისის მერი

29.06.2009წ.

010.260.030.38.101.013..232 ბრძანება N34

23 ივნისი 2009წ.

ქალაქ თბილისის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, "ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის N1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულების მე-20 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის შესაბამისად,

გბრძანებ:

1. დამტკიცდეს ქ. თბილისის მთავრობის თანდართული რეგლამენტი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 9 იანვრის N1 ბრძანება ქ. თბილისის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ."
3. ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა

დანართი: ქ. თბილისის მერის 2009წ. 23 ივნისი N34

ქალაქ თბილისის მთავრობის რეგლამენტი თავი I ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ქ. თბილისის მთავრობა

1. ქალაქ თბილისის მთავრობა (შემდგომში - მთავრობა) არის კოლექტიური ორგანო, რომელიც "საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით, "ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის N1-1 გადაწყვეტილებისა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს საკრებულოსა და მერის გადაწყვეტილებების აღსრულებას, დედაქალაქის ბიუჯეტისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავებასა და შესრულებას.

2. მთავრობა შედგება: მერის, მერის მოადგილეებისა და ქალაქ თბილისის საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებისაგან. თბილისის რაიონების გამგებლები თანამდებობრივად შედიან მთავრობის შემადგენლობაში.

3. ქალაქ თბილისის მერიის სისტემაში შემავალი კონტროლისა და ზედამხედველობის განმსხვორციელებელი საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელები მთავრობის შემადგენლობაში არ შედიან.

4. მთავრობას ხელმძღვანელობს ქალაქ თბილისის მერი. იგი განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს და ორგანიზებას უწევს მის მუშაობას, ახორციელებს მთავრობის წევრთა საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს, თავმჯდომარეობს მთავრობის სხდომებს.

5. მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ასრულებს მერის მოვალეობას, მისი არყოფნის შემთხვევაში.

6. მთავრობის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი ყ. შარტავას ქ. N7.

მუხლი 2. ქ. თბილისის მთავრობის რეგლამენტი

მერის, მთავრობის, საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტების მომზადების, გაფორმებისა და გამოცემის, მთავრობის სხდომების, მერის თათბირების მომზადებისა და ჩატარების, ქ. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ქ. თბილისის ბიუჯეტის პროექტის, მათი შესრულების ანგარიშების შედგენისა და საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენის, მთავრობის სახელით შეთანხმებათა და ხელშეკრულებათა პროექტების მომზადების ორგანიზების, დადების წესსა და პროცედურას განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მთავრობის რეგლამენტი (შემდგომში - რეგლამენტი).

თავი II მთავრობის სხდომის ორგანიზება

მუხლი 3. მთავრობის სხდომაზე განსახილველ საკითხთა მომზადება

1. მთავრობის სხდომაზე განსახილველ საკითხები, ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის (შემდგომში - ადმინისტრაცია) შესაბამის სამსახურში წარმოდგენილ უნდა იქნეს მთავრობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ფორმით, თანდართულ ელექტრონულ ვერსიასთან ერთად, სხდომის ჩატარებამდე სულ ცოტა 10 დღით ადრე.

2. მთავრობის სხდომაზე განსახილველ საკითხთა, დაინტერესებულ მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან, ტერიტორიულ ორგანოებთან ან/და ორგანიზაციებთან შეთანხმებული პროექტები თანდართულ მასალებთან ერთად უნდა ჩაბარდეს ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურს სხდომამდე 3 დღით ადრე.

მუხლი 4. მთავრობის სხდომის მომზადებისა და გამართვის წესი

1. მთავრობის სხდომას ამზადებს და სხდომაზე მოწვეულ პირებს აღრიცხავს ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური.

2. მთავრობის ცალკეული სხდომის ორგანიზებისათვის აუცილებელ წინამოსამზადებელ ღონისძიებებს ახორციელებს ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური, რომელიც ადგენს მთავრობის ყოველი სხდომის დღის წესრიგის პროექტს, აგრეთვე თანდართულ მასალებს.

3. მთავრობის სხდომის ჩატარებამდე არაუგვიანეს 3 დღისა, სხდომის დღის წესრიგი და თანდართული მასალები გადაეცემათ მთავრობის წევრებს.

4. მთავრობა უფლებამოსილია სხდომაზე მიიღოს გადაწყვეტილება დღის წესრიგის საკითხების გადაადგილების ან განხილვიდან მოხსნის შესახებ.

5. მთავრობის სხდომის ჩატარებამდე სულ ცოტა ერთი კვირით ადრე, ადმინისტრაცია აქვეყნებს ინფორმაციას სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას-აგრეთვე მისი დახურვის შესახებ.

6. გადაუდებელი აუცილებლობისას, მთავრობა უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა ამ მუხლის მე-5 პუნქტში გათვალისწინებული წესების დაუცველად. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოაცხადოს სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას-აგრეთვე მისი დახურვის შესახებ.

7. გადაუდებელი აუცილებლობისას, მთავრობის სხდომის ჩატარების ან სხდომის დახურვის შემთხვევაში, ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში განმარტოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების გასა-

ჩივრების წესი. ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურს რეესტრში შეაქვს სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად გამართული სახელობითი კენჭისყრის შედეგები, აგრეთვე სხდომის ოქმის მონაცემები, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით" დადგენილი წესით.

მუხლი 5. მთავრობის სხდომა

1. მთავრობის სხდომას იწვევს და თავმჯდომარეობს მერი.

2. მთავრობის სხდომა მოიწვევა არანაკლებ თვეში ორჯერ მაინც მთავრობის იურიდიულ მისამართზე. საჭიროების შემთხვევაში მთავრობის სხდომა შესაძლოა მოწვეულ იქნეს სხვა მისამართზეც. მთავრობის სხდომა იწყება დღის 1100 სთ-ზე. ცალკეულ შემთხვევაში, მერი უფლებამოსილია მთავრობის სხდომა ჩაატაროს სხვა დროს.

3. მთავრობის რიგგარეშე სხდომა მოიწვევა:

- ა) ქ. თბილისის მერის ინიციატივით;
- ბ) მთავრობის წევრთა შემადგენლობის ნახევარზე მეტის მოთხოვნით.
4. მთავრობის რიგგარეშე სხდომა იმართება მისი მოწვევის მოთხოვნიდან არაუგვიანეს ათი დღის ვადაში.

5. მთავრობის სხდომას, სათათბირო ხმის უფლებით, ესწრებიან მთავრობის წევრები. სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ მას ესწრება მთავრობის წევრთა ნახევარზე მეტი (მთავრობის სხდომის კვორუმი).

6. მთავრობის სხდომები, როგორც წესი, ღიაა და მიმდინარეობს საჯაროდ. ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური იღებს ზომებს მთავრობის სხდომების საჯაროობის უზრუნველსაყოფად. მთავრობის სხდომა ან მისი ნაწილი შეიძლება დახურულად გამოცხადდეს მთავრობის გადაწყვეტილებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სხდომის საჯაროობამ შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფო, კომერციული ან პირადი საიდუმლოების გამჟღავნება.

7. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა და სამთავრობო დაწესებულებათა ხელმძღვანელების, თანამდებობის პირების სხდომაზე მოწვევის საკითხი მათთან უნდა იქნეს შეთანხმებული. მთავრობის სხდომაზე მთავრობის წევრებისა და მოწვეული პირების დროულ შეტყობინებას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური.

8. მთავრობის სხდომაზე განსახილველი საკითხის გამო, როგორც წესი, მომხსენებელს ეძლევა დრო 15 წუთამდე, თანამომხსენებელსა და კამათში გამომსვლელთ 5 წუთამდე, ცნობისათვის (განცხადებებისათვის) - 3 წუთამდე.

9. მთავრობის სხდომებზე მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და სხდომის ოქმის გაფორმებას, ტექნიკურად უზრუნველყოფს ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური.

მუხლი 6. მთავრობის სხდომის თავმჯდომარე

1. მთავრობის სხდომის თავმჯდომარე:

- ა) ხსნის და დამთავრებულად აცხადებს სხდომას;
 - ბ) უზრუნველყოფს რეგლამენტის დაცვას;
 - გ) განსაზღვრავს კამათის მონაწილეთა რიგითობას და სიტყვას აძლევს მათ;
 - დ) კენჭისყრაზე აყენებს საკითხს და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;
 - ე) ხელს აწერს სხდომაზე მიღებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებსა და სხდომის ოქმს;
 - ვ) აუცილებლობის შემთხვევაში, სიტყვას ჩამოართმევს გამომსვლელს, სხდომის მონაწილეს ატოვებინებს სხდომათა დარბაზს;
 - ზ) საჭიროებისამებრ წყვეტს სხდომის მიმდინარეობას და აცხადებს შესვენებას;
 - თ) ახორციელებს სხდომის გამართვისათვის აუცილებელ სხვა უფლებამოსილებებს.
2. მთავრობის სხდომის თავმჯდომარის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება, კამათს არ ექვემდებარება.

მუხლი 7. მთავრობის წევრთა უფლებები სხდომაზე

მთავრობის სხდომის მსვლელობისას, მერს და მთავრობის წევრებს უფლება აქვთ:

- ა) წამოაყენონ წინადადებანი და შენიშვნები დღის წესრიგთან და მუშაობის წესთან დაკავშირებით;
- ბ) მიიღონ მომხსენებლისაგან დამატებითი განმარტებანი განსახილველ საკითხებზე;
- გ) მიიღონ მონაწილეობა კამათში, ნებისმიერ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით გამოთქვან და დაიცვან საკუთარი აზრი;
- დ) საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგინონ წინადადება საკითხის დამატებით შესწავლის თაობაზე;
- ე) მიიღონ ან არ მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში;
- ვ) წერილობითი ფორმით დააფიქსირონ საკუთარი (განსხვავებული) აზრი.

მუხლი 8. მოხსენება მთავრობის სხდომაზე

1. მთავრობის სხდომაზე განსახილველ საკითხს მოხსენების სახით წარადგენს მერი ან მთავრობის სხვა წევრი;

- ა) მოხსენება უნდა შეიცავდეს:
 - საკითხის განხილვის აუცილებლობის მოკლე დასაბუთებას;
 - ინფორმაციას საკითხის მომზადების (რომელი აქტის საფუძველზე, ვისი ინიციატივით და ვის მიერ მომზადდა, ვისთან შეთანხმდა ან ვერ შეთანხმდა და სხვა) შესახებ;
 - განმარტებას საკითხის არსის თაობაზე;
 - დ) განსახილველ საკითხზე მთავრობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს.
3. საჭიროების შემთხვევაში საკითხის წარდგენაში შეიძლება მონაწილეობდეს მთავრობის სხვა წევრი - თანამომხსენებელი.

მუხლი 9. კამათი მთავრობის სხდომაზე

1. მთავრობის სხდომაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებულ კამათში შეიძლება მონაწილეობდეს მთავრობის წევრი ან/და შესაბამისი საკითხის განხილვასთან დაკავშირებით მოწვეული პირი.

2. კამათში მონაწილე უნდა შეეხოს საკითხის არსს ან/და გამოხატოს თავისი არგუმენტირებული დამოკიდებულება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მიმართ.

მუხლი 10. მთავრობის სხდომაზე მოწვეულ პირთა უფლებები

1. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მთავრობის სხდომაზე მოწვეულ პირებს უფლება აქვთ:

- ა) სხდომის თავმჯდომარის თანხმობით მონაწილეობა მიიღონ საკითხის განხილვაში;
- ბ) წარმოადგინონ დამატებითი ინფორმაცია და წინადადებანი განსახილველ საკითხებზე.

2. მთავრობის სხდომაზე მოწვეული პირი კენჭისყრაში არ მონაწილეობს.

მუხლი 11. კენჭისყრა მთავრობის სხდომაზე

1. მთავრობის სხდომაზე კენჭისყრა წარმოებს:

- ა) სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, საკითხის განხილვის პროცედურასთან დაკავშირებით;
- ბ) განსახილველი საკითხის შესახებ მთავრობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-

ტის მიღებასთან დაკავშირებით.

2. მთავრობის სხდომაზე გადაწყვეტილებები, როგორც წესი, მიიღება ღია კენჭისყრით (ხელის აწევით). მერის წინადადებითა და სხდომის გადაწყვეტილებით შესაძლოა მოეწიოს ფარული კენჭისყრა.

3. მთავრობის სხდომაზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე მთავრობის წევრთა ნახევარზე მეტი, თუ ამ რეგლამენტით სხვა წესი არ არის დადგენილი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.

მუხლი 12. მთავრობის სხდომის ოქმი

1. მთავრობის სხდომის ოქმს აფორმებს და ხელმოსაწერად ამზადებს ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური. ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და ადმინისტრაციის უფროსი (სხდომის მდივანი), ხოლო ადმინისტრაციის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მერის ერთ-ერთი მოადგილე.

2. ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური, მთავრობის სხდომაზე მიღებულ ოქმსა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აფორმებს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში.

3. მთავრობის სხდომის ოქმში შეიტანება:

- ა) კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება;
- ბ) სხდომის დრო და ადგილი;
- გ) სხდომის თავმჯდომარისა და წევრების ვინაობა;
- დ) სხდომის უფლებამოსილება შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად;
- ე) განხილვის საგანი;
- ვ) კენჭისყრის შედეგები;
- ზ) მიღებული გადაწყვეტილება;
- თ) კამათში გამომსვლელთა მოთხოვნით, განხილულ საკითხებზე მათი განსხვავებული აზრი.

**თავი III
მერის თათბირების გამართვის ორგანიზება**

მუხლი 13. თათბირების მომზადება და გამართვა

- 1. მერიაში თათბირებს იწვევს და თავმჯდომარეობს მერი.
- 2. თათბირების ჩატარებას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური.
- 3. თათბირებზე განსახილველ საკითხებს, მათ მომზადებაზე პასუხისმგებელ პირებს, თათბირის მონაწილეთა შემადგენლობასა და თათბირის ჩატარების დროს განსაზღვრავს მერი.
- 4. თათბირზე პირთა მონაწილეობის ორგანიზება ევალება ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახურს. მოსაწვევ პირთა დაზუსტებულ სიას მერს წინასწარ უთანხმებს ადმინისტრაციის უფროსი, შესაბამისი სამსახურების წარდგინების საფუძველზე. თათბირის გამართვის შესახებ მის მონაწილეობას აცხობინებს ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური.
- 5. თათბირზე მონაწილე პირები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან განსახილველი საკითხების მომზადებაზე, მერის მიერ დადგენილ ვადაში, წინასწარ წარუდგენენ მას სათანადო მასალებს.

მუხლი 14. ოპერატიული თათბირი

- 1. მერიაში ცალკეულ საკითხთან (საკითხებთან) დაკავშირებით შეიძლება ჩატარდეს ქ. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელთა ოპერატიული თათბირი.
- 2. ოპერატიული თათბირს ატარებს მერი, ან მისი დავალებით მისი ერთ-ერთი მოადგილე.

მუხლი 15. თათბირის (ოპერატიული თათბირის) ოქმი

- 1. თათბირის (ოპერატიული თათბირის) ოქმის შედგენას უზრუნველყოფს ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური.
- 2. თათბირის (ოპერატიული თათბირის) ოქმში შეიტანება:
 - ა) თათბირის (ოპერატიული თათბირის) ჩატარების (გამართვის) დრო და ადგილი;
 - ბ) ადმინისტრაციული ორგანოს სახელწოდება;
 - გ) თათბირის (ოპერატიული თათბირის) მონაწილეთა შემადგენლობა;
 - დ) თათბირზე განხილულ საკითხთა ჩამონათვალი;
 - ე) დავალებების შინაარსი;
 - ვ) დავალების შესრულებისათვის პასუხისმგებელი პირი/პირები.
- 3. თათბირის ოქმს ხელს აწერს მერი. ოპერატიული თათბირის ოქმს ხელს აწერს ამ რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული პირი.
- 4. თათბირის (ოპერატიული თათბირის) ოქმის ასლები ან ამონაწერი ოქმიდან ეგზავნებათ დავალებათა შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებსა და ტერიტორიულ ორგანოებს.
- 5. თათბირის ოქმი ფორმდება მთავრობის სხდომის ოქმების გაფორმებისათვის დადგენილი წესით.

**თავი IV
მთავრობის, მერის დავალებათა გაფორმებისა და შესრულების წესი**

მუხლი 16. მთავრობისა და მერის დავალებათა შესრულების უზრუნველყოფა
ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს მერიის სტრუქტურული ერთეულებისათვის, ტერიტორიული ორგანოებისათვის ან/და ორგანიზაციებისათვის, თბილისის მთავრობისა და მერის მიერ გაცემული დავალებების დროულ მინოდებას.

მუხლი 17. მოხსენებითი ბარათი შესრულებულ დავალებაზე
შესრულებული დავალების თაობაზე შემსრულებელმა კანონით ან/და დავალების გამცემის მიერ დადგენილ ვადაში უნდა წარმოადგინოს მოხსენებითი ბარათი დავალების გამცემის ან ადმინისტრაციის უფროსის სახელზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დავალება გულისხმობს თავად შემსრულებლის მიერ მთავრობის, მერის სახელზე შემოსულ კორესპონდენციაზე პასუხის გაცემას ან შესაბამისი მოქმედების განხორციელებას.

მუხლი 18. დავალების შესრულება რამოდენიმე პირის მიერ
1. იმ შემთხვევაში, როდესაც დავალების შემსრულებლად მითითებულია ერთზე მეტი თანამდებობის პირი ან სამსახური, დავალებაში მითითებული პირველი პირი ითვლება მთავარ შემსრულებლად, დანარჩენები-თანაშემსრულებლებად.
2. მთავარი შემსრულებელი პასუხისმგებელია დავალების შესრულების კოორდინაციისათვის. იგი ორგანიზებას უწევს დავალების შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელებას.
3. მოხსენებითი ბარათი დავალების შესრულების შესახებ მზადდება, ხოლო რიგ შემთხვევებში მთავრობის, მერის სახელზე შემოსულ კორესპონდენციაზე პასუხი გაიცემა ან შესაბამისი მოქმედება ხორციელდება მთავარი შემსრულებლის მიერ.

მუხლი 19. დავალებათა შესრულების კოორდინაცია და კონტროლი

ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური კოორდინაციასა და კონტროლს უწევს, აგრეთვე გასცემს მითითებებს დავალებათა შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

**თავი V
მერის, მთავრობის, საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების, გაფორმებისა და გამოცემის წესი**

მუხლი 20. მთავრობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების წარდგენა

1. მთავრობის სხდომაზე განსახილველად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახურში წარდგენის უფლება აქვთ:

- ა) ქ. თბილისის მერს;
- ბ) ქ. თბილისის მთავრობის წევრს;
- გ) საქალაქო სამსახურის უფროსს, რომელიც არ არის მთავრობის წევრი;
- დ) ადმინისტრაციის სამსახურის უფროსს;
- ე) მთავრობის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს.

2. პროექტს თან უნდა ახლდეს:
ა) შეთანხმებები დაინტერესებულ მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან, ტერიტორიულ ორგანოებთან ან/და ორგანიზაციებთან; ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ტექსტი, ასევე ელექტრონული ვერსია.
ბ) ნორმატიული ადინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემთხვევაში განმარტებითი ბარათი, რომელშიც უნდა აისახოს პროექტის მიღების საფუძველი, მოკლე ანოტაცია, აგრეთვე საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, ნორმატიული ადინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ამოქმედების მექანიზმით მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

მუხლი 21. მთავრობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების ორგანიზება

- 1. მთავრობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების უფლება აქვთ მთავრობის წევრს, ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახურს, მერიის სტრუქტურული ერთეულს, ტერიტორიული ორგანოს და მთავრობის მიერ დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირს.
- 2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები მთავრობას წარედგინება მთავრობის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.
- 3. მთავრობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი შეთანხმებული უნდა იყოს მერიის ყველა იმ სტრუქტურულ ერთეულთან, ტერიტორიულ ორგანოს ან/და ორგანიზაციასთან, რომელთა გამგებლობასაც განეკუთვნება პროექტით გათვალისწინებული საკითხები. პროექტის შემთანხმებელთა ჩამონათვალს განსაზღვრავს პროექტის წარმომდგენი.

მუხლი 22. პასუხისმგებლობა მთავრობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებისათვის

მთავრობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების შინაარსისა და შესრულების ხარისხისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება პროექტის შემომგანს (ინიციატორს), პროექტის სტილისტურ შესწორებასა და სამართლებრივ შესაბამისობას უზრუნველყოფენ ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახურები.

მუხლი 23. მთავრობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღება

- 1. მერის ან მთავრობის წევრის მიერ მთავრობის სხდომაზე პროექტის მიმართ შეინიშნება და წინადადებების გამოთქმის შემთხვევაში, პროექტი, მერის მიერ მითითებულ (დადგენილ) ვადაში შესაძლოა დაუბრუნდეს საკითხის შემომგანს, დამატებით დასამუშავებლად და დასაზუსტებლად.
- 2. მთავრობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ხელს აწერს მერი.
- 3. ხელმოწერილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გადაეცემა ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურს, რომელიც ხუთი დღის ვადაში უზრუნველყოფს მათ სათანადოდ გაფორმებას (რეგისტრაციის ნომრისა და თარიღის მითითებით) და ნორმატიული აქტის შემთხვევაში, მისი საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციისათვის გაგზავნას. იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციისა და დადგენილი წესით გამოქვეყნების შემდეგ, ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს დოკუმენტის ასლების დანიშნულებისამებრ გადაგზავნას.

მუხლი 24. მთავრობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების აღსრულების კონტროლი

მთავრობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების აღსრულების კონტროლს უზრუნველყოფს ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური.

მუხლი 25. მერის, საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების, გაფორმებისა და გამოცემის წესი

- 1. მერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების უფლება აქვთ მთავრობის წევრს, ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახურს, მერიის სტრუქტურული ერთეულს, ტერიტორიულ ორგანოსა და მთავრობის მიერ დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირს.
- 2. მერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების გაფორმებასა და გამოცემაზე პასუხისმგებელია ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური, ხოლო საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტების პროექტების მომზადებაზე, გაფორმებასა და გამოცემაზე - შესაბამისი საქალაქო სამსახური.
- 3. მერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი შეთანხმებული უნდა იყოს მერიის ყველა იმ სტრუქტურულ ერთეულთან, ტერიტორიულ ორგანოსთან ან/და ორგანიზაციასთან, რომელთა გამგებლობასაც განეკუთვნება პროექტით გათვალისწინებული საკითხები. პროექტის შემთანხმებელთა ჩამონათვალს განსაზღვრავს პროექტის წარმომდგენი.
- 4. მერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის შინაარსისა და შესრულების ხარისხისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება პროექტის ინიციატორს, პროექტის სტილისტურ შესწორებასა და სამართლებრივ შესაბამისობას უზრუნველყოფენ ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახურები.
- 5. მერის ხელმოწერილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გადაეცემა ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურს, რომელიც ხუთი დღის ვადაში უზრუნველყოფს მის სათანადოდ გაფორმებას (რეგისტრაციის ნომრისა და თარიღის მითითებით) და ნორმატიული აქტის შემთხვევაში, მისი იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციისათვის გაგზავნას. საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციისა და დადგენილი წესით გამოქვეყნების შემდეგ, ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს დოკუმენტის ასლების დანიშნულებისამებრ გადაგზავნას.
- 6. მერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების კონტროლს უზრუნველყოფს ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური, ხოლო საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების კონტროლს - აქტის გამომცემი საქალაქო სამსახური.

თავი VI

ქალაქ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტების, მათი შესრულების ანგარიშების შედგენა და საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა

მუხლი 26. ქალაქ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტი

ქალაქ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტი უნდა მოიცავდეს:

- ა) ქალაქ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არსებული დონის ანალიზს;
- ბ) ქალაქ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს;
- გ) პროგრამებს ქალაქ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებიდან გამომდინარე.

მუხლი 27. ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტი

ქალაქ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის გათვალისწინებით ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტის შედგენა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 28. ქალაქ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტების მომზადების ორგანიზაცია

1. ქალაქ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტების შესადგენი სამუშაოების ორგანიზებას, მერის განკარგულებით (დავალებით), ახორციელებენ ქალაქის ეკონომიკური და საფინანსო სამსახურები. პროექტების მომზადება იწყება ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ათი თვით ადრე.

2. ქალაქ თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულები, ტერიტორიული ორგანოები და ქალაქის ბიუჯეტიდან დაფინანსებული სხვა მხარჯავი დაწესებულებები შეიმუშავებენ ქალაქ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის ძირითად მიმართულებებს და უზრუნველყოფენ ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტის შედგენისათვის საჭირო ყველა ინფორმაციის მომზადებას.

3. ქალაქ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტებს ქალაქის ეკონომიკური და საფინანსო სამსახურები განიხილავენ ქალაქ თბილისის მერიის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, ტერიტორიულ ორგანოებთან და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე სულ ცოტა ხუთი თვით ადრე, განსახილველად წარუდგენენ მთავრობას.

4. მთავრობის მიერ განხილულ პროექტებში სათანადო ცვლილებებისა და დამატებების შეტანას (საჭიროების შემთხვევაში) უზრუნველყოფენ ქალაქის ეკონომიკური, საფინანსო სამსახურები და შენიშვნების, წინადადებების გათვალისწინებით ქალაქ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტების საბოლოო რედაქციას განსახილველად წარუდგენენ მთავრობას.

5. ქალაქ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ქალაქ თბილისის ბიუჯეტის საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება მთავრობის სხდომაზე, ქალაქ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტების საბოლოო რედაქციას ხელს აწერს ქ. თბილისის მერი.

მუხლი 29. ქალაქ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტების საკრებულოსათვის წარდგენა

ქალაქ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტებს, საბიუჯეტო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) დღით ადრე, საკრებულოს წარუდგენს მერი.

მუხლი 30. ქალაქ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ქალაქ თბილისის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენა და საკრებულოსათვის წარდგენა

- 1. ქალაქ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ქალაქ თბილისის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს ადგენენ ქალაქის ეკონომიკური და საფინანსო სამსახურები. ანგარიშის შედგენისათვის პასუხისმგებელი პირები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, განისაზღვრებიან მერის განკარგულებით.
- 2. ქალაქ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ქალაქ

თბილისის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს მერი საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

თავი VII

მთავრობის სახელით შეთანხმებისა და ხელშეკრულების დადება

მუხლი 31. მთავრობის სახელით დადებული შეთანხმებები და ხელშეკრულებები

1. მთავრობის სახელით იდება ხელშეკრულებები და შეთანხმებები მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სამთავრობო, საქვეყნო დაწესებულებებთან, ადმინისტრაციულ და ტერიტორიულ ერთეულებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნებთან.

2. მთავრობის სახელით შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს ხელს აწერს ქ. თბილისის მერი.

მუხლი 32. მთავრობის სახელით შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების პროექტების მომზადების ორგანიზაცია

1. მთავრობის სახელით შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების პროექტების მომზადების ორგანიზაცია განისაზღვრება ამ რეგლამენტის 21-ე მუხლის შესაბამისად.

2. შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების პროექტები, რომლებიც ითვალისწინებენ ქონებრივ ან ფინანსურ ვალდებულებებს, აუცილებლად შეთანხმებული უნდა იყოს მერიის ეკონომიკური და საფინანსო სამსახურების ხელმძღვანელებთან.

მუხლი 33. მთავრობის სახელით დადებული შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების ძალაში შესვლა

მთავრობის სახელით დადებული შეთანხმებები და ხელშეკრულებები საჭიროებს მთავრობის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებას და ძალაში მერის მიერ შეთანხმებისა და ხელშეკრულებების ხელმოწერისთანავე, თუ შესაბამისი შეთანხმებით ან ხელშეკრულებით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

მუხლი 34. პასუხისმგებლობა მთავრობის სახელით დადებული შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების შესრულებაზე

1. კოლეგიური პასუხისმგებლობა მთავრობის სახელით დადებული შეთანხმებებითა და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე ეკისრება მთავრობას.

2. პერსონალურ პასუხისმგებლობას მთავრობის სახელით დადებულ შეთანხმებებითა და ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებების შესრულებაზე ადგენს მთავრობა, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. მთავრობის სახელით დადებული ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით განსაზღვრულ ქონებრივ და ფინანსურ ვალდებულებებზე მთავრობა პასუხს აგებს ქალაქ თბილისის ბიუჯეტიდან.

თავი VIII

მოქალაქეთა მიმართების განხილვის წესი

მუხლი 35. მოქალაქეთა მიმართებებზე მუშაობა და საჯარო ინფორმაციის გაცემა მთავრობაში მოქალაქეთა წერილობით მიმართებებზე (განცხადება, საჩივარი და ა.შ.) მუშაობასა და საჯარო ინფორმაციის გაცემას უზრუნველყოფენ ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახურები, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

თავი IX

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 36. დასკვნითი დებულებანი

1. მთავრობის საქმიანობის ყველა სხვა საკითხი, რომელიც არ არის მონესრიგებული ამ რეგლამენტით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

2. თუ ამ რეგლამენტში ვადების ბოლო დღე ემთხვევა დასვენების ან უქმე დღეებს, ვადის გასვლის დღედ ითვლება შემდეგი (მომდევნო) სამუშაო დღე.

3. ცვლილებები და დამატებები ამ რეგლამენტში შეიტანება მერის ბრძანებით.

**ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ**

ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 31 ივლისს 14:00 საათზე, სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა N6-ში (სამტრედიის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) კოოპერატივი "ძველი სამტრედია"-ს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით აუქციონს.

სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

- 1. თვლიანი ტრაქტორი "ტ 16მ", საჭდით საქარხნო N471229 - შეფასებულია - 700 ლარად;
- 2. ტრაქტორი "ბელორუსი მტზ 80" წვემდებარება ჯვართში ჩაბარებას - შეფასებულია - 520 ლარად;
- 3. სატვირთო ავტომობილი "საზ-3507" თვითმცლელი. სარეგ NDID 854- 2300 ლარად;
- 4. სატვირთო ავტომობილი "გაზ 53ა" ტექ.პასპორტის გარეშე. ძრავი N42551 - შეფასებულია - 1200 ლარად;
- 5. ტრაქტორი "ბელარუსი მტზ-80" სარ. N3848 გლ. საქარხნო N663541 - შეფასებულია - 3000 ლარად;
- 6. ტრაქტორი "ბელორუსი მტზ-80" სარ N3846 გლ, საქარხნო N584769 - შეფასებულია 2200 ლარად;
- 7. ტრაქტორი "ბელარუსი მტზ 80" ექვემდებარება ჯვართში ჩაბარებას - შეფასებულია - 500 ლარად;
- 8. წყლის ნისქვილი (სოფ მელაურში) შენობა ზომით 5.40მX6.20მ აშენებული აგურით-შეფასებულია - 600 ლარად;
- 9. აბანოს შენობა (სოფ.მელაურში) - შენობა ერსართულიანი ზომით 9.40მX15.30მ. აშენებული აგურით- შეფასებულია - 4000 ლარად;
- 10. საწყობის შენობა (სოფ.მელაურში) - შენობა ზომებით 12.40მX18.10მ შეფასებულია - 2500 ლარად;
- 11. წყალსაცავი (სოფ.მელაური) რ/ზ ნაკეთობა ზომებით: 6.40მX12.10მ- შეფასებულია -

- 700 ლარად;
- 12. შენობა გზისპირას (აღმაშენებლის ქ ფოსტა)- აშენებული წვრილი ბლოკით, ზომები 19მX8.55მ - შეფასებულია - 6500 ლარად;
- 13. შენობა (აღმაშენებლის ქუჩის ჩაასახვევში) -აშენებული აგურით ზომები: 8.60მX10.30მ შეფასებულია - 4500 ლარად;

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს **29220 (ოცდაცხრათას ორასოცი) ლარს.**

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადებოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შექმნასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. NN1

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. ბათუმი 2009 წელი

23 ივნისი

სხდომის ხელმძღვანელობდა	-	რუს-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი: დავით ლეკვიშვილი (კომისიის თავმჯდომარე)
სხდომის ესწრებოდნენ:	-	საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი ირაკლი კაცაძე (კომისიის წევრი)
	-	საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარი ბუღალტერი: ბადრი დავითაძე (კომისიის წევრი)
	-	საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი: ირმა დისამიძე (კომისიის მდივანი).

დღის წესრიგი:

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის, საბანკო მომსახურებაზე კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების, საკონკურსო პირობებისა და კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2009 წლის 29 მაისის №86 ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში, საკონკურსო კომისიაში კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საჯარო განხილვა და დალუქული პაკეტების გახსნა.

მოსმინეს:

1. კომისიის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეებს გააცნო ინფორმაცია მასზედ, რომ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2009 წლის 29 მაისის №86 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსი. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კომერციული ბანკებისათვის განისაზღვრა კრიტერიუმები, კერძოდ: არ უნდა ყოფილიყო განხორციელებული ბანკის ლიკვიდაცია და არ უნდა ყოფილიყო მიმდინარე გაკოტრების ან სანაციის საქმე, ბანკის ქონებაზე არ უნდა ყოფილიყო დადებული ყადაღა, ბანკს უნდა ჰქონოდა ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არანაკლებ ორი საბანკო მომსახურების სრული სერვისის მქონე ფილიალი ან/და სერვის ცენტრი და არანაკლებ ოთხი ბანკომატი (მათ შორის ერთი უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე), ასევე კომერციულ ბანკს უნდა უზრუნველყო შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტისაგან ელექტრონული გადარიცხვების სისტემის გამართვა და სპეციალიზირებულ კომპიუტერულ პროგრამებთან შესაბამისობაში მოყვანა.

კონკურსის შესახებ ინფორმაცია შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნდა შემდეგ საინფორმაციო საშუალებაში:
- გაზეთი „24 საათი“ 02.06.2009 №121, 03.06.2009 №122; კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირებს ქართულ ენაზე შედგენილი საკონკურსო წინადადები და თანდართული დოკუმენტები ერთად, ერთი დალუქული კონვერტი, უნდა წარმოედგინათ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2009 წლის 22 ივნისს 16 საათამდე.

აღნიშნულ ვადაში, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შემოტანილი იქნა შვიდი კომერციული ბანკის განცხადება: სს „საქართველოს ბანკი“, სს „თიბისი ბანკი“, სს „პროგრედიტ ბანკი“, სს „ბაზის ბანკი“, სს „საქართველოს სახალხო ბანკი“, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, სს „კორ სტანდარტ ბანკი“.

განაცხადებთან ერთად კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა შემოიტანეს საკონკურსო პირობების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნა 2009 წლის 23 ივნისს 12 საათზე.

1. კომისიის წევრმა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსმა ი. კაცაძემ წარმოადგინა სს „საქართველოს ბანკი“-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია: განცხადება კონკურსში მონაწილეობაზე, ცნობა შესაბამისი საგადასახადო და სასამართლო ორგანოდან; ცნობა საჯარო რეესტრიდან; ინფორმაცია საზედამხედველო კაპიტალის მოცულობის შესახებ; ბოლო ორი წლის აუდიტორული დასკვნა. დალუქული პაკეტი.

2. კომისიის წევრმა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსმა ი. კაცაძემ წარმოადგინა სს „თიბისი ბანკი“-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია: განცხადება კონკურსში მონაწილეობაზე, ცნობა შესაბამისი საგადასახადო და სასამართლო ორგანოდან; ცნობა საჯარო რეესტრიდან; ინფორმაცია საზედამხედველო კაპიტალის მოცულობის შესახებ; ბოლო ორი წლის აუდიტორული დასკვნა. დალუქული პაკეტი.

3. კომისიის წევრმა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსმა ი. კაცაძემ წარმოადგინა სს „პროგრედიტ ბანკი“-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია: განცხადება კონკურსში მონაწილეობაზე, ცნობა შესაბამისი საგადასახადო და სასამართლო ორგანოდან; ცნობა საჯარო რეესტრიდან; ინფორმაცია საზედამხედველო კაპიტალის მოცულობის შესახებ; ბოლო ორი წლის აუდიტორული დასკვნა. დალუქული პაკეტი.

4. კომისიის წევრმა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსმა ი. კაცაძემ წარმოადგინა სს „ბაზის ბანკი“-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია: განცხადება კონკურსში მონაწილეობაზე, ცნობა შესაბამისი საგადასახადო და სასამართლო ორგანოდან; ცნობა საჯარო რეესტრიდან; ინფორმაცია საზედამხედველო კაპიტალის მოცულობის შესახებ; ბოლო ორი წლის აუდიტორული დასკვნა. დალუქული პაკეტი.

5. კომისიის წევრმა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსმა ი. კაცაძემ წარმოადგინა სს „საქართველოს სახალხო ბანკი“-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია: განცხადება კონკურსში მონაწილეობაზე, ცნობა შესაბამისი საგადასახადო და სასამართლო ორგანოდან; ცნობა საჯარო რეესტრიდან; ინფორმაცია საზედამხედველო კაპიტალის მოცულობის შესახებ; ბოლო ორი წლის აუდიტორული დასკვნა. დალუქული პაკეტი.

6. კომისიის წევრმა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსმა ი. კაცაძემ წარმოადგინა სს სს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია: განცხადება კონკურსში მონაწილეობაზე, ცნობა შესაბამისი საგადასახადო და სასამართლო ორგანოდან; ცნობა საჯარო რეესტრიდან; ინფორმაცია საზედამხედველო კაპიტალის მოცულობის შესახებ; ბოლო ორი წლის აუდიტორული დასკვნა. დალუქული პაკეტი.

7. კომისიის წევრმა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსმა ი. კაცაძემ წარმოადგინა სს სს სს „კორ სტანდარტ ბანკი“-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია: განცხადება კონკურსში მონაწილეობაზე, ცნობა შესაბამისი საგადასახადო და სასამართლო ორგანოდან; ცნობა საჯარო რეესტრიდან; ინფორმაცია საზედამხედველო კაპიტალის მოცულობის შესახებ; ბოლო ორი წლის აუდიტორული დასკვნა. დალუქული პაკეტი.

კომისიამ ერთხმად დაადგინა:

1. სს „საქართველოს ბანკი“-ის, სს „თიბისი ბანკი“-ის, სს „პროგრედიტ ბანკი“-ის, სს „ბაზის ბანკი“-ის, სს „საქართველოს სახალხო ბანკი“-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის კონკურსში მონაწილეობის მოთხოვნებს.

2. სს „საქართველოს ბანკი“, სს „თიბისი ბანკი“, სს „პროგრედიტ ბანკი“, სს „ბაზის ბანკი“, სს „საქართველოს სახალხო ბანკი“ ჩათვალონ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლებამოსილებებზე.

3. სავალდებულოა სს „საქართველოს ბანკი“-ის, სს „თიბისი ბანკი“-ის, სს „პროგრედიტ ბანკი“-ის, სს „ბაზის ბანკი“-ის, სს „საქართველოს სახალხო ბანკი“-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები არსებითად იქნას განხილული კომისიის საჯარო სხდომაზე 2009 წლის 29 ივნისს

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს სამშენებლო სამუშაოს შესყიდვაზე და ინვესტორს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი
სოფ. ახალსოფლის საჯარო სკოლის რემონტი.
სამუშაოების სრული ჩამონათვალი მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.
სამუშაოების მიწოდების სასურველი ვადაა სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 დღე.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე დედანისა და ასლის სახით დალუქული პაკეტით 2009 წლის 21 ივლისის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა, სატენდერო კომისიის აპარატი. დალუქული პაკეტები გაიხსნება 2009 წლის 21 ივლისს, 15 საათზე ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- 1) იურიდიული პირებისთვის:
 - ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
 - ბ) ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან);
 - 2) ფიზიკური პირებისთვის:
 - ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დანესტრუქციისგან, რომ იგი ქმედითუნარიანია;
 - ბ) როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისთვის:
 - ა) ცნობა სამეცნიერო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
 - ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ;

- გ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები;
- დ) ინფორმაცია არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
- ე) ინფორმაცია ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ;
- ვ) ბოლო სამი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ნუსხა შესრულების ვადების და დამკვეთის მითითებით;
- ზ) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შესული შესყიდვაში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტების და მომწოდებლების რეესტრში.

გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარი შემდეგ რეკვიზიტზე: სახელმწიფო ხაზინა №200122900, სახაზინო შემოსავლების კოდი 300563174 და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რის შემდეგაც გადაეცემა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ ადგილზე გაეცნონ სატენდრო დოკუმენტაციას.

დოკუმენტაცია გაიცემა 2009 წლის 20 ივლისის 17 საათამდე, მისამართზე: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა, სატენდერო კომისიის აპარატი.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: თენგიზ ბუჯიაშვილი, ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1.

ტელ. 895 90 04 96

